

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2010, # 6

კ ე რ ძ ო

ს ა ჩ ი ვ ა რ ი

1. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა
2. საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე
3. საქმის წარმოების შეწყვეტა
  - გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის გამო
  - მხარეთა მორიგების გამო
  - საჩივარზე უარის თქმის გამო
4. კერძო საჩივრის დასაშვებობა
  - განჩინების განუხილველად დატოვება ბაჟის გადაუხდელობის გამო
  - კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება გასაჩივრების ვადის გასვლის გამო
  - კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუსვებლობის გამო
  - კერძო საჩივრის განხილვის წესი
  - მხარის გამოუცხადებლობის მიზეზი
  - სააპელაციო, კერძო საჩივრის შეტანის ვადა
  - სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება
  - სააპელაციო საჩივრის შეტანა არაუფლებამოსილი პირის მიერ
  - საპროცესო ვადის დამთავრება
  - ხარვეზის შევსების ვადა
5. კერძო საჩივრის შეტანის ვადა
6. გაკოტრების საქმის წარმოება
  - გაკოტრების შესახებ კერძო საჩივრის გასაჩივრების დაუშვებლობა
  - გაკოტრების შესახებ სასამართლოს დადგენილების გასაჩივრება
  - გაკოტრების ტაბულა
7. საქმის წარმოების განახლება
  - ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები
  - საქმის წარმოების განახლების საფუძვლები
  - წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა
8. სააღსრულებო ფურცლის გაცემა მხარის უფლებამონაცვლეზე

# 1. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

## განჩინება

#ას-1-340-09

2 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. კ-იანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში სს "თელეთის ნავთობის კომპანიის" მიმართ 77080 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე იმყოფებოდა საცხოვრებელი ფართის მიღების აღრიცხვაზე საწარმოთა გაერთიანება "საქნავთობის" მშენებარე სახლში, საიდანაც მოიხსნა და მოპასუხემ ვალდებულება იკისრა, ბინის სანაცვლოდ გადაეხადა კომპენსაცია, თუმცა აღნიშნული ვალდებულება ბოლომდე არ შეასრულა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც სს "თელეთის ნავთობის კომპანიამ" გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი აპელანტს 2008 წლის 17 ნოემბერს ჩაჰბარდა, რაც დადასტურებულია საზოგადოების მუშაკის ხელმოწერითა და ბეჭდით. სააპელაციო საჩივარი სს "თელეთის ნავთობის კომპანიამ" სასამართლოში შეიტანა 2 დეკემბერს. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიიჩნია, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა დაარღვია, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებაზე სს "თელეთის ნავთობის კომპანიამ" შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ აპელანტი საზოგადოების კორესპოდენტების აღრიცხვის ჟურნალსა და თავად სასამართლო გზავნილზე კომპანიის კანცელარიაში სადავო გადაწყვეტილების შემოსვლის თარიღად მიეთითა 2008 წლის 18 ნოემბერი და სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაც სწორედ აღნიშნული დროიდან უნდა ათვლილიყო. რაც შეეხება სასამართლო გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტზე არსებულ ხელმოწერასა და თარიღს, აღნიშნული თარიღი, კომპანიის მუშაკის დაუდევრობის გამო, დაფიქსირდა არასწორად, რაც ასევე გამოწვეული იყო სასამართლო გზავნილის სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ მიტანით. აღნიშნულის გამო გზავნილის მიმღებმა თანამშრომლებმა იმავე დღეს გზავნილი ვერ აღრიცხეს და ხელმძღვანელობას ვერ გადასცეს. ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სს "თელეთის ნავთობის კომპანიის" კანცელარიის უფროსი და საფინანსო სამსახურის სპეციალისტი, რომლებმაც უშუალოდ ჩაიბარეს სადავო გადაწყვეტილება, იმ მომენტისათვის კომპანიაში აღარ მუშაობდნენ და რეალურად სასამართლო გზავნილი აპელანტს მხოლოდ 2008 წლის 18 ნოემბერს ჩაჰბარდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 იანვრის განჩინებით სს "თელეთის ნავთობის კომპანიის" უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება შპს "საქგეოსერვისი".

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. კ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა და სს "თელეთის ნავთობის კომპანიას" მის სასარგებლოდ დაეკისრა 77 080 აშშ დოლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნათ მხარეებს და საქმეში წარმოდგენილი, საზოგადოების ბეჭდით დამოწმებული ხელწერილის თანახმად, სს "თელეთის ნავთობის კომპანიის" თანამშრომელ დ. მ-იას ჩაჰბარდა 2008 წლის 17 ნოემბერს. ამავე წლის 2 დეკემბერს სს "თელეთის ნავთობის კომპანიამ" სააპელაციო საჩივრით მიმართა სასამართლოს, რო-

მელიც სააპელაციო პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინებით დარჩა განუხილველი სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის გასვლის გამო.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "საქგეოსერვისის" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 14 დღის განმავლობაში. ამასთან, მითითებული ვადა იმპერატიულადაა დადგენილი და მისი გაგრძელების შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ პირველი ინსტანციის გასაჩივრებული დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი სს "თელეთის ნავთობის კომპანიას" ჩაბარდა 2008 წლის 17 ნოემბერს, ხოლო სააპელაციო საჩივარი მოპასუხემ შეიტანა 2 დეკემბერს, ზემოხსენებული ვადის დარღვევით, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ მას პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2008 წლის 18 ნოემბერს და სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაც მითითებული დროიდან უნდა განხორციელდეს. აღნიშნული არგუმენტის საფუძვლად მხარე უთითებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო გზავნილი ჩაჰბარდა 2008 წლის 17 ნოემბერს, სამუშაო საათების დასრულების შემდეგ. ამასთან, ის პირები, ვისაც იგი უშუალოდ გადაეცა, იმ მომენტისათვის კომპანიაში აღარ მუშაობდნენ. დასახელებული მოსაზრება საფუძველს მოკლებულია, რადგან სადავო სასამართლო გზავნილის ჩაბარება კომპანიის თანამშრომლის მიერ ხელმოწერითა და საზოგადოების ბეჭდითაა დამოწმებული, რაც თავისთავად სარწმუნოდ ხდის მის ნამდვილობას. ამასთან, მხარე ფაქტობრივად ადასტურებს 2008 წლის 17 ნოემბერს სასამართლო გზავნილის ჩაბარების ფაქტს, ხოლო, რაც შეეხება მხარის მითითებას სასამართლო გზავნილის კომპანიის კანცელარიაში შემოსვლის თარიღად 2008 წლის 18 ნოემბრის დაფიქსირების თაობაზე, აღნიშნული საზოგადოების შიდა საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარეობს და სასამართლო გზავნილის ჩაბარების რეალურ თარიღზე გავლენას ვერ იქონიებს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

შპს "საქგეოსერვისის" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟის გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

### განჩინება

#ას-1051-1235-08

2 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: საავტორო უფლების დარღვევით მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 7 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა რ. შ-ემ (წარმომადგენლები: ა. ბ-ძე და ი. ყ-შვილი) მოპასუხე ინდემწარმე "ბ. მ-ძის" მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ქონებრივი ზიანის 10 200 ევროს (მათ შორის: საავტორო ჰონორარის -5 200 ევროსა და ადვოკატისათვის გადასახდელი საზღაურის -5 200 ევროს) და არაქონებრივი ზიანის -10 000 ევროს, მთლიანობაში 20 200 ევროს ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით რ. შ-ეს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -ინდემწარმე "ბ. მ-ძეს" საავტორო უფლების დარღვევით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად რ. შ-ეს სასარგებლოდ დაეკისრა 1200 ევროს ეკვივალენტი ლარის გადახდა, მორალური ზიანისა და საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება რ. შ-ემ სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში, ხოლო ბ. მ-ძემ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ივნისის განჩინებით ბ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის გამო განუხილველი დარჩა, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მაისის განჩინებით უცვლელად იქნა დატოვებული.

რ. შ-ეს სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2007 წლის 21 დეკემბერს მიიღო განჩინება, რომლითაც გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება რ. შ-ეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით რ. შ-ეს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -ინდემწარმე ბ. მ-ძეს რ. შ-ეს სასარგებლოდ გადახდა 12 სურათის გამოყენებით მიყენებული ქონებრივი ზიანის -300 ევროს ეკვივალენტი ლარის თითოეული სურათის გამოყენებისათვის, რამაც ჯამში შეადგინა 3 600 ლარის ეკვივალენტი ლარი; მასვე რ. შ-ეს სასარგებლოდ გადახდა 100 ევროს ეკვივალენტური თანხა ლარებში არაქონებრივი ზიანის ასანაზღაურებლად.

საქალაქო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ინდემწარმე ბ. მ-ძემ (წარმომადგენელი გ. ყ-შვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით ინდემწარმე ბ. მ-ძის (წარმომადგენელი გ. ყ-შვილი) სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების

გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ამავე კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო, თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით - სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ როგორც მოწინააღმდეგე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი, გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

კანონის ზემოთ დასახელებულ ნორმებზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბ. მ-მისათვის (ბ. მ-მის შვილი) სასამართლო გზავნილის (გადაწყვეტილება, საქმის #2/12768-06) ჩაბარება წარმოადგენდა აღნიშნული გზავნილის ბ. მ-მისათვის (ადრესატისათვის) ჩაბარებას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, 2008 წლის 15 სექტემბრის ჩაბარებიდან აპელანტს ხარვეზის შევსების ვადა ამოეწურა 2008 წლის 29 სექტემბერს, სააპელაციო საჩივარი კი მან წარადგინა 2008 წლის 30 სექტემბერს, ანუ ერთი დღის დაგვიანებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, დარჩება განუხილველი. ამავე კოდექსის 374-ე მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ინდემწარმე ბ. მ-მის (წარმომადგენელი გ. ყ-შვილი) სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ინდემწარმე ბ. მ-მემ, რომელმაც მისი გაუქმება და საქმის არსებითად განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებას იგი რეალურად მხოლოდ 2008 წლის 30 სექტემბერს გაეცნო, რის შემდგომაც სააპელაციო საჩივრის შედგენისა და სასამართლოში წარდგენის მიზნით დაუყოვნებლივ მიმართა ადვოკატს. შესაბამისად, აღნიშნული გარემოება აპელანტის მხრიდან ვადის გაშვებად არ უნდა ჩაითვალოს, მით უფრო იმ ვითარებაში, როდესაც მოცემული დავის სწორად გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ინდემწარმე "ბ. მ-მის" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება მოპასუხე ინდემწარმე "ბ. მ-მის" გაეგზავნა საქმეში მითითებულ მისამართზე: თბილისი, ... ქ. #25, პირველი კორპუსი, ბინა #46. საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ მითითებული გადაწყვეტილება 2008 წლის 15 სექტემბერს ჩაბარდა ბ. მ-მის ოჯახის წევრს.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო სწორად მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე,

იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი, გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა, უწყების მიმღები ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. კანონის მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, აპელანტ ბ. მ-ძის ოჯახის წევრისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილების ასლის ჩაბარება უნდა ჩაითვალოს ბ. მ-ძის მიერ ჩაბარებად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შესატანად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 14-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2008 წლის 16 სექტემბერს და დასრულდა 2008 წლის 29 სექტემბერს. აპელანტმა სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2008 წლის 30 სექტემბერს, ანუ ერთი დღის დაგვიანებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლი ასევე მიუთითებს, რომ, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას ვერ განაპირობებს კერძო საჩივრის ავტორის მითითება სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში წარუდგენლობის საპატიო მიზეზების არსებობის თაობაზე, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილი იმპერატიული ხასიათის ნორმას წარმოადგენს, რომელიც სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენას არ ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ინდემწარმე "ბ. მ-ძის" სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით ინდემწარმე "ბ. მ-ძის" დავა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში 50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. მითითებულ საპროცესო ვადაში დადგენილი ხარვეზი შეავსო, როგორც უშუალოდ კერძო საჩივრის ავტორმა, ისე მისმა წარმომადგენელმა გ. ყ-შვილმა. შესაბამისად, ინდემწარმე "ბ. მ-ძის" კერძო საჩივარზე კ. ყ-შვილის მიერ ზედმეტად გადახდილი 50 ლარი ექვემდებარება დაბრუნებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ინდემწარმე "ბ. მ-ძის" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განჩინება;

ინდემწარმე "ბ. მ-ძის" დაუბრუნდეს კ. ყ-შვილის მიერ ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -50 ლარი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი -200122900, მიმღები ბანკი -სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -#300773150, დანიშნულება -სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

### განჩინება

#ას-1150-1295-08

16 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

**სარჩელის დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და შესაბამისი ცვლილების შეტანა საჯარო რეესტრში

**კერძო საჩივრის დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 13 ნოემბერს მ. ვ-მემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპა-სუხეების თ. ვ-ძის, თ. მ-ძისა და ნოტარიუს ლ. ჭ-იას მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპა-სუხეთა შორის 2005 წლის 27 ოქტომბერს დადებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და შესაბამისი ცვლილების შეტანა საჯარო რეესტრის მონაცემებში.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ვ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ვ-მემ (წარმომადგენელი დ. ბ-მე) რომელმაც მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით მ. ვ-ძის (წარმომადგენელი დ. ბ-მე) სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი გასაჩივრების ვადის გასვლის გამო.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნა მ. ვ-ძის წარმომადგენელ დ. ბ-მეს და ჩაჰბარდა ადრესატს 2008 წლის 30 ოქტომბერს. მხარეებს სასამართლო აქტით განემარტათ გასაჩივრების შესაძლებლობა, გასაჩივრების ვადა და წესი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მ. ვ-ძის წარმომადგენელმა დ. ბ-მემ სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეიტანა 2008 წლის 17 ნოემბერს, კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით, მაშინ, როდესაც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა იჭურბოდა 2008 წლის 13 ნოემბრის 24 საათზე.

საქმეში წარმოდგენილი რწმუნებულებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. ბ-მე არის მ. ვ-ძის წარმომადგენელი, რომელიც უფლებამოსილია გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილებები, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში ყველა ინსტანციის სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ვინაიდან წარმომადგენელს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა პირველად 2008 წლის 17 ნოემბერს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამავე თარიღით გადაწყვეტილება ჩაბარებულად ითვლება როგორც მხარისათვის, ასევე მისი წარმომადგენლისათვის. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის ათვლა უნდა დაიწყო 2008 წლის 31 ოქტომბრიდან. წარმომადგენლის მიერ საპროცესო მოქმედების შესრულების ვადის გაშვება ნიშნავს, რომ მხარემ გაუშვა საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ვ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, გასაჩივრებული განჩინების ასლი მის წარმომადგენელს ჩაჰბარდა 2008 წლის 30 ოქტომბერს, ხოლო მას - ამავე წლის 7 ნოემბერს. წარმომადგენელმა ვერ შეძლო მასთან დროულად დაკავშირება, ვინაიდან დროებით ცხოვრობს თბილისში და ასევე ვერ მიიღო გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის შეტანაზე მისი მითითების გარეშე. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მისთვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან კანონით დადგენილ ვადაში

დ. ბ-მემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი, რომელშიც გამოხატა ნება გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით. ამის გამო, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ვადის დარღვევულად მიჩნევა და სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება უსაფუძვლოა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ვ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში. ამავე კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს, ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი პირველად ჩაჰბარდა წარმომადგენელ დ. ბ-ძეს 2008 წლის 30 ოქტომბერს, ხოლო შემდეგ თავად მ. ვ-ძეს 2008 წლის 7 ნოემბერს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოდ მიიჩნია გასაჩივრების ვადის დარღვევით შეტანილად და დატოვა განუხილველად, რადგან გასაჩივრების ვადის ათვლა უნდა დაეწყო მხარისათვის და არა მისი წარმომადგენლისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს, ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს წარმომადგენელ დ. ბ-ძისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან - 2008 წლის 30 ოქტომბრიდან. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა ამოიწურა 2008 წლის 13 ნოემბერს 24 საათზე, ხოლო მ. ვ-ძის წარმომადგენელმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა სასამართლოში 2008 წლის 17 ნოემბერს, 4 დღის გადაცილებით. საქმის მასალებით დადგენილია და არც კერძო საჩივრის ავტორი უარყოფს, რომ დ. ბ-ძეს გააჩნდა უფლებამოსილება გაესაჩივრებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და შეესრულებინა სხვა საპროცესო მოქმედებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მიერ სწორად იქნა დატოვებული განუხილველად მ. ვ-ძის წარმომადგენლის - დ. ბ-ძის მიერ გასაჩივრების ვადის დარღვევით შეტანილი სააპელაციო საჩივარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საპროცესო საფუძველი.



**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

მ. ვ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

**განჩინება**

#ას-1025-1297-09

7 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ხ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში კ. და მ. გ-ძეების მიმართ მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან ქ.თბილისში, ... გამზირის #38 კორპუსში მდებარე #35 ბინის გამოთხოვის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: გარკვეული ფინანსური სირთულეები გამო მოსარჩელემ გადაწყვიტა, კუთვნილი სადავო ბინა მიეყიდა მოპასუხე კ. გ-ძისათვის, რის შედეგად მხარეთა შორის ორჯერ გაფორმდა ხელშეკრულება ბეს გადაცემის თაობაზე. მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა და ბინის ღირებულება სრულად ვერ გადაიხადა. აღნიშნულით მოსარჩელეს მიადგა ზიანი. ამჟამად, მოპასუხეები ფლობენ და არ ათავისუფლებენ სადავო ფართს.

მოპასუხე კ. გ-ძემ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს ნ. ხ-შვილის მიმართ ბეს სახით გადახდილი თანხის ორმაგად დაბრუნებისა და ნივთის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 ივნისის განჩინებით კ. გ-ძის შეგებებული სარჩელი გამოიყო ცალკე წარმოებად. ამავე სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ხ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ქ. თბილისში, ... გამზირის #38 კორპუსში მდებარე #35 ბინა გამოთხოვილ იქნა კ. და მ. გ-ძეების უკანონო მფლობელობიდან, რაც მოპასუხეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 სექტემბრის განჩინებით მ. და კ. გ-ძეების სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის მესამე ნაწილით, 369-ე მუხლით და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, ვინაიდან, საქმის მასალების შესაბამისად, მ. და კ. გ-ძეებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 2009 წლის 29 ივლისს ჩაიბარეს, ხოლო სააპელაციო საჩივრით სასამართლოს მიმართეს ამავე წლის 7 სექტემბერს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. და კ. გ-ძეებმა შეიტანეს კერძო საჩივარი და მოითხოვეს მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ აპელანტებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 2009 წლის 29 ივლისს ჩაბარდათ. ფაქტობრივად, გადაწყვეტილება მათ გადაეცათ 2009 წლის 27 აგვისტოს და სააპელაციო საჩივარი სასამართლოში 14-დღიანი ვადის დაცვით შეიტანეს.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საფოსტო განყოფილების მიღება-ჩაბარების უწყების შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების ასლი კ. და მ. გ-ძეებს ჩაბარდათ 2009 წლის 29 ივლისს.

ზემოხსენებულ განჩინებაზე სააპელაციო საჩივარი მხარეებმა წარადგინეს 2009 წლის 7 სექტემბერს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კ. და მ. გ-ძეების კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის გადაცემის მომენტიდან 14 დღის განმავლობაში. მითითებული ვადა იმპერატიულადაა დადგენილი და მისი გაგრძელების შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებში წარმოდგენილი საფოსტო შეტყობინების თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კ. და მ. გ-ძეებს კანონით დადგენილი წესით გაეგზავნათ და 2009 წლის 29 ივლისს კ. გ-ძეს პირადად ჩაბარდა. კ.გ-ძემ სასამართლო გზავნილი ჩაიბარა ასევე თავისი მეუღლის -მ. გ-ძისათვის გადასაცემადაც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროსა და ადგილზე. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. ამავე კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად კი, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ადრესატის არყოფნისას იგი ჩაბარდება მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში მ. გ-ძისათვის გაგზავნილი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი მხარისათვის ჩაბარებულად უნდა ჩიათვალოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის დაცვით რაიმე კონკრეტულ მტკიცებულებას არ ეფუძნება და, შესაბამისად, ვერ იქნება გაზიარებული კერძო საჩივრის ავტორთა მითითება, რომ მათ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 2009 წლის 27 აგვისტოს ჩაბარდათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა სავსებით სწორად აითვალა 2009 წლის 29 ივლისიდან და მართებულად ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივრის 2009 წლის 7 სექტემბერს შეტანით კ. და მ. გ-ძეებმა ზემოხსენებული ვადა დაარღვიეს, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

კ. და მ. გ-ძეების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე

### განჩინება

#ას-254-579-09

30 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

**დავის საგანი:** განაცდურის, მიუღებელი თანხის, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

გ. კ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ხაშურის საქალაქო სამმართველოს ყოფილი უფროსის, ლ. მ-შვილის მიმართ ამ უკანასკნელისათვის მატერიალური და მორალური ზიანის სახით 38339 ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გ. კ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა სასამართლოს მთავარ სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის გამო.

ზემოაღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ წარადგინა განცხადება ხაშურის რაიონულ სასამართლოში, რომელიც სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა საჩივრად და მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ივლისის განჩინებით საჩივარი დაკმაყოფილდა და საქმის წარმოება განახლდა.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილებით გ. კ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ხსენებულ გადაწყვეტილებაზე. გ. კ-მემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის საოქმო განჩინებით გ. კ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, ვინაიდან პროცესზე არ გამოცხადდნენ მხარეები.

აღნიშნული საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. კ-მემ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ჯერ კიდევ სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებაში მიღებამდე, 2008 წლის 14 ოქტომბერს, სააპელაციო საჩივართან ერთად, სასამართლოს წარუდგინა წერილობითი შუამდგომლობა, სადაც მიანიშნებდა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე შორ მანძილზე მის გადაადგილებას შეიძლება გამოეწვია გამოუსწორებელი უარყოფითი შედეგები, რის გამოც მოითხოვდა, რომ საქმე განხილულიყო სასამართლო სხდომაზე მისი ფიზიკური მონაწილეობის გარეშე ამავდროულად, წერილობითვე დაადასტურა თანხმობა სასამართლოს კითხვაზე: „არის თუ არა თანახმა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?“ გ. კ-მის განცხადებით, შუამდგომლობის და დაავადების დამადასტურებელი ცნობათა ქსეროასლები საქმეს თან ერთვის.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით არც მის მოპირდაპირე მხარეს და არც სასამართლოს გამოუთქვამს არანაირი შენიშვნა. შესაბამისად, მას მიაჩნია, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამართლის კოდექსის 231-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც მისი სარჩელი დატოვა განუხილველად, რითაც თვითონვე სასამართლომ შექმნა თავისივე 2009 წლის 4 თებერვლის საოქმო გადაწყვეტილებით გამოტანილი განჩინების გაუქმების რეალური საფუძველი.

კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, კერძო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ გ. კ-მის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად საქმის განხილვა სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმის განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებით და დამატებებით.

ამავე კოდექსის 207-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვაზე მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც გამოაქვს მოტივირებული განჩინება. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე სასამართლომ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს.

ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვისათვის აუცილებელია ორივე მხარის თანხმობა. მხარეები მსგავსი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში მიუთითებენ სარჩელსა და შესაგებელში, აღნიშნულზე მითითების სავალდებულობა უზრუნველყოფილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის "მ" ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის "ი" ქვეპუნქტით.

ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის უფლება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup> მუხლის თანახმად, მინიჭებული აქვს სააპელაციო სასამართლოსაც.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, გ. კ-მემ ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე წარდგენილ სააპელაციო საჩივარში თანხმობა განაცხადა, სასამართლოს საქმე განეხილა ზეპირი მოსმენის გარეშე. სააპელაციო პასუხში მოწინააღმდეგე მხარემ -ლ. მ-შვილმაც ასევე თანხმობა განაცხადა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვაზე. გარდა ამისა, გ. კ-მემ თავის სააპელაციო საჩივართან ერთად, სასამართლოს წარუდგინა წერილობითი შუამდგომლობა, სადაც მიაჩნებდა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე შორ მანძილზე მის გადაადგილებას შეიძლება გამოეწვიოთ გამოუსწორებელი უარყოფითი შედეგები, რის გამოც მოითხოვდა საქმის განხილვას სასამართლო სხდომაზე მისი ფიზიკური მონაწილეობის გარეშე.

თბილისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის საოქმო განჩინებით გ. კ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი მხარეთა გამოუცხადებლობის გამო.

საკასაციო პალატის მიაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლი არ ავალდებულებს მოსამართლეს, მხარეთა თანხმობის არსებობის შემთხვევაშიც კი საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, მაგრამ საქმის განხილვის ფორმა უნდა შეირჩეს ყოველი კონკრეტული საქმის თავისებურებიდან გამომდინარე, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით.

პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებია, როგორც აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები მისი ფიზიკური მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვის თაობაზე, ასევე მოწინააღმდეგე მხარის თანხმობა და საქმე განეხილა ზეპირი მოსმენის გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაბრუნდეს ხელახლა განსახილველად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, 207-ე 419, 420 მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

გ. კ-მის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის საოქმო განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### 3. საქმის წარმოების შეწყვეტა

საქმის წარმოების შეწყვეტა კერძო საჩივარზე უარის თქმის გამო

განჩინება

#ას-1027-1220-08

5 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** ფულადი თანხის დაკისრება, იპოთეკითა და გირავნობით დატვირთული ქონების რეალიზაცია

**აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 27 მაისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა სს "პროკრედიტ ბანკმა" (სს "საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკის" უფლებამონაცვლე) მოპასუხე მ. კ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისაგან საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების (მათ შორის: ძირითადი თანხა -13861 აშშ დოლარი, დარიცხული პროცენტი - 2699.32 აშშ დოლარი და 670.56 აშშ დოლარი -პირგასამტეხლო), მთლიანობაში 17230.88 აშშ დოლარის ანაზღაურება, აგრეთვე, აღნიშნული თანხის დაფარვა უწინარესად იპოთეკისა და გირავნობის ხელშეკრულებებით დატვირთული ქონების რეალიზაციის გზით.

მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად მოსარჩელე შემდეგ გარემოებებზე მიუთითებდა:

2002 წლის 14 ივნისს სს "საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკის" ბათუმის ფილიალსა და მ. შ-ძეს შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლითაც სს "საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკის" ბათუმის ფილიალმა მ. შ-ძეს გადასცა 17000 აშშ დოლარი, ხოლო ამ უკანასკნელმა იკისრა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, რაც გამოიხატებოდა მის მიერ 2005 წლის 14 ივნისამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხისა და ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთის 2%-ის მიხედვით დადგენილი თანხის გადახდაში, ამავე ხელშეკრულების მე-3 პუნქტის 3.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრედიტის დაფარვის თანდართული გრაფიკის მიხედვით. საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოფილ იქნა იპოთეკისა და გირავნობის ხელშეკრულებებით. ნაკისრი ვალდებულების მიუხედავად, მ. შ-ძემ დაარღვია საკრედიტო ხელშეკრულების დანართი #1-ით გათვალისწინებული კრედიტის დაფარვის გრაფიკი, რის თაობაზეც მას არაერთი გაფრთხილება, ხოლო დავალიანების დასაფარად გარკვეული ვადა მიეცა, რაც არ შესრულებულა. აღნიშნული გარემოება წარმოადგენდა ბანკის მხრიდან საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული მოცულობით შესრულების მოთხოვნის უფლებას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 20 ივნისის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირად ჩაება ბ. კ-ძე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სს "პროკრედიტ ბანკის" სარჩელი დაკმაყოფილდა: მ. კ-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა თანხის - 17230.88 აშშ დოლარი გადახდა; ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად დადგინდა მ. კ-ძის მიერ იპოთეკით დატვირთული მ. კ-ძის ქონების -ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბანში მდებარე მიწის ნაკვეთისა და ბ. კ-ძის კუთვნილი დაგირავებული ავტომანქანის ("ვაზ-21063") რეალიზაცია.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. კ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით ბ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში კანონით დადგენილ ვადებში შეიძლება გაასაჩივრონ მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი მოთხოვნით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონის ზემოთ დასახელებული ნორმის საფუძველზე, ბ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა, რამდენადაც მოცე-

მულ საქმეში იგი არც მხარეს და არც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირს არ წარმოადგენდა. მართალია, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას სააპელაციო სასამართლო ამ საჩივრის წარმოებაში მიღების შემდეგ ახდენდა, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლი ანალოგიურ შემთხვევაში სარჩელის (სააპელაციო საჩივრის) განუხილველად დატოვების საპროცესო შესაძლებლობას იძლეოდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ბ. კ-მემ (წარმომადგენელი დ. ხ-მე) კერძო საჩივარი წარადგინა, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად მიჩნევა მოითხოვა, შემდეგი მოტივებით:

ბ. კ-მის მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრებულია ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილია მისი მამკვიდრებლის -მ. კ-მის იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებისა და მისი კუთვნილი ავტომობილის რეალიზაცია. იმ პირობებში, როდესაც ბ. კ-მე საქმეში ჩაბმული იყო მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, სასამართლო გადაწყვეტილებით მის მიმართ რაიმე ვალდებულების დაკისრება არამართებულია. საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო ვალდებული იყო ბ. კ-მე აღნიშნულ საქმეში მოპასუხის სტატუსით ჩაება. ამდენად, სადავო შემთხვევაში აპელანტი ასაჩივრებდა სასამართლო გადაწყვეტილებას, რომლითაც მას გარკვეული ვალდებულებები დაეკისრა, რაც სრულიად უსაფუძვლოდ არ იქნა გათვალისწინებული.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას ბ. კ-მემ (წარმომადგენელი დ. ხ-მე) განცხადება წარმოადგინა, რომლითაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის (სარჩელზე უარის თქმა) საფუძველზე მოცემულ საქმეზე წარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. კ-მის (წარმომადგენელი დ. ხ-მე) შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და შეწყდეს კერძო საჩივარზე საქმის წარმოება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 378-ე მუხლის თანახმად, რომელიც ამავე კოდექსის 420-ე, 399-ე მუხლების საფუძველზე გამოიყენება კერძო საჩივრის განხილვისას, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის მიხედვით, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 399-ე და 372-ე მუხლების საფუძველზე ასევე გამოიყენება კერძო საჩივრის განხილვისას, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს -ცნოს სარჩელი.

მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორმა -ბ. კ-მემ წარმომადგენელ დ. ხ-მის მეშვეობით კერძო საჩივარზე უარის თქმით მოახდინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია. საქმის მასალებით დასტურდება, რომ წარმომადგენელ დ. ხ-მისათვის ბ. კ-მეს მინიჭებული აქვს სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის უფლებამოსილება. მითითებული რწმუნებულება ვადაშია და მარწმუნებლის ან რწმუნებულის მხრიდან წარმომადგენლობის შეწყვეტის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი საქმეში არ მოიპოვება. ამდენად, წარმომადგენელ დ. ხ-მის აღნიშნული მოქმედება სამართლებრივ შედეგს წარმოშობს და სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა, რამდენადაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე და 399-ე მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ამავე კოდექსის 378-ე, 272-ე მუხლების საფუძველზე მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ კერძო საჩივარზე უარის თქმის გამო მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს კერძო საჩივრის წარმოება.

საკასაციო სასამართლო 399-ე და 378-ე მუხლების საფუძველზე განუმარტავს კერძო საჩივრის ავტორს, რომ კერძო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 272-ე, 399-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ბ. კ-ძის (წარმომადგენელი დ. ხ-ძე) შუამდგომლობა კერძო საჩივარზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. მოცემულ საქმეზე შეწყდეს ბ. კ-ძის (წარმომადგენელი დ. ხ-ძე) კერძო საჩივრის წარმოება;
3. განმარტოს კერძო საჩივრის ავტორს, რომ კერძო საჩივარზე უარის თქმის გამო მას ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო  
განჩინება**

#ას-278-600-09

4 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ო. ჯ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ჩ-იას მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ შემდეგი საფუძველებით: 2005 წლის 18 ნოემბერს მოსარჩელემ კანონის მოთხოვნათა დაცვით გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით შეიძინა ქ. თბილისში, ... მე-2 მკ/რ-ის მე-5 კორპუსში მდებარე #66 ბინა, რომელშიც უკანონოდ ცხოვრობს მოპასუხე და ნებაყოფლობით არ ათავისუფლებს.

მ. ჩ-იამ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა და კანონისმიერ მემკვიდრედ ცნობა, თუმცა მოგვიანებით საქმის განხილვისას შეგებებული სარჩელი გაიხმო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 19 ნოემბრის განჩინებით მ. ჩ-იას შეგებებული სარჩელი დარჩა განუხილველად, ხოლო ამავე სასამართლოს 2008 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა - მოპასუხე თანმყოფ პირებთან ერთად სადავო ბინიდან გამოსახლდა, რაც მ. ჩ-იამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 იანვრის განჩინებით მ. ჩ-იას სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოება შეწყდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლით, 378-ე მუხლის პირველი ნაწილით, 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტით და მიუთითა, რომ საქმის განხილვისას მ. ჩ-იამ თავის სააპელაციო საჩივარზე უარი განაცხადა, რაც საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. ჩ-იამ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძველებით: მ. ჩ-იას მიერ თავის სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა განპირობებული იყო შეცდომითა და მისი ადვოკატის არასწორი იურიდიუ-

ლი კონსულტაციით. ფაქტობრივად, მხარეს სურდა საქმის წარმოების შეჩერება, რადგან ქ. თბილისის ისანი-სამგორის შსს სამმართველოს მე-4 ქვეგანყოფილებაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე თაღლითობის ფაქტზე, სადაც მოწმეებად დაიკითხნენ ო. ჯ-მე, ი. ჯ-შვილი და ნოტარიუსი ნ. ჯ-მე, რომლებიც უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების გაყალბებაში. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნა, რომლითაც ირკვევა მოწინააღმდეგე მხარის არაკეთილსინდისიერება, კერძოდ, იგი იყო ი. ჯ-შვილის მეგობარი და იცოდა სადავო ბინაზე მიმდინარე დავის შესახებ.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება მ. ჩ-იამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით, თუმცა 2009 წლის 6 იანვარს, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მან უარი განაცხადა თავის სააპელაციო საჩივარზე, რის შესახებაც წერილობით მიმართა სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მ. ჩ-ია მონაწილეობდა ადვოკატთან ერთად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ჩ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად კი, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე. მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე უფლებამოსილია, უარი განაცხადოს თავის სააპელაციო საჩივარზე. ამასთან, მან უნდა გაითვალისწინოს თანმდევი სამართლებრივი შედეგები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შედეგად საქმის წარმოება წყდება და მას იმავე სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრის შეტანის შესაძლებლობა აღარ მიეცემა.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა მ. ჩ-იამ სასამართლო სხდომაზე გამოხატა თავისი ნება სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ და მისი ნების ნამდვილობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სწორად შეწყვიტა საქმის წარმოება.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, ადვოკატის მიერ არასწორი იურიდიული კონსულტაციის თაობაზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველი მხარე დამოუკიდებლად ირჩევს წარმომადგენელს და ანდობს მას სასამართლოში საკუთარი ინტერესების დაცვას. შესაბამისად, აღნიშნული ვერ გახდება კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მ. ჩ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



## საქმის წარმოების შეწყვეტა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის გამო

### განჩინება

#ას-220-546-09

4 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 19 სექტემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ხონის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე კ. გ-ძის მიმართ და აღნიშნა, რომ კ. გ-ძე 2005 წლის პირველი მარტიდან კონტრაქტით გათვალისწინებული პირობის თანახმად, დაინიშნა, მეორე ქვეითი ბრიგადის, 22-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის, მეორე მსუბუქი ასეულის, მეორე მსუბუქი ქვეითი ოცეულის, მესამე მსუბუქი ქვეითი ასეულის საცეცხლე ჯგუფის მეთაურად და მიენიჭა სამხედრო წოდება "კაპრალი".

შეიარაღებულ ძალებში ჩარიცხვის დღიდან, კ. გ-ძე იმყოფებოდა სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე, რაც სახელმწიფოს მხრიდან მის მატერიალურ, სოციალურ და სამედიცინო უზრუნველყოფას გულისხმობდა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 28 ოქტომბრის #2845 ბრძანებით კ. გ-ძე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან 2005 წლის 7 ოქტომბრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

მოპასუხემ სამხედრო სამსახურში იმუშავა 7 თვე და 6 დღე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის 2005 წლის პირველი მარტის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის -3411,02 ლარის, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო ჯარიმის სახით 14000 ლარისა და 2005 წლის 18 ოქტომბრიდან, მოთხოვნილი თანხების გადახდამდე პირგასამტეხლოს სახით ყოველდღიურად 14000 ლარის 0,2 %-ის დაკისრება.

მოპასუხე კ. გ-ძემ შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა იმ საფუძველით, რომ უკვე არსებობდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, კერძოდ, მითითებული გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო კ. გ-ძისათვის 3411 ლარისა და 84 თეთრის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ხონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

კ. გ-ძე 2005 წლის პირველი მარტიდან კონტრაქტით გათვალისწინებული პირობის თანახმად, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 18 მარტის #604 ბრძანებით დაინიშნა საცეცხლე ჯგუფის მეთაურად და მიენიჭა "კაპრალის" წოდება;

საქმეში არსებული მასალებითა და მხარეთა განმარტებებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ თავდაცვის სამინისტრომ ანალოგიური სარჩელით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს კ. გ-ძის მიმართ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო მისთვის 3411,82 ლარის დაკისრების თაობაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ კ. გ-ძის მხრიდან კონტრაქტის 7.3 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებს ადგილი არ ჰქონია, მას არ შეუქმნია პირობები იმისათვის, რომ სამინისტროს მასთან კონტრაქტი შეეწყვიტა, სამხედრო ნაწილში მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით -ავადმყოფობით, შესაბამისად, არსებობდა ხელშეკრულების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზი, ვინაიდან ხელშეკრულების 7.3 პუნქტით სამხედრო მოსამსახურის მხრიდან პირობების შექმნა გულისხმობდა ამავე მოსამსახურის მხრიდან ბრალეული მოქმედების ჩადენას, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა, ვინაიდან ავადმყოფობა არ შეიძლება მიჩნეულიყო მოსამსახურის მხრიდან ბრალეულ ქმედებად.

აღნიშნული გარემოება, ხონის რაიონულმა სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, პრეიუდიციად ჩათვალა და საფუძვლად დაუდო გადაწყვეტილებას.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნის უფლება კრედიტორს მოვალის მიმართ იმ შემთხვევაში უჩნდება, თუ მოვალე განზრახ ან გაუფრთხილებლობით არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ხოლო განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან კ. გ-ძის ბრალეულობა გამოიროცხა, შესაბამისად, გამოირიცხა მისი პასუხისმგებლობაც და იგი აღარ წარმოადგენდა ვალდებულ პირს, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აღარ იყო უფლებამოსილი, მოპასუხისაგან თანხის ანაზღაურება მოეთხოვა.

ხონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის განჩინებით საქმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის გამო ხონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე კ. გ-ძისათვის ჯარიმის თანხის -14000 ლარის დაკისრებისა და პირგასამტეხლოს სახით 14000 ლარის 0,2%-ის ყოველთვიურად დაკისრების ნაწილში გამოიყო ცალკე წარმოებად და განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეცა საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის განჩინებით გაუქმდა ხონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება კ. გ-ძისათვის 3411,02 ლარის დაკისრების თაობაზე სარჩელზე უარის თქმის ნაწილში, კ. გ-ძის მიმართ 3411,02 ლარის ზიანის ანაზღაურების თაობაზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნაზე შეწყდა საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დამატებით განმარტა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კ. გ-ძეს შორის 2005 წლის პირველი მარტის ხელშეკრულების 7.3 პუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის თაობაზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, აღნიშნული გარემოება გამოიციხავდა 2008 წლის 19 სექტემბერს კ. გ-ძის წინააღმდეგ 3411,02 ლარის ანაზღაურებასთან დაკავშირებით წარდგენილი სარჩელის განხილვის შესაძლებლობას, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით წარდგენილ სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი იყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად იმსჯელა საქმის წარმოების შეწყვეტის ნაწილში, ვინაიდან მართალია არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 11 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინება იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში, მოთხოვნის საფუძველები არსებითად განსხვავდებოდა, კერძოდ, ხონის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ სარჩელს მითითებულ ნაწილში, თავდაცვის სამინისტრომ საფუძველად დაუდო სამოქალაქო კოდექსის 417-ე, 394.1, 407-ე, 361.2, 316.1, 317.1 მუხლები, ხოლო 2005 წლის 18 ნოემბრის სასარჩელო განცხადებაში თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველს ცალსახად წარმოადგენდა მხოლოდ კონტრაქტის 7.3, 8.3 პუნქტები.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი განხილვის გარეშე შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველებით.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 11 დეკემბრის განჩინებით ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 სექტემბრის და-

უსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი კ. გ-მის მიმართ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის, კერძოდ "სამხედრო მომსახურის" მომზადებაზე გაწეული ხარჯის -3411,82 ლარის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

ასევე დადგინდა, რომ, როგორც უკვე განხილულ და გადაწყვეტილ, ასევე მიმდინარე დავაში მოსარჩელე არის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, მოპასუხე კი -კ. გ-მე. დავის საგანი იყო და არის სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ორივე დავაში ერთი და იგივე მხარეები იდენტური საპროცესო სტატუსით მონაწილეობდნენ, ერთი და იმავე დავის საგნითა და საფუძველით. კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძველები არსებითად განსხვავდებოდა, კერძოდ, ხონის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ სარჩელს მითითებულ ნაწილში, თავდაცვის სამინისტრომ საფუძველად დაუდო სამოქალაქო კოდექსის 417-ე, 394.1, 407-ე, 361.2, 316.1, 317.1 მუხლები, ხოლო 2005 წლის 18 ნოემბრის სასარჩელო განცხადებაში თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველს ცალსახად წარმოადგენდა მხოლოდ კონტრაქტის 7.3, 8.3 პუნქტები. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო არ იზიარებს, ვინაიდან ორივე დავაში მოთხოვნის საფუძველი იყო კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობა და აღნიშნულის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ოქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის განჩინება;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **საქმის წარმოების შეწყვეტა მორიგებით**

#### **განჩინება**

#ას-270-593-09

14 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ს. მ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. კ-შვილის მიმართ მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძველებით: მხარეები არიან მეზობლები. მოსარჩელის ბინაში მოპასუხის ბინიდან არაერთხელ ჩავიდა წყალი, რამაც დააზიანა ს.მ-მის სახლი და ავეჯი. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ზიანმა შეადგინა 5514,90 ლარი, რაც ი. კ-შვილს უნდა დაეკისროს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ მოსარჩელის ბინაში არსებული დაზიანებები მისი ბრალით გამოწვეული არ არის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ი. კ-შვილს ს. მ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 5514,90 ლარის გადახდა, რაც ი. კ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 თებერვლის განჩინებით მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება, რომლითაც ი. კ-შვილმა ვალდებულება იკის-

რა, 2009 წლის ნოემბრამდე ს. მ-ძისათვის გადაეხადა 3000 ლარი, საქმის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის ზეპირი განხილვისას მხარეებმა წარადგინეს მორიგების აქტი. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით, 208-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიიჩნია, რომ აღნიშნული მორიგების აქტი არ ეწინააღმდეგება კანონს, საჯარო წესრიგსა და არ ლახავს მესამე პირთა უფლებებს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ს. მ-მემ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: გასაჩივრებული განჩინებით დამტკიცებული მორიგება ბათილია, ვინაიდან იგი დაიდო სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლისა და 81-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ს. მ-ძის მოტყუებით, მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან მისი გამოუცდელი გამოყენების შედეგად. წინააღმდეგ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი არ დასთანხმდებოდა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით 5514,90 ლარად შეფასებული ზიანის ასანაზღაურებლად 3000 ლარის გადახდას მით უფრო, რომ არსებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში 2009 წლის ნოემბრისათვის მითითებული თანხა შესაძლოა გაუფასურდეს. სასამართლოს არ უმსჯელია, რომ, სამოქალაქო კოდექსის 408-ე-409-ე მუხლების დარღვევით, მოწინააღმდეგე მხარე მორიგებისას არ იყო კეთილსინდისიერი და ბოროტად ისარგებლა მოსარჩელის გულუბრყვილობით.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით ი. კ-შვილს ს. მ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 5514,90 ლარის გადახდა, რაც ი. კ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

2009 წლის 17 თებერვალს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა შეადგინეს მორიგების აქტი და წარუდგინეს იგი სასამართლოს დასამტკიცებლად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ს. მ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით, ხოლო მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას.

ამასთან, საქმის მორიგებით დასრულებისას გასათვალისწინებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის დანაწევი, რომლის თანახმად მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. ამდენად, მორიგების პირობებზე შეთანხმებას მხარეები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ, ვინაიდან სასამართლოს მიერ მათი დამტკიცების შემდეგ განსახილველი დავა მთავრდება და მხარეთა შეთანხმებას სასამართლო გადაწყვეტილების ძალა ენიჭება.

მოცემულ შემთხვევაში ს. მ-მემ გამოავლინა რა ნება სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარესთან მორიგების შესახებ, გასაჩივრებული განჩინებით აღნიშნული მორიგების აქტი სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად დაამტკიცა და ს. მ-ძის ნების ნამდვილობაში ეჭვის შეტანის საფუძვლის არსებობა არც საქმის მასალებით და არც წარმოდგენილი კერძო საჩივრით არ დასტურდება.

დაუსაბუთებელია ს. მ-ძის მითითება სამოქალაქო კოდექსის 55-ე, 81-ე, 408-ე-409-ე მუხლებზე და მხარის მოსაზრება, რომ ი. კ-შვილმა ბოროტად ისარგებლა მისი გულუბრყვილობით, როდესაც 5514,90 ლარის ზიანის ანაზღაურების ნაცვლად, მორიგებით 3000 ლარი მიაკუთვნა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა მორიგების არსი მდგომარეობს შემდეგში: გარკვეული დათმობის სანაცვლოდ მხარეთა შორის სასამართლო დავა დასრულდეს, ხოლო საკუთარი მოთხოვნებისა და უფლებების დათმობის მოცულობას ყოველი მხარე დამოუკიდებლად წყვეტს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და  
**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

ს. მ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.  
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა საჩივარზე უარის თქმის გამო**

**განჩინება**

#ას-485-796-09

8 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** ძირითად სარჩელში -ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრა, შეგებულ სარჩელში -ალიმენტის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ი. გ-შვილმა და მ. ქ-შვილმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ი. ქ-შვილის მიმართ და მოითხოვეს ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრა კვირაში სამი დღით მამას, ბებიასა და პაპასთან დარჩენის უფლებით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შეგებულ სარჩელით მიმართა სასამართლოს ი. გ-შვილის მიმართ არასრულწლოვანი შვილის -ლ. გ-შვილის სასარგებლოდ ალიმენტის სახით ყოველთვიურად 100 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით თავდაპირველი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ი. გ-შვილსა და მ. ქ-შვილს უფლება მიეცათ ლ. გ-შვილი ინახულონ პარასკევსა და შაბათს 10:00 საათიდან 20:00 საათამდე, ზამთარში -10:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო ზაფხულის პერიოდში მოსარჩელებს უფლება მიეცათ არასრულწლოვანი ლ. გ-შვილი გაიყვანონ ქალაქგარეთ თოთხმეტი დღე-ღამით, ასევე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ი. ქ-შვილის შეგებულ სარჩელი, ი. გ-შვილს შვილის -ლ. გ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის -50 ლარის გადახდა 2008 წლის 12 ნოემბრიდან მის სრულწლოვანებამდე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ი. გ-შვილმა და მ. ქ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, რაზეც კერძო საჩივარი შეიტანეს ი. გ-შვილმა და მ. ქ-შვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებით კერძო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორებს დაევალოთ სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის ქვითრის დედნისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის "თ" ქვეპუნქტის შესაბამისად შედგენილი კერძოს საჩივრის წარმოდგენა.

მ. ქ-შვილმა და ი. გ-შვილმა განცხადებით მიმართეს სასამართლოს, უარი თქვენ კერძო საჩივარზე და იშუამდგომლეს მისი განუხილველად დატოვების თაობაზე.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ქ-შვილისა და ი. გ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, კერძო საჩივარზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოსათვის გათვალისწინებული წესების დაცვით, ამავე კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს, ხოლო 378-ე მუხლის თანახმად, მხარეს სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე უფლება აქვს, უარი თქვას სააპელაციო საჩივარზე. ასეთ შემთხვევაში სასამართლო წყვეტს საქმის წარმოებას და მხარეს ერთმევა გადაწყვეტილების შემდგომი გასაჩივრების უფლება. მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოს მიერ განჩინების მიღებამდე კერძო საჩივრის ავტორი უფლებამოსილია, თანმდევი სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, უარი განაცხადოს თავის კერძო საჩივარზე, რის შედეგად საქმის წარმოება აღნიშნულ კერძო საჩივარზე უნდა შეწყდეს. ამასთან, საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ იმავე სასამართლო განჩინებაზე კერძო საჩივრის განმეორებით შეტანა დაუშვებელია.

განსახილველ შემთხვევაში მ. ქ-შვილმა და ი. გ-შვილმა კერძო საჩივრით გაასაჩივრეს რა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მაისის განჩინება, საკასაციო სასამართლოში მისი დასაშვებობის საკითხის შემოწმების ეტაპზე უარი განაცხადეს თავის კერძო საჩივარზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის ზემოხსენებულ განჩინებაზე მ. ქ-შვილისა და ი. გ-შვილის მიერ შეტანილ კერძო საჩივარზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ს, 399-ე, 378-ე, მე-3, 284-ე, 285-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

შეწყდეს საქმის წარმოება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მაისის განჩინებაზე მ.ქ-შვილსა და ივ. გ-შვილის მიერ შეტანილ კერძო საჩივარზე. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო**

**განჩინება**

#ას-502-813-09 6 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

სარჩელის საგანი: შვილთან ურთიერთობის დღეების განსაზღვრა

კერძო საჩივრის დავის საგანი: მორიგების შესახებ განჩინების გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 4 თებერვალს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა მ. ბ-ამ მოპა-სუხე, ნ. ა-ძეს წინააღმდეგ და მოითხოვა შვილთან ურთიერთობისათვის დღეების განსაზღვრა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2003 წლის 4 სექტემბრიდან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მოპასუხე ნ. ა-მესთან, მათ ერთად ცხოვრების პერიოდში -2004 წლის 29 აგვისტოს შეეძინათ შვილი მ. ბ-ა. ამჟამად მოსარჩელე და მოპასუხე ურთიერთობის გამწვავების გამო ცხოვრობენ ცალ-ცალკე. ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ შვილის მიმართ ორივე მხარეს ექნებოდათ თანაბარი უფლება-მოვალეობები. მათივე შეთანხმებით, ბავშვი ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით იქნებოდა მამასთან, ხოლო პარასკევიდან ორშაბათამდე -დედასთან. შეთანხმება მოქმედებდა 5 თვის განმავლობაში. 2009 წლის 14 იანვარს მოპასუხემ შვილი წაიყვანა და მას შემდეგ მოსარჩელეს ბავშვთან ურთიერთობის საშუალებას არ აძლევს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით მ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -მ. ბ-ას შვილთან ურთიერთობისათვის განესაზღვრა კვირაში სამი დღე, ორშაბათ დილიდან ხუთშაბათ დილამდე, სადღესასწაულო დღეებში კი დღის პირველი ნახევარი 14 საათამდე. მოსარჩელის მოთხოვნა ზაფხულის და ზამთრის არდადეგების ნახევარი დროის შვილთან ურთიერთობის დღეებად განსაზღვრის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ საქმეში არსებული მასალებით, მხარეთა ახსნა-განმარტებებით დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის თანახმად, შვილების მიმართ მშობლებს გააჩნიათ თანაბარი უფლება-მოვალეობები. ამავე კოდექსის 198-ე მუხლის პირველის ნაწილი და 121-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს, რომ მშობლები მოვალენი არიან, არჩინონ არასრულწლოვანი შვილები, აღზარდონ ისინი, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის თანახმად, მშობელს, რომელიც შვილთან ერთად არ ცხოვრობს, უფლება აქვს ურთიერთობა ჰქონდეს შვილთან და ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მის აღზრდაში. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე შესაგებელში თავის მოსაზრებებს აფუძნებდა ძირითადად იმ გარემოებებზე, რომ მ. ბ-ა ცუდ გავლენას ახდენს შვილის აღზრდაზე. სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს მშობლისათვის განსაზღვრული ვადით შვილთან ურთიერთობის უფლების ჩამორთმევას სასამართლოს მიერ, თუკი ეს ურთიერთობა ხელს უშლის მის ნორმალურ აღზრდას და მავნე ზეგავლენას ახდენს მასზე. მოცემულ შემთხვევაში ნ. ა-მეს ასეთი თხოვნით სასამართლოსათვის არ მოუმართავს, ასევე მოპასუხემ ვერ მიუთითა, კომკრეტულად რა მავნე ზეგავლენას ახდენს მამა შვილზე და რატომ არის მასთან ურთიერთობა ბავშვისათვის საზიანო.

2009 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ა-მემ და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მ. ბ-ასთვის ბავშვთან ურთიერთობის განსაზღვრა შაბათ დილის 11.00 საათიდან კვირა დღის 18.00 საათამდე, ხოლო სადღესასწაულო დღეებში -დილის 12.00 საათიდან 17.00 საათამდე. აპელანტმა თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად მიუთითა, რომ მოწინააღმდეგე მხარე არ შესწევს უნარი, სრულფასოვნად განახორციელოს მშობლის უფლება-მოვალეობები.

2009 წლის 21 აპრილს გამართულ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის სხდომაზე მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება, რომლითაც მ. ბ-ას შვილთან ურთიერთობისათვის განესაზღვრა ყოველი კვირის პარასკევი 16.00 საათიდან კვირის 18.00 საათამდე, უქმე დღის 12.00 საათიდან 17.00 საათამდე, საზაფხულო არდადეგებიდან 2 სრული კვირა, ხოლო ზამთრის არდადეგებიდან -1 სრული კვირა დასასვენებლად წაყვანის მიზნით.

სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის ზემოაღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ა-მემ (წარმომადგენელი ნ. კ-ვა), რომელმაც მოითხოვა აღნიშნული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მორიგების დამტკიცების დროს სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ როდესაც მოწინააღმდეგე მხარემ თავის წარმომადგენელზე გააფორმა ნოტარიულად დამოწმებული რწმუნებულება, მ. ბ-ას სახელზე გაცემულ პირადობის მოწმობას მოქმედების ვადა გასული ჰქონდა, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნას, რომლის თანახმად, წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და დამოწმებულ მინდობილობაში. ამ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორის აზრით დაირღვა საქართველოს კანონი "ნოტარიატის შესახებ", "სანოტარო მოქმედებათა შესახებ" დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნები, რის საფუძველზეც რწმუნებულება არის იურიდიული ძალის არმქონე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ა-ძის (წარმომადგენელი ნ. კ-ვა) კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აპრილის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეებს შორის შედგა მორიგება. აღნიშნულ მორიგების აქტს ხელს აწერენ აპელანტი ნ. ა-ძე და მისი წარმომადგენელი ნ. კ-ვა, მოწინააღმდეგე მხარის, მ. ბ-ას წარმომადგენელი მ. ს-ძე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. ბ-ას თავის წარმომადგენელ მ. ს-ძესათვის მინიჭებული აქვს უფლებამოსილება საქმის მორიგებით დამთავრებაზე. რწმუნებულება ვადაშია და მარწმუნებლის ან რწმუნებულის მხრიდან წარმომადგენლობის შეწყვეტის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი საქმეში არ მოიპოვება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აპრილის განჩინებით წარმოდგენილი ზემოაღნიშნული მორიგების აქტი დამტკიცდა და საქმის წარმოება შეწყდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს, რომ მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს - ცნოს სარჩელი. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედებს დისპოზიციურობის პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალურთიერთობის მონაწილენი აღჭურვილი არიან თავიანთ უფლებათა თავისუფლად განკარგვის სრული უფლებამოსილებით. მხარეთა თავისუფალ განკარგულებაშია ყველა პროცესუალური საშუალება ამ უფლებამოსილების რეალიზებისათვის: მოსარჩელის ნებაზეა დამოკიდებული დაიწყოს საქმე, არ დაიწყოს ან შეწყვიტოს ნებისმიერ მომენტში, მოპასუხის გადასაწყვეტია, ცნოს ან არ ცნოს სარჩელი, მხარეთა მიერ გონივრული კომპრომისის მიღწევის უნარზეა დამოკიდებული, დაამთავრონ საქმე მორიგებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი შეიცავს იმ საპროცესო მოქმედებათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შესრულების უფლებაც არა აქვს წარმომადგენელს სპეციალური მინდობილობის გარეშე. მითითებული ნორმის მიხედვით, წარმომადგენელს შეუძლია დაამთავროს საქმე მორიგებით მხოლოდ მინდობილობაში სპეციალური მითითების შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა განკარგეს კანონით მინიჭებული უფლებამოსილება საქმის მორიგებით დასრულებაზე, რის შესაბამისადაც მათი აღნიშნული მოქმედება სამართლებრივ შედეგს წარმოშობს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული მორიგების აქტი, როგორც მხარეთა და მათი წარმომადგენლების მიერ მათი საპროცესო უფლების კანონშესაბამისი რეალიზების შედეგი, ექვემდებარება დამტკიცებას. მორიგების აქტში ჩამოყალიბებულ პირობებს თავად მხარეები განსაზღვრავენ. სადავო შემთხვევაში მხარეთათვის კანონით მინიჭებული აღნიშნული საპროცესო უფლების რეალიზება განხორციელდა აპელატის, მისი წარმომადგენლისა და მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის მიერ მორიგების აქტზე ხელმოწერის გზით.

მორიგების დამტკიცების თობაზე სადავო განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კერძო საჩივრის ავტორის მითითება მორიგების აქტის ხელმოწერის დროისათვის მარწმუნებლის პირადობის მოწმობის ვადის გასვლისა და აღნიშნული პირადობის მოწმობის საფუძველზე მინდობილობის გაცემის შესახებ. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია ის გარემოება, რომ მარწმუნებელ მ. ბ-ას მიერ გამოვლენილია ნამდვილი ნება წარმომადგენელ მ. ს-ძისათვის მორიგების უფლების მინიჭების შესახებ, კერძო საჩივრის ავტორი კი ვერ აქარწყლებს აღნიშნული ნების გამოვლენის ნამდვილობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ა-ძის (წარმომადგენელი ნ. კ-ვა) კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



#### 4. კერძო საჩივრის დასაშვებობა

##### კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

##### განჩინება

#ას-893-1104-08

9 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
მოსამართლე ნ. კვანტალიანმა

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

##### **აღწერილობითი ნაწილი:**

ე. გ-ვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. მ-ძის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით ე. გ-ვას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მ. მ-ძეს მოსარჩელეს სასარგებლოდ დაეკისრა 1320 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება მ. მ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 სექტემბრის განჩინებით მ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. მ-ძის წარმომადგენელმა ც. ფ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით კერძო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მხარეს მიეცა ვადა მის გამოსასწორებლად. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში კერძო საჩივრის ავტორს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის.

##### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-ძის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ამდენად, დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, მხარე კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში ვალდებულია განახორციელოს მასზე დაკისრებული მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ მან დაკარგა ინტერესი დავის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მეხამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს მოცემულ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება. მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კერძო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო საჩივრის ავტორს განუსაზღვრავს ვადას და დაუდგენს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის უნდა შესრულდეს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

მოცემულ შემთხვევაში მ. მ-ძეს საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით განესაზღვრა რა ხარვეზის გამოსწორებისათვის ვადა, დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდა და ც. ფ-ძის ადვოკატის მოწმობის წარმოდგენა. აღნიშნული განჩინება ც. ფ-ძეს ჩაჰბარდა 2008 წლის 23 დეკემბერს, ხოლო ხარვეზის გამოსწორების ვადა ამოიწურა 29 დეკემბერს. მხარეს განსაზღვრული ვადის განმავლობაში ხარვეზი არ გამოუსწორებია და სასამართლოსათვის არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს, რაც კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე, 420-ე მუხლებით, 396-ე მუხლის მესამე ნაწილით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

მ. მ-მის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება გასაჩივრების ვადის გასვლის გამო  
განჩინება**

#ას-14-352-09

15 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
მოსამართლე ლ. ლაზარაშვილი**

უპირი განხილვის გარეშე განიხილა კ. გ-მის კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აგვისტოს განჩინებაზე. საკასაციო სასამართლომ

**გამოარკვია:**

2008 წლის 7 მარტს ქობულეთის რაიონულ სასამართლოს მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო განცხადებით მიმართა კ. გ-მემ მოპასუხეების -ნ. ნ-მის, თ. და ტ. ნ-ძეების მიმართ.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით კ. გ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. გ-მემ, რომელმაც გასაჩივრებულ გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აგვისტოს განჩინებით კ. გ-მის სააპელაციო საჩივარი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შეუვსებლობის გამო დარჩა განუხილველი.

2008 წლის 10 დეკემბერს კ. გ-მემ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარადგინა კერძო საჩივარი განცხადების ფორმით, რომლითაც მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აგვისტოს განჩინება გახადა სადავოდ.

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კ. გ-მის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კ. გ-მის განცხადების ფორმით წარმოდგენილი საჩივარი თავისი არსით მიჩნეულ უნდა იქნეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აგვისტოს განჩინებაზე შემოტანილ კერძო საჩივრად და განხილულ იქნეს კერძო საჩივრის განხილვისათვის დადგენილი საპროცესო ნორმების შესაბამისად.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აგვისტოს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ აპელანტსა და მის წარმომადგენელს გაეგზავნათ საქმეში არსებულ მისამართებზე. საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ წარმომადგენელ ე. ბ-ძეს ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება პირადად ჩააბარდა 2008 წლის 4 სექტემბერს, ხოლო კ. გ-მისათვის სააპელაციო საჩივარში დასახელებულ მისამართზე გაგზავნილი განჩინების ასლი ჩააბარდა მის ნათესავს 2008 წლის 3 სექტემბერს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, კერძო საჩივრის შესატანად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 12-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში ამოიწურა 2008 წლის 15 სექტემბერს, ხოლო

კ. გ-მემ კერძო საჩივარი ფოსტას ჩააბარა 2008 წლის 3 დეკემბერს, ანუ კერძო საჩივრის წარდგენის 12-დღიანი საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ არის შეტანილი, დარჩება განუხილველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კ. გ-მის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის, ამავე კოდექსის 420-ე მუხლისა და 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. კ. გ-მის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აგვისტოს განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### სააპელაციო საჩივრის შეტანა არაუფლებამოსილი პირის მიერ

#### განჩინება

#ას-773-988-08

16 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით „ინტერნეიშენელ ტელსელ სპს ინქ-ის“ სარჩელი პარტნიორთა კრების ოქმების, წესდების ახალი რედაქციის, სანოტარო აქტებისა და სასამართლოს დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა „ინტერნეიშენელ ტელსელ ლლს-მა“, როგორც მოსარჩელის – „ინტერნეიშენელ ტელსელ სპს ინქ-ის“ უფლებამონაცვლემ.

2008 წლის 21 აპრილს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა მოწინააღმდეგე მხარის, შპს „მთაწმინდა ტელერადიოკომპანიას“ წარმომადგენელმა ა. თ-არმა, რომელმაც განმარტა, რომ აშშ დელავერის შტატიდან გამოითხოვა ამონაწერები მოსარჩელე კომპანიის – „ინტერნეიშენელ ტელსელ სპს ინქ-ის“ სამეწარმეო რეესტრიდან და მიღებული დოკუმენტით დადასტურდა, რომ აღნიშნულ კომპანიას სახელი არ შეუცვლია და იგი ამჟამადაც ამ სახელით არის რეგისტრირებული. განმცხადებელი ასევე მიუთითებდა, რომ აპელანტი „ინტერნეიშენელ ტელსელ ლლს-ს“ არის „ინტერნეიშენელ ტელსელ ინქ-ის“ სამართალმემკვიდრე და არა „ინტერნეიშენელ ტელსელ სპს ინქ-ის“ უფლებამონაცვლე, შესაბამისად, „ინტერნეიშენელ ტელსელს“ არა აქვს უფლება, გაასაჩივროს მოცემულ დავაზე მიღებული გადაწყვეტილება. აღნიშნულის გამო მოითხოვა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ივნისის განჩინებით შპს „მთაწმინდა ტელერადიოკომპანიის“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ინტერნეიშენელ ტელსელ ლლს-ის“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ სარჩელი აღძრულია „ინტერნეიშენელ ტელსელ სპს ინქ-ის“ მიერ და პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებაც მის მიმართ არის გამოტანილი. სააპე-

ლაციო საჩივარი კი შეიტანა „ინტერნეიშენელ ტელსელ ლლს-მა“. მოსარჩელე საზოგადოებას სახელი არ შეუცვლია და დღემდე რეგისტრირებულია და მუშაობს ამ სახელით. აპელანტი არის „ინტერნეიშენელ ტელსელ ინქ-ის“ სამართალმემკვიდრე და არა მოსარჩელე საზოგადოების უფლებამონაცვლე.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი აღძრულია არაუფლებამოსილი პირის მიერ, რის გამოც იგი დაუშვებელია.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა „ინტერნეიშენელ ტელსელ ლლს-ის“ წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში აპელანტის უფლებამოსილების გამოსწორება შესაძლებელია ხარვეზის დადგენის გზით, ვინაიდან, სსსკ-ის 368-ე მუხლი უფლებამოსილების ნაკლის გამო ხარვეზის დადგენას უკავშირებს იმ შემთხვევას, როცა სააპელაციო საჩივარი დაინტერესებული პირის სახელით შეტანილია სხვა პირის მიერ და მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი საქმეში არ არის. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი წარმოდგენილია არა დაინტერესებული პირის „ინტერნეიშენელ ტელსელ სპს ინქ-ის“, არამედ სხვა იურიდიული პირის „ინტერნეიშენელ ტელსელ ლლს-ის“ სახელით და ხელმოწერილია ამ საწარმოს წარმომადგენლობაზე სათანადო უფლებამოსილი პირის მიერ.

სააპელაციო პალატის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა „ინტერნეიშენელ ტელსელ სპს იქნ-ის“ წარმომადგენელმა გ. ყ-შვილმა. კერძო საჩივრის ავტორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას შემდეგი საფუძვლებით:

1. სააპელაციო საჩივრის შეტანის პირველივე წუთიდანვე ცნობილი და გასაგები იყო, რომ „ინტერნეიშენელ ტელსელ ლლს-ი“ არ წარმოადგენდა მონაწილე მხარეს. სააპელაციო სასამართლომ სახელმწიფო ბაჟის ქვითრისა და მინდობილობის წარმოსადგენად დაადგინა ხარვეზი. ამ ხარვეზთან ერთად უნდა მოეთხოვა სააპელაციო საჩივარზე ხელმოწერილი საწარმოს უფლებამოსილება დაინტერესებული მხარის წარმოსადგენად, მაგრამ სასამართლოს ასეთი ხარვეზი არ დაუდგენია სახელების მსგავსებით გამოწვეული შეცდომის გამო. ამდენად, მექანიკური შეცდომა დაუშვა არა მარტო აპელანტმა, არამედ სასამართლომაც და გასაჩივრებული განჩინებით ისჯება მხოლოდ აპელანტი.

2. ტექნიკურ შეცდომის არსებობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ სხვადასხვა დროს სასამართლომ მიმართავდნენ ორივე საზოგადოების სახელით;

3. სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი შეიტანა არადაინტერესებულმა პირმა, რადგან საქალაქო სასამართლოშიც და სააპელაციო სასამართლოშიც ამერიკული მხარე წარმოდგენილია ერთი და იმავე პირის -მ. ჰ-ის მიერ;

4. „ინტერნეიშენელ ტელსელ სპს ინქ-ი“ მზად იყო, დაედასტურებინა „ინტერნეიშენელ ტელსელ ლლს-ის“ უფლებამოსილება, წარმოადგინოს „ინტერნეიშენელ სპს ინქ-ი“, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს ამის პროცესუალური საშუალება არ მიუცია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა „ინტერნეიშენელ ტელსელ სპს ინქ-ის“ კერძო საჩივარი და თვლის, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით „ინტერნეიშენელ ტელსელ სპს ინქ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა „ინტერნეიშენელ ტელსელ ლლს-მა“, როგორც მოსარჩელის უფლებამონაცვლემ. სააპელაციო პალატის 2006 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით „ინტერნეიშენელ ტელსელ ლლს-ის“ სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

2008 წლის 12 ივნისის განჩინებით სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ აპელანტი „ინტერნეიშენელ ტელსელ ლლს-ი“ არის „ინტერნეიშენელ ტელსელ ინქ-ის“ სამართალმემკვიდრე და არა მოსარჩელე საწარმოს - „ინტერნეიშენელ ტელსელ სპს ინქ-ის“ უფლებამონაცვლე. შესაბამისად, მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, ასევე სასამართლომ მიიჩნია, რომ ხარვეზის დადგენა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სააპელაციო საჩივარი დაინტერესებული პირის სახელით შეტანილია სხვა პირის მიერ და მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი საქმეში არ არის. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი წარმოდგენილია არა მოსარჩელის, არამედ „ინტერნეიშენელ ტელსელ ლლს-ის“ სახელით.

საკასაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორად „ინტერნეიშენელ ტელსელ ლლს-ის“ მითითება გამოწვეული იყო ტექნიკური შეცდომით, ვინაიდან ორივე საზოგადოება, როგორც მოსარჩელე, ასევე აპელანტი წარმოდგენილი იყო ერთი და იმავე პირის -მ. ჰ-ის მიერ. („ინტერნეიშენელ ტელსელ სპს ინქ-ის“ და „ინტერნეიშენელ

ტელსელ ინქ-ის" და მისი უფლებამონაცვლის პრეზიდენტია მ. ჰ-ი). ასევე აღნიშნული შეცდომა გამოწვეული იყო ორივე საზოგადოების მსგავსი სახელების გამო, რაც დასტურდება ასევე იმით, რომ აპელანტი სხვადასხვა დროს სასამართლოს მიმართავდა ორივე საზოგადოების სახელით, კერძოდ, სასამართლოსათვის მიმართულ განცხადებაში ქართულ ენაზე განმცხადებლად მითითებულია „ინტერნეიშნელ ტელსელ ლოს-ი“, ხოლო ინგლისურ ენაზე „ინტერნეიშნელ ტელსელ სპს ინქ-ი“. აღნიშნულის გარდა, სააპელაციო საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, აპელანტი თვლიდა, რომ იყო მოსარჩელის უფლებამონაცვლე, შესაბამისად, მიაჩნდათ, რომ გამოდიოდნენ მოსარჩელის სახელით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ტექნიკური შეცდომის გამო მხარეს არ უნდა წაერთვას გასაჩივრების უფლება. სააპელაციო სასამართლოს აპელანტისათვის უნდა მიეცა ხარვეზის გამოსწორების შესაძლებლობა, კერძოდ, მ. ჰ-ს უნდა დაეზუსტებინა რომელი საზოგადოების სახელით ასაჩივრებდა გადაწყვეტილებას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

„ინტერნეიშნელ ტელსელ სპს ინქ-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;  
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება არ გასაჩივრდება.

**კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო**

**განჩინება**

#ას-8-347-09

9 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორების საქმეთა პალატა  
მოსამართლე ლ. ლაზარაშვილი**

**ზეპირი განხილვის გარეშე** განიხილა ლ. ჟ-იას (წარმომადგენელი ი. ბ-ძე) კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ოქტომბრის განჩინებაზე

**აღწერილობითი ნაწილი:**

ხოზის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. ჟ-იას სარჩელი ყულევის საკრებულოს საკომლო წიგნის ჩანაწერისა და საჯარო რეესტრის ამონაწერის ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება ლ. ჟ-იამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, რომლითაც მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 3 სექტემბრის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 სექტემბრის განჩინებით ლ. ჟ-იას დაევალი ხარვეზის შევსება, კერძოდ, აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში 150 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა; განჩინებით მასვე განემარტა, რომ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით ლ. ჟ-იას სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ხარვეზის შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 14 სექტემბრის განჩინების ასლი ლ. ჟ-იასა და მის წარმომადგენელ ე. ლ-იას გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით. აღნიშნული გზავნილი აპელანტს ჩაჰბარდა 2007 წლის 23 სექტემბერს. შესაბამისად, ხარვეზი უნდა შევსებულიყო 2007 წლის 30 სექტემბრამდე, რა პერიოდშიც ხარვეზი არ შევსებულა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა საჩივარი. თუ არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ლ. ჟ-იას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ შეუვსია, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ლ. ჟ-იამ (წარმომადგენელი ი. ბ-ძე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება, შემდეგი მოტივებით:

რამდენადაც ხობის რაიონულმა სასამართლომ მოცემული საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილა, შესაბამისად რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებაზე ლ. ჟ-იამ სააპელაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში წარადგინა. სწორედ აღნიშნულით იყო განპირობებული თავდაპირველად სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა. მას შემდგომ, რაც საქმე განსახილველად სამოქალაქო საქმეთა პალატას გადაეცა და ლ. ჟ-იას სააპელაციო საჩივარს ხარვეზი დაუდგინდა, აპელანტმა განჩინების მისთვის გადაცემიდან (2007 წლის 11 ოქტომბერი) სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი გამოასწორა, კერძოდ, 2007 წლის 17 ოქტომბერს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი ფოსტის მეშვეობით სააპელაციო სასამართლოში გააგზავნა. მოგვიანებით, 2008 წლის ივნისში ლ. ჟ-იამ საქმის წარმოების შეჩერების შესახებ იშუამდგომლა, რა დროსაც იგი მიიჩნევდა, რომ მისი სააპელაციო საჩივარი სასამართლოს წარმოებაში ჰქონდა მიღებული. უფრო მოგვიანებით, ლ. ჟ-იამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან 2008 წლის 11 ნოემბრით დათარიღებული წერილი მიიღო, საიდანაც ირკვეოდა, რომ მისი სააპელაციო საჩივარი ხობის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებაზე განუხილველად იყო დატოვებული. აღნიშნული წერილის მიღების შემდგომ კერძო საჩივრის ავტორმა თავისი ინიციატივით მოცემული საქმიდან რიგი მასალების ასლები, მათ შორის, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 ოქტომბრის განჩინების ასლი გადაიღო, რა დროსაც შესაძლებლობა მიეცა მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძვლებს გაცნობოდა.

მართალია, სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესახებ განჩინება ლ. ჟ-იას წარმომადგენელ ე. ლ-იას ორჯერ გაეგზავნა, თუმცა საქმეში არსებული არც ერთი საფოსტო გზავნილით არ ირკვევა, კონკრეტულად რა რიცხვში ჩაჰბარდა მოცემული განჩინება ე. ლ-იას, ან ჩაიბარა თუ არა განჩინება პირადად მან, რადგან გზავნილებში არ არის მითითებული ე. ლ-იას პირადობის მოწმობის ნომერი. ამასთან, საფოსტო გზავნილებზე ე. ლ-იას სახელით შესრულებული ხელმოწერები განსხვავებულია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 15 იანვრის განჩინებით ლ. ჟ-იას (წარმომადგენელი ი. ბ-ძე) კერძო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, კერძო საჩივრის ავტორს დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში ი. ბ-ძის მიერ ადვოკატთა ტესტირების გავლისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების დამადასტურებელი მოწმობის, აგრეთვე კერძო საჩივრის ერთი ასლის წარმოდგენა.

იმავედროულად, უზენაესი სასამართლოს მიერ სახალხო ფოსტაში გაიგზავნა წერილი, რომლითაც სახალხო ფოსტას ეთხოვა ეცნობებინა, როდის ჩაჰბარდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან 2007 წლის 17 ოქტომბერს გაგზავნილი ამავე სასამართლოს 2007 წლის 12 ოქტომბრის განჩინების ასლი ადრესატს - ე. ლ-იას.

2009 წლის 30 იანვარს საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემოვიდა სახალხო ფოსტის დირექტორის 29.01.2009წ. #04/09 პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან 2007 წლის 17 ოქტომბერს ხობში, ... #2-ში ე. ლ-იასათვის გაგზავნილი შეკვეთილი წერილი (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 ოქტომბრის განჩინება) შეტყობინებით ადრესატს ჩაჰბარდა 2007 წლის 21 ოქტომბერს.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრისა და საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ჟ-იას (წარმომადგენელი ი. ბ-მე) კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დგინდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 ოქტომბრის განჩინების ასლი საქმეში არსებულ მისამართზე არაერთხელ გაეგზავნა კერძო საჩივრის ავტორს - ლ. ჟ-იას. დასახელებული განჩინების ასლი ასევე გაეგზავნა ლ. ჟ-იას წარმომადგენელ ე. ლ-იას. ლ. ჟ-იასათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი საქმეში არ მოიპოვება, ხოლო ე. ლ-იასათვის საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინება არ მიუთითებს გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარების თარიღს.

დღეის მდგომარეობით, საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილია სახალხო ფოსტის დირექტორის 29.01.2009წ. #04/09 პასუხი, საიდანაც ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან 2007 წლის 17 ოქტომბერს ხობში, ... ქ. #2-ში ე. ლ-იასათვის გაგზავნილი შეკვეთილი წერილი (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 ოქტომბრის განჩინება) შეტყობინებით ადრესატს ჩაჰბარდა 2007 წლის 21 ოქტომბერს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 ოქტომბრის განჩინების გაგზავნისა და ჩაბარების პერიოდში ე. ლ-იას ლ. ჟ-იასაგან მინიჭებული ჰქონდა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილება, მინდობილობა ძალაში იყო 2008 წლის 12 აპრილამდე და მარწმუნებლის ან რწმუნებულის მხრიდან წარმომადგენლობის შეწყვეტის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი საქმეში არ მოიპოვებოდა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის შეტანის 12-დღიანი საპროცესო ვადის დინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე დაიწყო წარმომადგენელ ე. ლ-იასათვის გასაჩივრებული განჩინების სასამართლო გზავნილის ჩაბარების მომდევნო დღეს - 2007 წლის 22 ოქტომბერს და დასრულდა 2007 წლის 2 ნოემბერს, ხოლო კერძო საჩივრის ავტორმა მხოლოდ 2008 წლის 26 დეკემბერს გაასაჩივრა ზეოაღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ არის შეტანილი, დარჩება განუხილველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რომელიც ამავე კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე გამოიყენება კერძო საჩივრის განხილვისას, თუ საკასაციო საჩივარი არ პასუხობს მითითებულ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომელიც ამავე კოდექსის 420-ე, 399-ე მუხლების საფუძველზე ასევე გამოიყენება კერძო საჩივრის განხილვისას და განმარტავს, რომ თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს. კანონის დასახელებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძვლის არსებობისას, სასამართლო უფლებამოსილია საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე დატოვოს კერძო საჩივარი განუხილველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. ჟ-იას (წარმომადგენელი ი. ბ-მე) კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის, ამავე კოდექსის 420-ე მუხლისა და 396-ე მუხლის შესაბამისად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 420-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ლ. ჟ-იას (წარმომადგენელი ი. ბ-მე) კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ოქტომბრის განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;
2. ლ. ჟ-იას დაუბრუნდეს ი. ბ-მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -50 ლარი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი -200122900, მიმღები ბანკი -სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -300773150, დანიშნულება -სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განჩინების განუხილველად დატოვება ბაჟის გადაუხდელობის გამო**

**განჩინება**

#ას-70-403-09

23 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**სარჩელის დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**კერძო საჩივრის დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 8 თებერვალს სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ ლიკვიდატორმა ბ. კ-მემ განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადახდის ბრძანების მიღებისა და დ. ჩ-ანისათვის 4351,82 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის გადახდის ბრძანებით დ. ჩ-ანს დაეკისრა განმცხადებლის სასარგებლოდ 4351,82 აშშ დოლარის გადახდა. გადახდის ბრძანებაზე დ. ჩ-ანმა შეიტანა შესაგებელი კანონით დადგენილ ვადაში, რის გამოც ამავე სასამართლოს 2008 წლის 16 ივნისის განჩინებით გაუქმდა გადახდის ბრძანება და დადგინდა საქმის განხილვა სასარჩელო წარმოების წესით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე დ. ჩ-ანს დაეკისრა სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ სასარგებლოდ 4351,82 აშშ დოლარის გადახდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ჩ-ანმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 სექტემბრის განჩინებით დ. ჩ-ანს დაუდგინდა ხარვეზი სააპელაციო საჩივარზე და დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის -243 ლარის გადახდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინებით დ. ჩ-ანის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ აპელანტს 2008 წლის 16 სექტემბრის ხარვეზის განჩინება ჩაჰბარდა 2008 წლის 3 ნოემბერს, შესაბამისად, აპელანტს ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა ჰქონდა 2008 წლის 10 ნოემბრამდე. აპელანტს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ



ვადამი ხარვეზი არ შეუვსია, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა დ. ჩ-ანმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსების ვადის აღდგენა. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას იგი იყო უმუშევარი, რის გამოც ვერ შეძლო სახელმწიფო ბაჟის გადახდა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, ამჟამად იწყებს მუშაობას და ვადის აღდგენის შემთხვევაში შეძლებს სახელმწიფო ბაჟის გადახდას, რის შემდეგაც მისი სააპელაციო საჩივარი განხილული იქნება სააპელაციო სასამართლოს მიერ.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ჩ-ანის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 სექტემბრის განჩინებით დ. ჩ-ანს დაუდგინდა ხარვეზი სააპელაციო საჩივარზე და დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა 243 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას, რომ აპელანტს ხარვეზის შესახებ 2008 წლის 16 სექტემბრის ხარვეზის განჩინება ჩაჰბარდა 2008 წლის 3 ნოემბერს, შესაბამისად, მას ხარვეზის შევსების ვადა ამოეწურა 2008 წლის 10 ნოემბერს. მითითებულ ვადაში აპელანტს ხარვეზი არ შეუვსია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლის მოთხოვნებს, ასევე არ არის გადახდილი ბაჟი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნის საფუძველიანობას იმასთან დაკავშირებით, რომ საკასაციო სასამართლომ საპატიოდ ჩაუთვალოს სააპელაციო სასამართლოს განჩინებით განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობა და აღუდგინოს ხარვეზის შევსების ვადა, რადგან უმუშევრობის გამო ვერ შეძლო სახელმწიფო ბაჟის გადახდა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ დ. ჩ-ანს არ მიუმართავს სააპელაციო სასამართლოსთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების მოთხოვნით. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორის მითითებული შუამდგომლობა არ არის დასაბუთებული შესაბამისი მტკიცებულებებით. შესაბამისად, არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საპროცესო საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

- დ. ჩ-ანის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

### განჩინება

ნას-56-390-09

26 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

**დავის საგანი:** ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ. ბ-იასა და ნ. ფ-უას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება, პ. კ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2008 წლის 10 ნოემბერს პ. კ-იამ განცხადებით მიმართა სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ. მან მიუთითა, რომ ქ. ბ-იას მიერ სასამართლოზე წარდგენილი დოკუმენტი, რის საფუძველზეც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, ყალბია, კერძოდ, ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს 1988 წლის 3 ივნისის განჩინებით მხარეები მორიგდნენ, რომლის თანხმად ქ. ბ-ია კისრულობდა ვალდებულებას, ფართის მიღებისთანავე შეილთან -ნ. ფ-უასთან ერთად გადავიდოდა ბინიდან. 2000 წელს ქ. ბ-იამ ... ქ. #26-ში მიიღო ბინა, რომელშიც ჩაეწერა მხოლოდ თვითონ, შვილი კი მასთან დატოვა. ამდენად მორიგების განჩინებაში აღნიშნული პირობა არ შეასრულა. საოლქო სასამართლოს 2003 წლის 22 დეკემბრის სასამართლო გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინა ბ-იას მიერ წარდგენილმა გამგეობის მიერ გაცემულმა ყალბმა წერილმა ქ. ბ-იას მიერ მიღებული ბინის ავარიულობის შესახებ. ... ქ. #26-ში მდებარე ქ. ბ-იას მიერ დაკავებული ფართის ავარიულობის აქტი არ არსებობს არც გამგეობაში და არც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში. ქ. ბ-იამ სასამართლოზე წამოადგინა ცნობა, რომ მიღებული ბინა ავარიულია და ამიტომ იქ არ ცხოვრობს. ფაქტობრივად კი, იგი ამ ბინაში ცხოვრობდა და ცხოვრობს დღესაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინებით პ. კ-იას დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის წარდგენა და განცხადების წარმოდგენა სასამართლოში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის მოთხოვნების დაცვით, კერძოდ, მითითება იმ გარემოებებზე, რომლებიც მოწმობენ, რომ დაცულია განცხადების შეტანის ვადა და ამ გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 26 ნოემბრის განჩინებით პ. კ-იას განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, მართალია, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში პ. კ-იამ მიმართა სასამართლოს ხარვეზის შევსების შესახებ და წარმოადგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, მაგრამ მას არ წარმოუდგენია განცხადება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, რაც განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველია.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა პ. კ-იამ. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 26 ნოემბრის განჩინებაში მითითებულია, რომ მას არ წარმოუდგენია განცხადება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის შესაბამისად, რაც არასწორია. მის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებები საკმარისი იყო საქმის წარმოების განახლებისთვის. კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოებაში მიღება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ პ. კ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინებით პ. კ-იას დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის

წარდგენა და განცხადების წარმოდგენა სასამართლოში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის მოთხოვნების დაცვით, კერძოდ, მითითება იმ გარემოებებზე, რომლებიც მოწმობენ, რომ დაცულია განცხადების შეტანის ვადა და ამ გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება უნდა შეიცავდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებას; მითითებას იმ საფუძვლებზე, რომელთა გამოც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ან საქმის განახლება; მითითებას იმ გარემოებებზე, რომლებიც მოწმობს, რომ დაცულია განცხადების შეტანის ვადა, და ამ გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე; მითითებას განსჯადობის წესების დაცვის თაობაზე; მითითებას იმის შესახებ, თუ რა ზომით და რა ფარგლებში მოითხოვს განმცხადებელი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და სხვა გადაწყვეტილებით მის შეცვლას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ განცხადება არ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, სასამართლო ავალდებულებს განმცხადებელს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, განცხადება არ დაიშვება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან განმცხადებელმა ნაწილობრივ შეავსო ხარვეზი, კერძოდ, გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი და არ წარმოადგინა დაზუსტებული განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა მისი განცხადება განუხილველად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

- პ. კ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ნოემბრის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება**

### **განჩინება**

#ას-132-462-09

2 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

**დავის საგანი:** ზარალის ანაზღაურება

### **აღწერილობითი ნაწილი**

ა. გ-ურმა სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. ქ-ძის მიმართ ზარალის ანაზღაურების შესახებ. მან მიუთითა, რომ საკუთრებაში ჰქონდა „ზილ-131“ მარკის სატვირთო ავტომანქანა. ის და მისი მეუღლე არიან უმუშევრები, პენსიის გარდა არ გააჩნიათ სხვა შემოსავალი. იგი ავტომანქანით ემსახურებოდა კლიენტებს და ამ გზით მიღებული შემოსავალი წარმოადგენდა მისი ოჯახის ძირითად საარსებო საშუალებას.

2004 წლის 22 აპრილს თანამშრომლებთან ერთად მასთან სახლში მივიდა ახმეტის საპატრულო პოლიციის ჯგუფის უფროსი ინსპექტორი -დ. ქ-ძე, რომელმაც მოსთხოვა მისი კუთვნილი „ზილ-131“ მარკის სატვირთო ავტომანქანის საბუთები.

დ. ქ-ძემ იმ მოტივით, რომ ავტომანქანის ძრავის ნომრები არ ემთხვეოდა საბუთებში მითითებულ ნომრებს, სათანადო ოქმის შედგენის გარეშე გადაიყვანა მისი კუთვნილი ზემოაღნიშნული ავტომანქანა შს ახმეტის რაიგანყოფილების ეზოში, დროებით ვითომდა საკითხის გარკვევამდე. რო-

გორც შემდგომში მისთვის ცნობილი გახდა, 2004 წლის 12 მაისს დ.ქ-მემ აღნიშნული ავტომანქანა უკანონოდ გადასცა შინაგანი ჯარის სამხედრო ნაწილის წარმომადგენლებს, რის შემდეგაც მან ვერ შეძლო თავისი კუთვნილი სატვირთო ავტომანქანის დაბრუნება.

აღნიშნული სატვირთო ავტომანქანა იყო ტექნიკურად გამართული, რომელიც შეისყიდა 4000 აშშ დოლარად. ამასთან ერთად ავტომანქანის უკანონოდ წართმევის შემდეგ გასული პერიოდის განმავლობაში იგი გამოიმუშავებდა მინიმუმ 2000 აშშ დოლარს, ე.ი. დ. ქ-მის დანაშაულებრივი მოქმედებით მან დაკარგა 6000 აშშ დოლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა უკანონოდ ჩამორთმეული მისი კუთვნილი „ზილ-131“ მარკის ავტომანქანის დაბრუნება, როგორც იყო მისგან უკანონოდ ამოღების დროს, ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში, აუნაზღაურდეს შესაბამისი ღირებულება 6000 აშშ დოლარი (რა ღირებულების ზარალიც მან განიცადა მოპასუხე დ. ქ-მის დანაშაულებრივი ქმედებით).

მოპასუხე დ. ქ-მემ სარჩელის მოთხოვნა მასთან მიმართებაში არ ცნო და განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში იგი ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას, რის გამოც, მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, ა. გ-ურს წინაშე მიყენებული ზარალის ანაზღაურება უნდა დაეკისროს სახელმწიფო ორგანოს, კერძოდ, შსს ახმეტის რაიონულ განყოფილებას.

ახმეტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. გ-ურის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქართველოს შსს ახმეტის რაიონულ სამმართველოს და დ. ქ-მეს სოლიდარულად დაეკისრათ ა. გ-ურის სასარგებლოდ 1777 ლარისა და 50 თეთრის ანზღაურება.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ა. გ-ურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით ა. გ-ურს განესაზღვრა 10-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად. ა. გ-ურმა განცხადება შეიტანა სასამართლოში, თუმცა სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული განცხადება არ მიიჩნია საკმარისად და ამავე სასამართლოს 2008 წლის 7 ნოემბრის განჩინებით ა. გ-ურს კვლავ გაუგრძელდა ვადა ხარვეზის შესავსებად. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარში არ არის მითითებული, თუ რაში მდგომარეობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობა, რა გარემოებებს ეფუძნება აპელანტის მოთხოვნა და რა მტკიცებულებები ადასტურებს ამ გარემოებებს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 დეკემბრის განჩინებით კი ა. გ-ურის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება ა. გ-ურს ჩაჰბარდა 2008 წლის 17 ნოემბერს, მაგრამ მან სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ შეავსო, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. გ-ურმა. მან მიუთითა, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ თითქოს მან არ წარმოადგინა სასამართლოში დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი, კერძოდ, სააპელაციო საჩივარში არ იყო მითითებული სააპელაციო საჩივრის საფუძვლები და მტკიცებულებები. მან წარმოადგინა განაჩენი და თავისი ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ მოძრავი ქონება უკანონოდ წართვა პოლიციამ. აღნიშნული მტკიცებულებები და ფაქტები კი სასამართლომ არ მიიჩნია საკმარისად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ა. გ-ურის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით ა. გ-ურს განესაზღვრა ვადა ხარვეზის შესავსებად, კერძოდ, სააპელაციო საჩივარში არ იყო მითითებული, თუ რაში მდგომარეობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობა, რა გარემოებებს ეფუძნებოდა აპელანტის მოთხოვნა და რა მტკიცებულებები ადასტურებდნენ ამ გარემოებებს. ა. გ-ურმა წარმოადგინა სასამართლოში განცხადება ხარვეზის შევსების თაობაზე, მაგრამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნოემბრის განჩინებით აპელანტს კვლავ გაუგრძელდა ვადა ხარვეზის შესავსებად. იმ მოტივით, რომ ა. გ-ურმა

სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგინა დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი, 2008 წლის 30 დეკემბრის განჩინებით მისი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორს იმის შესახებ, რომ მან სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 13 ოქტომბრის განჩინების ჩაბარების შემდეგ შეავსო ხარვეზი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ა. გ-ურმა აღნიშნული განჩინების ჩაბარების შემდეგ შეიტანა დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი და სააპელაციო სასამართლოს ხელახლა არ უნდა მიეცა ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ა. გ-ურის კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა გაუქმდეს მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 დეკემბრის განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

ა. გ-ურის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 დეკემბრის განჩინება და საქმე დასაშვებობის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

#### **განჩინება**

#ას-192-519-09

30 აპრილი 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, მესაკუთრედ ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

მოსარჩელე ფ. მ-ოვამ სარჩელით მომართა სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა მამკვიდრებელ შ. მ-ოვის დანაშთ ქონებაზე, მდებარე ქ. გარდაბანში, ... ქ. #27(48) საცხოვრებელი სახლისა და საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე ფართით 1200 მ<sup>2</sup> მესაკუთრედ ცნობა, ასევე, გარდაბნის სანოტარო ბიუროს ნოტარიუსის მ. მ-შვილის მიერ 2003 წლის 27 ოქტომბერს ზემოაღნიშნულ ქონებაზე მ. მ-ოვის სახელზე გაცემული #2-24 სამკვიდრო მოწმობის და მისი სამართლებრივი შედეგების ბათილად ცნობა.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ფ. მ-ოვას უარი ეთქვა სარჩელზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ფ. მ-ოვამ. მოითხოვა მისი გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 9 თებერვლის განჩინებით, ფ. მ-ოვას სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული დაუშველობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთე-

ბული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

პალატამ დაადგინა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება აპელანტ ფ. მ-ოვას ჩაბარდა 2009 წლის 14 იანვარს. გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2009 წლის 15 იანვრიდან, აღნიშნული 14-დღიანი ვადის ბოლო დღეს წარმოდგენდა 2009 წლის 28 იანვარი, ანუ სააპელაციო საჩივრს შეტანის უფლებამოსილება აპელანტს გააჩნდა 2009 წლის 28 იანვრის ჩათვლით, სააპელაციო საჩივარი კი ფ. მ-ოვას მიერ შეტანილ იქნა 2009 წლის 30 იანვარს კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის გასვლის შემდგომ, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 9 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაა-საჩივრა ფ. მ-ოვამ.

მ-ოვას წარმომადგენლის განმარტებით, გარდაბნის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული 2008 წლის 19 სექტემბრის #2/141-08 გადაწყვეტილება აპელანტმა მიიღო 2009 წლის 16 იანვარს. ეს დასტურდება სააპელაციო საჩივარზე დართული გარდაბნის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული 2008 წლის 19 სექტემბრის #2/141-08 გადაწყვეტილებით, რომელიც დამოწმებულია სასამართლოს ბეჭდითა და გაცემის თარიღით 2009 წლის 16 იანვარს. ანუ შეუძლებელია აპელანტს მიეღო გადაწყვეტილება უფრო ადრე. მას სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ხელში ვერ ჩაუვარდებოდა, თუ მას სასამართლო არ გადასცემდა. რაღაც მაქინაციებით, უფრო ადრე რომც მიეღო, ის არ იქნებოდა სათანადო წესით დამოწმებული, რომ მივიჩნიოთ კანონით დადგენილი წესით გაფორმებულად და ჩაბარებულად. გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ თავისივე ბეჭდის დასმითა და გაცემის თარიღის დაფიქსირებით დაადასტურა გადაწყვეტილების გაცემის ფაქტი და თარიღი. აქედან გამომდინარე, გასაჩივრების ვადა აითვლება 2009 წლის 16 იანვრიდან, როგორც ეს თავად გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული და არა 14 იანვრიდან. წარმომადგენლის განმარტებით, ის რომ გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი დამოწმებული და გაცემული იქნა 2009 წლის 16 იანვარს, ასევე დასტურდება თავად ამ გადაწყვეტილების ზედა მარჯვენა კუთხეში აღნიშნული საქმის მასალის ფურცლების ნომრით -123/124, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ გადაწყვეტილება ამოღებული იქნა საქმის მასალებიდან, სათანადო წესით დამოწმდა და გაცემული იქნა 2009 წლის 16 იანვარს.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განიხილა კერძო საჩივარი და თვლის, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღე. ამ ვადის გამოთვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ჩაბარდა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი თოთხმეტდღიანი ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილების გასაჩივრება დაუშვებელია.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ფ. მ-ოვას გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა 2009 წლის 16 იანვარს. სამეში არსებულ ფ. მ-ოვას განცხადებიდან ირკვევა, რომ ფ. მ-ოვამ განცხადება გადაწყვეტილების ასლის გადაცემის შესახებ სასამართლოში წარადგინა 2009 წლის 14 იანვარს და ასევე განცხადებაში ნათლად წერია, რომ განმცხადებელმა გადაწყვეტილების ასლი ჩაიბარა 2009 წლის 16 იანვარს. ასევე ფ. მ-ოვას მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილების ასლზე გარდაბნის რაიონული სასამართლოს კანცელარიის მიერ მითითებულია გაცემის თარიღი 2009 წლის 16 იანვარი. შესაბამისად გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 17 იანვარს და ამოიწურა 31 იანვარს, კანონით გათვალისწინებული 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

ფ. მ-ოვას მიერ სააპელაციო საჩივარი წარმოდგენილია 30 იანვარს, ანუ კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დაცვით.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციოს სასამართლომ ვადის გაშვების გამო არასწორად დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის

შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ამ შემთხვევაში აპელანტის მიერ საპროცესო ვადა არ ყოფილა გაშვებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე, 284-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ფ. მ-ოვას წარმომადგენლის ზ. ქ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 09 თებერვლის განჩინება და საქმე დასაშვებობის სხვა კრიტერიუმების შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **კერძო საჩივრის შეტანის ვადა**

#### **განჩინება**

#ას-203-530-09

7 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),**

**თ. თოდრია (მომხსენებელი),**

**რ. ნადირიანი**

**დავის საგანი:** მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ი. დ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს "ცისკარას" წინააღმდეგ ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივლისის განჩინებით შეჩერდა აღნიშნული საქმის განხილვა ი. დ-მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ი. დ-მემ. ვინაიდან კერძო საჩივარზე არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 1 სექტემბრის განჩინებით ი. დ-მეს მიეცა 7-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად. ამავე სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინებით, ხარვეზის შეუვსებლობის გამო, ი. დ-მის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად.

ი. დ-მემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ. მან მიუთითა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში შეავსო ხარვეზი, მაგრამ სასამართლოში დროულად არ წარმოუდგენია. აღნიშნული საფუძველით ი. დ-მემ მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 იანვრის განჩინებით ი. დ-მის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 სექტემბრის განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივართან დაკავშირებით საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 იანვრის განჩინება და ი. დ-მის კერძო საჩივართან დაკავშირებული საქმის წარმოება განახლდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, ვინაიდან კერძო საჩივრის ავტორმა ვადაში შეავსო ხარვეზი, მაგრამ სასამართლოში დროულად ვერ წარმოადგინა, ამიტომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო პალატის 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინება და საქმის წარმოება განახლდეს.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს "ცისკარამ". მან მიუთითა, რომ ი. დ-მემ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი წარედგინა სასამართლოში,

თუმცა მას ავადმყოფობის დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოში არ წარმოუდგენია. ავადმყოფობის შემთხვევაში მას შეეძლო ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა აღნიშნული ქვითარი სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გააუქმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინება და, შესაბამისად, არასწორად განახლდა მოცემული საქმის წარმოება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ შპს "ცისკარას" კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ი. დ-მის კერძო საჩივარზე არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 1 სექტემბრის განჩინებით განესაზღვრა 7-დღიანი ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან და განემარტა, თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზს არ შეავსებდა, კერძო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

განჩინების ასლი ი. დ-მეს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით და ჩაჰბარდა 2008 წლის 5 სექტემბერს ანუ ხარვეზის შევსებისათვის ბოლო ვადა ამოიწურა 2008 წლის 12 სექტემბერს.

2008 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ქუთაისის სააპელაციო პალატის მიერ კერძო საჩივარი, ხარვეზის შეუსვებლობის გამო, დარჩა განუხილველი.

2008 წლის 11 ნოემბერს სააპელაციო პალატას განცხადებით მიმართა ი. დ-მემ და მიუთითა, რომ კერძო საჩივრის ავტორმა სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში, მაგრამ, ავადმყოფობის გამო, ვერ წარადგინა სასამართლოში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე-422-ე მუხლებით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წანამძღვრები. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება გასაჩივრდეს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

საკასაციო პალატა ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის შესახებ, რომ ი. დ-მეს არ წარმოუდგენია სასამართლოში მტკიცებულება, რის საფუძველზეც სასამართლოს შეეძლო საპატიოდ მიეჩნია სახელმწიფო ბაჟის წარუდგენლობა სასამართლოში. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, მიუხედავად იმისა, სახელმწიფო ბაჟს გადაიხდის თუ არა მხარე ბანკის მეშვეობით, აუცილებელი პირობაა, მან სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი წარმოადგინოს სასამართლოში სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში. თუ აღნიშნულ ვადაში არ წარმოადგენს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს სასამართლოში, ხარვეზი შევსებულად არ ჩაითვლება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ი. დ-მემ ავადმყოფობის გამო, ვერ შეეძლო სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა სასამართლოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შპს "ცისკარას" კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა გაუქმდეს მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

შპს "ცისკარას" კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინება; ი. დ-მის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



## საპროცესო ვადის დამთავრება

### განჩინება

#ას-1159-1304-08

7 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: გადახდის ბრძანების მიღება

#### აღწერილობითი ნაწილი:

სს „საქართველოს საზღვაო ბანკმა“ ქობულეთის რაიონულ სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისს განცხადებით მიმართა გადახდის ბრძანების მიღების თაობაზე და მოითხოვა ა. ხ-აზისათვის 12903,77 აშშ დოლარის დაკისრება იმ საფუძველით, რომ სს „საქართველოს საზღვაო ბანკსა“ და ა. ხ-აზს შორის 2002 წლის 24 დეკემბერს დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება #809\2002, რომლითაც ა. ხ-აზმა საზღვაო ბანკიდან აიღო კრედიტი 50 000 აშშ დოლარი ერთი წლის ვადით, ყოველთვიურად 2%-ის დარიცხვით. ა. ხ-აზმა ნაწილობრივ დაფარა კრედიტი და სარჩელის აღძვრის დროისათვის დავალიანებამ შეადგინა 12903,77 აშშ დოლარი.

განმცხადებელმა მოითხოვა განცხადებაში მითითებული თანხის, მოპასუხე ა. ხ-აზისათვის გადახდის ბრძანებით დაკისრება.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის გადახდის ბრძანებით, ა. ხ-აზს დაეკისრა 12903,77 აშშ დოლარის გადახდა.

აღნიშნული გადახდის ბრძანება 2008 წლის 2 ივლისს პირადად ჩაჰბარდა მოპასუხე ა. ხ-აზს.

2008 წლის 22 აგვისტოს მოპასუხე ა. ხ-აზის წარმომადგენელმა ე. ბ-ძემ ქობულეთის რაიონულ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი გადახდის ბრძანებაზე, მოითხოვა მისი გაუქმება და შესაგებლის შეტანის კანონით განსაზღვრული ვადის აღდგენა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 სექტემბრის განჩინებით ა. ხ-აზს უარი ეთქვა გადახდის ბრძანებაზე შესაგებლის შეტანისათვის გაშვებული ვადის აღდგენაზე.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ხ-აზის წარმომადგენელმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

ვინაიდან, კერძო საჩივარზე არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, კერძო საჩივრის ავტორს 2008 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით განესაზღვრა 7-დღიანი ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან და განემარტა, თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზს არ შეავსებდა, კერძო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

განჩინების ასლი ა. ხ-აზს და მის წარმომადგენელს ე. ბ-ძეს გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით. აღნიშნული განჩინება ე. ბ-ძეს ჩაჰბარდა 2008 წლის 22 ოქტომბერს, ხოლო ა. ხ-აზს 2008 წლის 23 ოქტომბერს.

2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ქუთაისის სააპელაციო პალატის მიერ კერძო საჩივარი, ხარვეზის შეუსრულებლობის გამო, დარჩა განუხილველი.

2008 წლის 3 ნოემბერს სააპელაციო სასამართლოში შევიდა ა. ხ-აზის წარმომადგენლის განცხადება ხარვეზის შევსების თაობაზე და სახელმწიფო ბაჟის -50 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2008 წლის 12 ნოემბერს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ა. ხ-აზის წარმომადგენელმა ე. ბ-ძემ და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლზე მითითებით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და კერძო საჩივართან დაკავშირებული საქმის წარმოების განახლება. განმცხადებლის განმარტებით, მან 2008 წლის 27 ოქტომბერს, სააპელაციო სასამართლოში ფოსტის მეშვეობით, ვადის დაცვით გააგზავნა განცხადება და ბაჟის ქვითარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინებით ა. ხ-აზის წარმომადგენელ ე. ბ-ძის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივართან დაკავშირებით საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაკმაყოფილდა, გაუქმდა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინება და ა. ხ-აზის კერძო საჩივართან დაკავშირებული საქმის წარმოება განახლდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ ხარვეზი ვადაში იქნა შევსებული, მაგრამ ფოსტის ბრალით მისი სასამართლოში დროულად წარდგენა ვერ მოხერხდა. პალატა თვლის, რომ ხარვეზის შეუვსებლობის საფუძველით ა. ხ-აზის წარმომადგენლის კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინება უნდა გაუქმდეს და კერძო საჩივართან დაკავშირებული საქმის წარმოება განახლდეს.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სს "საქართველოს საზღვაო ბანკმა". მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ა. ხ-აზის კერძო საჩივარი, ხარვეზის შეუვსებლობის გამო, დარჩა განუხილველად. სასამართლოს მიერ მიცემული საპროცესო ვადის გასვლის შემთხვევაში შესაძლებელია სასამართლოში შეტანილ იქნეს განცხადება არა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, არამედ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ, რომლის მიხედვით სასამართლოს შეუძლია იმსჯელოს საპროცესო ვადის აღდგენაზე. გარდა ამისა, მტკიცებულება, რის საფუძველზეც მოითხოვდა განმცხადებელი საქმის წარმოების განახლებას, ცნობილი იყო მანამდეც, ანუ 2008 წლის 31 ოქტომბრამდე, განუხილველად დატოვების განჩინების მიღებამდე. აქედან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ, ვინაიდან ა. ხ-აზს კერძო საჩივარზე არ ჰქონდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით განესაზღვრა 7-დღიანი ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან და განემარტა, თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზს არ შეავსებდა, კერძო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

განჩინების ასლი ა. ხ-აზს და მის წარმომადგენელ ე. ბ-ძეს გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით. აღნიშნული განჩინება ე. ბ-ძეს ჩაჰბარდა 2008 წლის 22 ოქტომბერს, ხოლო ა. ხ-აზს - 23 ოქტომბერს. ხარვეზის შევსების ბოლო ვადა კი ამოიწურა 2008 წლის 29 ოქტომბერს.

2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ქუთაისის სააპელაციო პალატის მიერ კერძო საჩივარი, ხარვეზის შეუვსებლობის გამო, დარჩა განუხილველი.

ა. ხ-აზის წარმომადგენლმა ე. ბ-ძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მიუთითა, რომ მას არ დაურღვევია ხარვეზის შევსების ვადა, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ფოსტით გააგზავნა 2008 წლის 27 ოქტომბერს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წანამძღვრები.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში მოიპოვება მხარის განცხადება და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი კონვერტთან ერთად, რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ ა. ხ-აზმა სახელმწიფო ბაჟი დროულად გადაიხადა და ვადის დაცვით ფოსტით გადააგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, თუმცა ფოსტის ბრალით არ მოხდა მისი სასამართლოში დროულად წარდგენა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. ხ-აზს არ დაურღვევია სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა. ვინაიდან ფოსტამ დროულად არ გადააგზავნა სასამართლოში აღნიშნული განცხადება სახელმწიფო ბაჟის ქვითართან ერთად, სასამართლომ ა. ხ-აზის კერძო საჩივარი დატოვა განუხილველად, თუმცა ა. ხ-აზის მიერ განცხადების შეტანის შემდეგ გაირკვა, რომ მან დროულად შეავსო ხარვეზი. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო**

**განჩინება**

#ას-307-628-09 14 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ე. კ-აკმა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს "ვგგ-ს" მიმართ ქ.თბილისში, ... ქუჩა #35-37 მდებარე ბინის მესაკუთრედ ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2003 წლის 14 მარტს აშხანაგობა "ვგგ-სა" და მოსარჩელეს შორის დაიდო #8 ნარდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მენარდეს 2003 წლის ბოლოსთვის უნდა აეშენებინა და საკუთრებაში გადაეცა შემკვეთისათვის ქ.თბილისში, ... ქუჩის #35-37-ში მშენებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სადარბაზოს მე-8 სართულზე მდებარე 288,6 კვ.მ ხუთოთახიანი #72 ბინა, რის სანაცვლოდ ე. კ-აკს უნდა გადაეხადა 50 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. 2003 წლის ბოლომდე მენარდეს სამუშაო არ დაუწყია, რის გამოც მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც ე. კ-აკმა თავისი ხარჯებით იკისრა ნაწილი სამუშაოს ჩატარება. აღნიშნული ხარჯები უნდა გაქვითულიყო მის მიერ გადასახდელი საერთო თანხიდან. სამუშაოების დასრულებისა და მოსარჩელისათვის ბინის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის მიუხედავად, მენარდე თავს არიდებდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მხარეთა შორის შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, რომ მოსარჩელეს გადაეცა 330 კვ.მ გატიხრული ბინა, რაც შეთანხმებულზე 41,4 კვ.მ-ით მეტი იყო, თუმცა ფართის სხვაობის ღირებულება ე. კ-აკს არ გადაუხდია. მოსარჩელის მიერ მითითებული გარიგება არ აკმაყოფილებს უძრავი ნივთის რეგისტრაციისათვის სამოქალაქო კოდექსით დადგენილ ფორმას და ბათილად უნდა ჩაითვალოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც შპს "ვ.გ.გ-მ" გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ამავე სასამართლოს 2009 წლის 28 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, მხარეს დაევალა 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის -3340 ლარის გადახდა და აღნიშნულის დამადასტურებელი ქვითრის დედნის სააპელაციო სასამართლოსათვის წარდგენა ან ამავე ვადაში მისი ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებელ გარემოებაზე მითითება. ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება აპელანტს 2009 წლის 26 თებერვალს ჩაბარდა. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილით

და მიიჩნია, რომ შპს "ვ.გ.გ-ს" სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია, რაც მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს "ვ.გ.გ-მ" შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მითითება, რომ აპელანტს სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი დროულად არ გამოუსწორებია, ვინაიდან სასამართლომ მხარეს დაავალა განსაზღვრულ ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა, რაც მან განხორციელა კიდეც 2009 წლის 5 მარტს, 7-დღიანი ვადის დაცვით, თუმცა გასაჩივრებულ განჩინებაში აღნიშნულის შესახებ მითითებული არ არის და სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების პირობებში აპელანტს სახელმწიფო ბაჟი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, არ დაბრუნებია. ამდენად, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შპს "ვ.გ.გ-ს" მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის საფუძველზე ხარვეზი გამოსწორებულად უნდა ჩათვლილიყო.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 იანვრის განჩინებით შპს "ვ.გ.გ-ს" სააპელაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა ხარვეზიანად და აპელანტს დაევალა 7 დღის ვადაში მისი ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებელი მტკიცებულების ან სახელმწიფო ბაჟის გადახდის ამსახველი ქვითრის სასამართლოსათვის წარდგენა.

საქმეში წარმოდგენილი გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით ირკვევა, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება შპს "ვ.გ.გ-ს" 2009 წლის 26 თებერვალს ჩაჰბარდა, თუმცა სასამართლოს მიერ დადგენილ 7-დღიან ვადაში მხარეს სააპელაციო პალატისათვის არ მიუმართავს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "ვ.გ.გ-ს" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი, სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველად.

ამასთან, ამავე კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. მოცემული ნორმის გამოყენების წინაპირობაა მხარის მიერ საპროცესო მოქმედების ვადის გაშვება.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განჩინებით აპელანტ შპს "ვ.გ.გ-ს" ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვრა 7-დღიანი ვადა, რომელიც აითვლება 2009 წლის 26 თებერვლიდან, ხარვეზის თაობაზე განჩინების მხარისათვის ჩაბარების მომენტიდან და იწურება 2009 წლის 5 მარტს.

საქმის მასალებით დგინდება, რომ ზემოხსენებულ პერიოდში შპს "ვ.გ.გ-ს" ხარვეზის გამოსწორების მიზნით, სასამართლოსათვის არ მიუმართავს, რის გამოც გასაჩივრებული განჩინებით მისი სააპელაციო საჩივარი მართებულად დარჩა განუხილველად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ ხარვეზს წარმოადგენდა რა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა, მითითებული ვადის დაცვით, 2009 წლის 5 მარტს აპელანტის მიერ თანხის ბანკში შეტანა ხარვეზის გამოსწორების საფუძველს წარმოადგენდა, ვინაიდან სააპელაციო პალატის 2009 წლის 28 იანვრის განჩინებით აპელანტს გასაგებად განემართა, რომ მას 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟი არა მარტო უნდა გადაეხადა, არამედ აღნიშნულის დამადასტურებელი ქვითარი სასამართლოსათვისაც უნდა წარედგინა,

რითაც ხარვეზის გამოსწორების ფაქტს დაადასტურებდა. აღნიშნული მოთხოვნა კი მხარემ უგულებელყო, რის გამოც მის ხარვეზი სრულად გამოსწორებულად ვერ ჩაითვლება.

რაც შეეხება შპს "ვ.გ.გ-ს" მიერ გადახდილ 3 340 ლარს, სააპელაციო სასამართლო მის შესახებ გასაჩივრებულ განჩინებაში ვერ მიუთითებდა და ვერც ხსენებულ თანხას მხარეს ვერ დაუბრუნებდა, რადგან განჩინება დათარიღებულია 2009 წლის 9 მარტით, სახელმწიფო ბაჟის ქვითარი კი წარდგენილ იქნა 2009 წლის 10 მარტს, განჩინების მიღების შემდეგ. ამდენად, აპელანტის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის თაობაზე სასამართლოსათვის განჩინების მიღებისას ცნობილი ვერ იქნებოდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს "ვ.გ.გ-ს" უნდა დაუბრუნდეს თ. ბ-შვილის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 3340 ლარი, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს მთლიანად დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

შპს "ვ.გ.გ-ს" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

შპს "ვ.გ.გ-ს" დაუბრუნდეს თ. ბ-შვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -3 340 ლარი. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **მხარის გამოუცხადებლობის მიზეზი**

#### **განჩინება**

#ას-507-818-09

6 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა:** მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

**სარჩელის დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**კერძო საჩივრის დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 2 ივლისს ხაშურის რაიონულ სასამართლოს კუთვნილი პირუტყვის დაბრუნების მოთხოვნით სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. ქ-შვილმა მოპასუხე ნ. გ-შვილის მიმართ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2006 წლის ოქტომბერში ნ. გ-შვილმა წაიყვანა 1200 ლარად ღირებული მისი კუთვნილი მსხვილფეხა პირუტყვი. რამდენადაც პირუტყვი მოპასუხის უკანონო მფლობელობაში იმყოფებოდა, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ გააჩნდა მისი გამოთხოვის სამართლებრივი საფუძველი.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 აგვისტოს განჩინებით მოცემული სამოქალაქო საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

საქალაქო სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ შეცვალა სარჩელის მოთხოვნა და პირუტყვის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის ნაცვლად მოითხოვა მოპასუხისათვის პირუტყვის ღირებულების -1180 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ქ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა -ნ. გ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1180 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება, რომელზეც

მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს გადაწყვეტილებას.

მოცემულ შემთხვევაში მოპასუხემ აღიარა, რომ მას მოსარჩელისაგან ნაყიდი სამი პირუტყვის საფასურად უნდა გადაეხადა 3 600 ლარის ოდენობით თანხა.

სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის სადავო საკითხი, პირუტყვის საფასურის სრულად გადახდის შესახებ, უნდა დადასტურებულიყო მოპასუხის მიერ. მას არანაირი მტკიცებულება მოსარჩელისათვის 3 600 ლარის გადახდის თაობაზე არ წარუდგენია.

სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის აღიარება მოპასუხის მიერ მის სასარგებლოდ 2 420 ლარის გადახდის შესახებ ადასტურებდა მხოლოდ აღნიშნული თანხის გადახდის ფაქტობრივ გარემოებას, რის გამოც მოთხოვნა დარჩენილი თანხის (1 180 ლარის) მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განჩინებით ნ. გ-შვილის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 16 აპრილს, 5.00 საათზე.

2009 წლის 15 აპრილს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ნ. გ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა საქმის სხვა დროისათვის გადადება იმ მოტივით, რომ შეიცვალა ადვოკატი. 2009 წლის 16 აპრილს სააპელაციო სასამართლოში ასევე წარადგინა შუამდგომლობა ნ. გ-შვილის წარმომადგენელმა ნ. გ-ძემ საქმის განხილვის გადადების თხოვნით. აღნიშნული შუამდგომლობა დასაბუთებული იყო იმით, რომ ნ. გ-ძე სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 აპრილის სხდომაზე თავისი მარწმუნებლის ინტერესების დაცვას ვერ ახერხებდა, რის გამოც აპელანტს, რომელსაც სამართლებრივი განათლება არ გააჩნდა, სჭირდებოდა დრო ახალი წარმომადგენლის ასაყვანად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 აპრილის საოქმო განჩინებით ნ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ აპელანტს ეცნობა სასამართლოს სხდომის დრო და ადგილი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, რის მიუხედავად მას სასამართლოსათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ.

განჩინების სამართლებრივ საფუძვლად დასახელდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ არ გამოცხადდება სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე (განმცხადებელი), ხოლო მოპასუხე თანახმაა, სარჩელი (განცხადება) განუხილველად იქნეს დატოვებული.

სააპელაციო სასამართლოს ზემომითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. გ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვა.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მან და მისმა რწმუნებულმა წარადგინეს განცხადება საქმის გადადების თხოვნით. მიუხედავად ამისა, აღნიშნული შუამდგომლობა სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 აპრილის სხდომის ოქმში არ დაფიქსირებულა. სასამართლომ ისე მიიღო განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომ მასზე არ უმსჯელია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 აპრილის საოქმო განჩინება, ნ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 25 მარტის განჩინებით ნ. გ-შვილის საქმის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 16 აპრილს, 15.00 სა-

ათზე. 2009 წლის 15 აპრილს ნ. გ-შვილმა ამავე სასამართლოში წარდგენილი განცხადებით იშუამდგომლა დანიშნული სასამართლო სხდომის სხვა დროისათვის გადადება. 2009 წლის 16 აპრილს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა აპელანტის წარმომადგენელმა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის მიხედვით, წარმომადგენელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე, რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს როგორც სასამართლოს, ისე მის მარწმუნებელს, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს თვითონ მიიღოს მონაწილეობა პროცესში და აიყვანოს ახალი წარმომადგენელი. ამის გათვალისწინებით სასამართლო დანიშნავს დროს, როცა წარმომადგენელს უფლება აქვს შეწყვიტოს პროცესში მონაწილეობა. აღნიშნული ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებული იყო ემსჯელა დანიშნული სხდომის გადადების მიზანშეწონილობაზე, რათა სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფილი ყოფილიყო წარმომადგენლის მეშვეობით მხარის უფლების დაცვის შესაძლებლობა. საგულისხმოა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა თავად მარწმუნებლის (ნ. გ-შვილი) სურვილიც თავისი უფლებების წარმომადგენლის მეშვეობით დაცვასთან დაკავშირებით. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეთა არსებითი საპროცესო უფლებაა სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, რაც ასევე გულისხმობს ამ შუამდგომლობების განხილვის, ხოლო დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში – შუამდგომლობაზე უარის თქმის მოტივების ცოდნის უფლებასაც.

ამდენად, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, საქმის განხილვის გადადების შესახებ აპელანტის შუამდგომლობაზე მსჯელობის გარეშე გადაეწყვიტა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხი და არ გამოერკვია, არსებობდა თუ არა მოცემულ შემთხვევაში მხარის გამოუცხადებლობის საპატიო გარემოება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ნ. გ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 აპრილის საოქმო განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

#### **განჩინება**

#ას-ას-642-948-09

13 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

სარჩელის საგანი: სამკვიდროს ფაქტობრივად მიღების ფაქტის დადგენა, ქ. თბილისში მდებარე უძრავი ქონების მიკუთვნება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 5 სექტემბერს ლ. ა-იანმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების -ჯ. ა-ოვის, ა. ა-ოვისა და ა. ა-ოვის მიმართ დედის -ს. კ-იანის სამკვიდროს ფაქტობრივად მიღების ფაქტის დადგენისა და ქ.

თბილისში, ... ქ. #22-ში მდებარე ს. კ-იანის სახელზე რიცხული უძრავი ქონების მიკუთვნების მოთხოვნით. მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი არის ს. კ-იანის ერთადერთი მემკვიდრე. მისივე მითითებით, ერევანში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ ს. კ-იანმა თავისი მოძრავი ქონების ნაწილი თან წაიღო. 1976 წელს 25 მაისს ს. კ-იანმა ქ. თბილისში I სანოტარო კანტორაში შეადგინა ანდერძი, რომლის თანახმად, მთელი თავისი ქონება, მათ შორის, უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. #22-ში დაუტოვა ლ. ა-იანს. 1990 წლის 7 ივნისს ს. კ-იანი გარდაიცვალა და დაკრძალულ იქნა სომხეთში, ქ. იჯევანში. დედის გარდაცვალების შემდეგ ლ. ა-იანი შეუდგა დედის ქონების იმ ნაწილის ფლობას, რომელიც იმყოფებოდა ერევანში, ხოლო თბილისში არსებულ უძრავ ქონებას პერიოდულად ნახულობდა, უვლიდა და დროებითი სარგებლობისათვის გადასცემდა ახლო ნათესავებს. 2007 წლის 8 ივნისს ლ. ა-იანმა მიმართა ქ. თბილისის ნოტარიუსს სამკვიდრო მოწმობის გაცემის თაობაზე, რაზეც ვადის გაშვების გამო უარი ეთქვა. ლ. ა-იანმა იურიდიული ფაქტის დასადგენად მიმართა თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სომხეთის რესპუბლიკის სასამართლოს, რომელმაც 2007 წლის 23 ივლისს დაადგინა, რომ ლ. ა-იანი ნამდვილად შეუდგა ს. კ-იანის სამკვიდროს ნაწილის ფლობას, რომელიც სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის სომხეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით ლ. ა-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა. დადგენილ იქნა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი იმის შესახებ, რომ მოსარჩელე ლ. ა-იანმა ფაქტობრივად მიიღო სამკვიდრებლის - 1990 წლის 8 ივლისს გარდაცვლილი ს. კ-იანის დანაშთი სამკვიდრო ქონება. ლ. ა-იანი ცნობილი იქნა ქ. თბილისში, ... ქ. #22-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრედ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება, რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებს თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ჯ. ა-ოვის მიერ იმ ფაქტობრივი გარემოების დადასტურება, რომ დედის გარდაცვალების შემდეგ მოსარჩელე ლ. ა-იანი დაეუფლა დედის კუთვნილ მოძრავ ნივთებს, რომლებიც მოსარჩელის მიერ წაღებული იქნა ქ. თბილისში, ... ქ. #22-ში მდებარე სახლიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის შესაბამისად, საკმარის მტკიცებულებად შეიძლება ჩათვალოს იმ გარემოების დასადგენად, რომ ლ. ა-იანმა ფაქტობრივად მიიღო სამკვიდრო ქონების ნაწილი. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხეთა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ, მართალია, მოსარჩელემ ფაქტობრივად მიიღო დედის კუთვნილი მოძრავი ნივთები, მაგრამ მას არ გააჩნია რაიმე უფლება საცხოვრებელ სახლზე, ვინაიდან არ დაუფლებია უშუალოდ მას. ვინაიდან კუთვნილი სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ მოსარჩელე მიიჩნეოდა სამკვიდროს გახსნის დღიდან, ამ უფლების რეალიზაციის მოთხოვნა მესაკუთრეს შეეძლო ნებისმიერ დროს და მასზე ხანდაზმულობის ვადა ვერ გავრცელდებოდა. ამ თვალსაზრისით სასამართლომ ვერ გაიზიარა მოპასუხეთა წარმომადგენლის მოსაზრება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხეების სამკვიდრებელს - ე. ა-იანს არ წარმოშობია დედის სამკვიდროდან სავალდებულო წილი მიღების უფლება, რადგან არ დასტურდება, რომ იგი იყო შრომისუუნარო და იმყოფებოდა დედის კმაყოფაზე, შესაბამისად აღნიშნული უფლება არც მემკვიდრეობით გადასულა მოპასუხეებზე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა - ჯ. ა. და ა. ა-ოვებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ლ. ა-იანის სარჩელზე უარის თქმა. აპელანტებმა მიუთითეს, რომ სასამართლომ არ გამოიკვლია ის გარემოება, თუ რა მიზნით გადასცა სამკვიდრებელმა აღნიშნული ქონება მოსარჩელეს, ჰქონდა თუ არა ნივთების გადაცემას ჩუქების ხასიათი. აპელანტს სამკვიდრო ქონების მიღების ფაქტის დადგენა დაუშვებლად მიაჩნია, რადგან იგი მოკლებულია კანონიერ საფუძველს. აპელანტი მიუთითებს, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა მოპასუხე ჯ. ა-ოვის მიერ იმ გარემოების დადასტურება, რომ ლ. ა-იანი დაეუფლა დედის კუთვნილ მოძრავ ნივთებს. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორედ განმარტა სამოქალაქო კოდექსის 556-ე მუხლი, რადგან ნორმაში არ არის მითითებული სამკვიდრო ნაწილის მიღების შესახებ, ასევე ვერ დაასაბუთა, თუ რატომ ნიშნავს სამკვიდროს ნაწილის მიღება მთელი სამკვიდროს მიღებას. აპელანტი მიუთითებს, რომ დარღვეულია ხანდაზმულობის ვადა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2009 წლის 15 ივნისის განჩინებით ჯ. ა. და ა. ა-ოვების სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 369-ე მუხლით დადგენილია სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგ-



რძელება არ შეიძლება და იწყება მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარეთათვის ან მათი წარმომადგენლისათვის ჩაჰბარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. განსახილველ საქმეში არსებული გზავნილით ირკვევა, რომ 2009 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება ჯ. ა. და ა. ა-ოვების წარმომადგენელ მ. ჯ-მეს ჩაბარდა პირადად 2009 წლის 17 მაისს, ხოლო სააპელაციო საჩივარი წარმოდგენილია 2009 წლის 10 ივნისს, რაც იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივარი წარდგენილია გასაჩივრების 14-დღიანი ვადის დარღვევით.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრეს ჯ. ა. და ა. ა-ოვებმა (წარმომადგენელი მ. ჯ-მე), რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება თბილისის სააპელაციო სასამართლოში არსებითი განხილვისათვის. კერძო საჩივრის ავტორები მიუთითებენ, რომ 2009 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება მ. ჯ-მეს ჩაბარდა 2009 წლის 27 მაისს და არა 17 მაისს, ხოლო სააპელაციო საჩივარი წარდგენილია 2009 წლის 10 ივნისს, საპროცესო კოდექსით დადგენილი 14-დღიანი ვადის დაცვით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. ა. და ა. ა-ოვების კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივნისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება ჯ. ა. და ა. ა-ოვების წარმომადგენელ მ. ჯ-მეს თბილისის საქალაქო სასამართლოდან გაეგზავნა 2009 წლის 27 მაისის გზავნილით. სააპელაციო სასამართლომ 2009 წლის 15 ივნისის განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საფუძვლად დაუდო მ. ჯ-მის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღად 2009 წლის 17 მაისის მითითება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ტექნიკურ შეცდომას წარმომადგენლის მიერ გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღად "27-ის" ნაცვლად "17-ის" მითითებაში, რამდენადაც 2009 წლის 27 მაისს სასამართლოდან გაგზავნილ გადაწყვეტილებას წარმომადგენელი 2009 წლის 17 მაისს ვერ ჩაიბარებდა. ამასთან, აღნიშნული "17" დაწერილია ისე, რომ ციფრი "1" წააგავს "2-საც".

იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო საჩივრის შესატანად დადგენილი 14-დღიანი ვადის ათვლა ვერ დაიწყებოდა გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის გაგზავნამდე, ე.ი. 2009 წლის 27 მაისამდე, ხოლო წარმომადგენელ მ. ჯ-მეს სააპელაციო საჩივარი წარდგენილი აქვს 2009 წლის 27 მაისიდან 14 დღის ვადაში - 2009 წლის 10 ივნისს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით დადგენილი საპროცესო ვადის დაცვით არის შეტანილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი გასაჩივრების ვადის გაშვების გამო. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულის გათვალისწინებით ხელახლა უნდა გადაწყვიტოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ჯ. ა-ოვის, ა. ა-ოვის, ა. ა-ოვის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივნისის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კერძო საჩივრის შეტანის ვადა

### განჩინება

#ას-724-1023-09

20 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
მოსამართლე ლ. ლაზარაშვილი**

**განიხილა** გ. გ-ძის კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის განჩინებაზე. საკასაციო სასამართლომ

#### **გამოარკვია:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით გ. გ-ძის სარჩელი თ. მ-ძის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა გ. გ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის განჩინებით გ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

აღნიშნული განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა გ. გ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში განხილვისათვის.

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრისა და საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. გ-ძის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ სხდომას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

საქმის მასალების თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 25 ივნისის განჩინება გ. გ-ძეს 2009 წლის პირველ ივლისს ჩაჰბარდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, ხოლო ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის შეტანის თორმეტდღიანი საპროცესო ვადის ათვლა დაიწყო მომდევნო დღეს - 2009 წლის 2 ივლისს და დასრულდა 2009 წლის 13 ივლისს, რომელიც იყო სამუშაო დღე - სამშაბათი. კერძო საჩივარი გ. გ-ძემ სააპელაციო სასამართლოში შეიტანა 2009 წლის 14 ივლისს, ანუ კერძო საჩივრის შესატანად განსაზღვრული თორმეტდღიანი საპროცესო ვადის ამოწურვის შემდეგ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომელიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ განუხილველი დარჩება. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით, ხოლო 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. გ-ძის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე 396-ე, 420-ე მუხლების შესაბამისად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე, 63-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

1. გ. გ-მის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო**

**განჩინება**

#ას-575-883-09

27 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

**სარჩელის დავის საგანი:** თანამესაკუთრედ ცნობა

**კერძო საჩივრის დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 22 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართეს გ., თ., ს., ნი., ნა. ჩ-ებმა და გ. გ-მემ მოპასუხე ვ. ჩ-ის წინააღმდეგ და მოითხოვეს საერთო საკუთრებიდან 2/3 წილის გამოყოფა.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ გ. ჩ-ს თავის ოჯახთან ერთად მოპოვებული აქვს ფართზე უფლება, რაც დასტურდება 1998 წლის 26 თებერვლის ცნობით, რომლის მიხედვითაც სადავო ბინაში ჩაწერილი იყო ოჯახის 9 წევრი, აქედან 3 წევრი იყო ვ. ჩ-ის ოჯახის წევრი, ხოლო 6 პირი წარმოადგენდა მოსარჩელე გ. ჩ-ის ოჯახის წევრს. სადავო ბინა მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. #17-ში, რეგისტრირებულია მოსარჩელის ძმაზე, მოპასუხე ვ. ჩ-ზე. ბინის პრივატიზაცია განხორციელდა 1998 წელს. ამ დროისთვის თითოეულ მოსარჩელეს მოპოვებული ჰქონდა ფართზე უფლება, კერძოდ, მთლიანობაში მათი წილი შეადგენს 2/3-ს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა -მოსარჩელები ცნობილ იქნენ ქ. თბილისში, ... ქ. #17-ში, ბინა #3-ში მდებარე ბინის 2/3-ის მესაკუთრეებად. მოპასუხე ვ. ჩ-ს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა 100 ლარის გადახდა მათ მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

საქალაქო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ პრივატიზაციის მომენტისათვის ქ. თბილისში, ... ქ. #17-ში, ბინა #3-ში რეგისტრირებული იყო 9 პირი, მათ შორის, მოსარჩელები. ასევე დადგინილად იქნა ცნობილი, რომ მოსარჩელები 2000 წლის 8 ივლისიდან ამოწერილნი არიან სადავო ბინიდან. სასამართლომ მიიჩნია, რომ "საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილების თანახმად, ბინების პრივატიზაცია წარმოადგენს მოქალაქეთათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის ნებაყოფლობით შეღავათიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ საცხოვრებელი სახლის პრივატიზაციისას თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ის პირები, ვინც წარმოადგენენ ამ საცხოვრებელი სახლის დამქირავებლებს, ან მათი ოჯახის წევრებს. ამდენად, პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია ერთ-ერთ დამქირავებელზე გულისხმობს საკუთრების უფლების მოპოვებას ყველა დამქირავებლისა და ოჯახის ყველა წევრის სასარგებლოდ. შესაბამისად, საცხოვრებელი სახლის უსასყიდლოდ გადაცემის ხელ-

შეკრულებით პრივატიზაციის უფლების მქონე დანარჩენ პირებს წარმოეშობათ საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის უფლება შესაბამისი წილის გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელებს სადავო ბინაზე საკუთრების უფლება წარმოეშვათ მინისტრთა კაბინეტის ზემოხსენებული დადგენილების საფუძველზე. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელებს არ გააჩნდათ უფლება სადავო ბინის წილზე, ვინაიდან მათ ფაქტობრივად არ უცხოვრიათ ბინაში. სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ბინის წილზე მოსარჩელეთა საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველია პრივატიზაციის მომენტისათვის სადავო ბინაში მათი რეგისტრაციის არსებობა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ჩ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა მოსარჩელეთა წარმომადგენელმა გ. ჟ-იამ და მოითხოვა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სრულად -300 ლარის ოდენობით დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 მარტის განჩინებით აღნიშნული განცხადებას დაუდგინდა ხარვეზი. განცხადების ავტორს დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შედგენილი სააპელაციო საჩივრის წარმოდგენა, აპელანტების მიერ იმის დაზუსტება, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილს ასაჩივრებენ და დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა, ასევე, აპელანტების მიერ წარმომადგენელზე გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობის, წარმომადგენლის მიერ ადვოკატთა ტესტირების გავლის და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინებით გ., თ., ს., ნ., ნა. ჩ-ების და გ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

აღნიშნულ განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. გ-ძემ (წარმომადგენელი გ. ჟ-ია), რომელმაც მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება 300 ლარის ოდენობით. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული 100 ლარის სანაცვლოდ მოპასუხეს დაეკისრა 300 ლარის გადახდა, რაც გადაწყვეტილებაში არ არის ასახული.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 მარტის განჩინებით გ., თ., ს., ნ., ნა. ჩ-ებისა და გ. გ-ძის წარმომადგენელ გ. ჟ-იას განცხადებას დაუდგინდა ხარვეზი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 30 მარტის განჩინების ასლი გაეგზავნა, როგორც გ. ჟ-იას, ისე მოსარჩელებს კანონით დადგენილი წესით. შეტყობინების ბარათებით გზავნილების ჩაბარების შესახებ დასტურდება, რომ მოსარჩელებისათვის გაგზავნილი გზავნილები ჩაიბარა ერთ-ერთმა მოსარჩელემ -გ. გ-ძემ 2009 წლის 13 აპრილს და 2009 წლის 16 აპრილს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. გ-ძე არის დანარჩენი მოსარჩელების ოჯახის წევრი. სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მოსარჩელებს ხარვეზი არ შეუვსიათ და სასამართლოსათვის არც ხარვეზის შეუვსებლობის საპატიო მიზეზის შესახებ უცნობებიათ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-ე-61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 5-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2009 წლის 14 აპრილს და დასრულდა 20 აპრილს. აღნიშნულ ვადაში სააპელაციო საჩივრის დადგენილი ხარვეზი აპელანტს არ შეუვსია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გ. გ-ძის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. გ-ძის (წარმომადგენელი გ. ჟ-ია) კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**კერძო საჩივრის შეტანის ვადა**

**განჩინება**

#ას-727-1025-09

30 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა მოსამართლე რ. ნადირიანი**

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გ. ტ-შვილის წარმომადგენელ შ. შ-შვილის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 აპრილის საოქმო განჩინებაზე.

**პალატამ გამოარკვია:**

თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებით ო. თ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე გ. ტ-შვილს ო. თ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული ზარალის -12737 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ტ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 აპრილის საოქმო განჩინებით გ. ტ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო.

2009 წლის 19 ივნისს გ. ტ-შვილის წარმომადგენელმა შ. შ-შვილმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა საქმის წარმოების განახლება. აღნიშნული განცხადება თავისი შინაარსით კერძო საჩივარს წარმოადგენდა, რის გამოც საქმის მასალები გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. ტ-შვილის წარმომადგენელ შ. შ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის უწყება ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

მოცემულ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 აპრილის საოქმო განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა როგორც გ. ტ-შვილი, ასევე, მისი წარმომადგენელი შ. შ-შვილი. ამასთან, საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ გასაჩივრებული საოქმო განჩინების ასლი გ. ტ-შვილის წარმომადგენელ შ. შ-შვილის ჩაჰზარდა 2009 წლის 7 მაისს, ხოლო კერძო საჩივარი მან შეიტანა 2009 წლის 19 ივნისს. ამდენად, კერძო საჩივრის ავტორმა დაარღვია გასაჩივრების 12-დღიანი საპროცესო ვადა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. ტ-შვილის წარმომადგენელ შ. შ-შვილის კერძო საჩივარი დაუშვებელია და იგი უნდა დარჩეს განუხილველად გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილით და

#### დ ა ა დ გ ი ნ ა :

გ. ტ-შვილის წარმომადგენელ შ. შ-შვილის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება; განჩინების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.

### სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება

#### განჩინება

#ას-639-646-09

8 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

თ. ს-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. ლ-ავას წინააღმდეგ თანხის დაკისრების შესახებ. მან მიუთითა, რომ 2000 წლის მაისში მან თ. ლ-ავას ზეპირი შეთანხმების საფუძველზე ასესხა 4000 აშშ დოლარი. ასევე შეთანხმდნენ პროცენტზე, რომელიც თავდაპირველად იყო 5%, ხოლო დეკემბრიდან -4%. 2001 წლიდან თ. ლ-ავამ შეწყვიტა პროცენტის გადახდა და გარკვეული დროის შემდეგ დაუბრუნა 1000 აშშ დოლარი. არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მან არ დააბრუნა დარჩენილი 3000 აშშ დოლარი და პროცენტი. 2003 წელს ვალის დასაფარად ხელახლა შეთანხმდნენ. დაიდო ხელწერილი, სადაც აღინიშნა, რომ ახალ წლამდე დაიფარებოდა ვალი. მიუხედავად ამისა, მან არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და არ გადაიხდა ვალი. მოსარჩელემ მოითხოვა, თ. ლ-ავას დაეკისრებოდა ძირითად ვალთან ერთად პროცენტის გადახდა, რაც სულ შეადგენდა 5.625 აშშ დოლარს.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 22 ივნისის განჩინებით თ. ს-ძის სარჩელი დარჩა განუხილველად მხარეთა გამოუცხადებლობის გამო.

2008 წლის 28 ივლისს განცხადებით მიმართა სასამართლოს თ. ს-ძემ, რომლითაც მოითხოვა საქმის წარმოების განახლება.

ამავე სასამართლოს 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით თ. ს-ძის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა თ. ს-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინებით თ. ს-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა -გაუქმდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინება საქმის წარმოების განახლებაზე განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, გაუქმდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 22 ივნისის განჩინება, მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ და საქმე, თ. ს-ძის

სარჩელის გამო, თ. ლ-ავას მიმართ ვალის დაბრუნების თაობაზე განსახილველად დაუბრუნდა ქობულეთის რაიონულ სასამართლოს.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით თ. ს-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -თ. ლ-ავას დაეკისრა თ. ს-ძის სასარგებლოდ 3000 აშშ დოლარის, სასამართლოში სარჩელის აღმგრამდე დარიცხული პროცენტის -2.625 აშშ დოლარის, სულ 5.625 აშშ დოლარისა და სახელმწიფო ბაჟის -330 ლარის გადახდა. მოსარჩელის მიერ სასამართლოს მთავარ სხდომაზე სარჩელის გაზრდის მოთხოვნა დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა თ. ლ-ავამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 10 აპრილის განჩინებით თ. ლ-ავას, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, მიეცა 10-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად. ამავე სასამართლოს 2009 წლის 28 აპრილის განჩინებით თ. ლ-ავას გაუგრძელდა ვადა ხარვეზის შესავსებად. 2009 წლის 14 მაისის განჩინებით მას ისევ გაუგრძელდა ვადა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 5 ივნისის განჩინებით თ. ლ-ავას სააპელაციო საჩივარი, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა თ. ლ-ავამ. მან მიუთითა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 14 მაისის განჩინებით თ. ლ-ავას გაუგრძელდა ვადა ხარვეზის შესავსებად 15 დღით. აღნიშნული განჩინება მას ჩაჰბარდა 2009 წლის 15 მაისს. მან ხარვეზი შეავსო დროულად, კერძოდ, 2009 წლის 29 მაისს. სასამართლომ კი მისი სააპელაციო საჩივარი, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, დატოვა განუხილველად, რაც არასწორია. ვინაიდან მან ხარვეზი შეავსო სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოებაში მიღება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ თ. ლ-ავას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 10 აპრილის განჩინებით, თ. ლ-ავას, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, მიეცა 10-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად. ამავე სასამართლოს 2009 წლის 28 აპრილის განჩინებით თ. ლ-ავას გაუგრძელდა ვადა ხარვეზის შესავსებად. 2009 წლის 14 მაისის განჩინებით მას ისევ გაუგრძელდა ვადა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 5 ივნისის განჩინებით თ. ლ-ავას სააპელაციო საჩივარი, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, დარჩა განუხილველად.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორს იმის შესახებ, რომ მან ვადის დაცვით შეავსო ხარვეზი. ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ განჩინების ასლი აპელანტს გაეგზავნა 2009 წლის 14 მაისს, ხოლო ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით 2009 წლის 17 მაისს, რომლის თანახმადაც აპელანტს ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა ჰქონდა 2009 წლის 1 ივნისის ჩათვლით. მან სახელმწიფო ბაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი სასამართლოში წარმოადგინა 2009 წლის 5 ივნისს, ანუ 4 დღის დაგვიანებით. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, მართალია, მას სახელმწიფო ბაჟის დამადასტურებელი ქვითარი სასამართლოში არ წარმოუდგენია დროულად, მაგრამ ბანკში სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში გადაიხდა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, მართალია, მხოლოდ ბანკში სახელმწიფო ბაჟის გადახდა არ ითვლება საპროცესო მოქმედების შესრულებად, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ხარვეზის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში არ მიუთითა, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი წარმოედგინა სასამართლოში.

საკასაციო პალატას მიაჩნია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილში არ მიუთითებია სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის აუცილებლობის შესახებ. ამდენად, ბანკში სახელმწიფო ბაჟის გადახდით საპროცესო მოქმედება შესრულებულად უნდა ჩაითვალოს. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

## და ა ა დ გ ი ნ ა :

თ. ლ-ავას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;  
გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ივნისის განჩინება და საქმე დასაშვებობის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

#### განჩინება

#ას-666-972-09 8 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** სამუშაოზე აღდგენა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 22 ივნისს მ. ვ-უამ სარჩელი შეიტანა ჩხოროწყუს რაიონულ სასამართლოში, მოპასუხედ დაასახელა სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჩხოროწყუს ფილიალი, მოითხოვა სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ვ-უას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მ. ვ-უამ გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებით მ. ვ-უას სააპელაციო საჩივარი ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა სამოქალაქო საქმეთა პალატას.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება მ. ვ-უამ ჩაიბარა 2009 წლის 13 მარტს, ხოლო სააპელაციო საჩივარი ჩხოროწყუს რაიონულ სასამართლოში შეიტანა 2009 წლის 30 მარტს ე.ი. სამი დღის დაგვიანებით, შესაბამისად, გაუშვა სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა.

ზემოაღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ვ-უამ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით ფოსტით გადმოგზავნილი გადაწყვეტილება კურიერის მიერ, მ/წლის 16 მარტს, მასზე გადასაცემად ჩაჰბარდა ნათესავს (ბიძაშვილის შვილს) ფ. ხ-ავას, რომელმაც კურიერისაგან გადაწყვეტილების ხელზე მიღებისთანავე, თანდართულ მომართვაზე გააკეთა მინაწერი - „ჩაბარდა 16 მარტს“ და იგი დაადასტურა ხელმოწერებით. იმავე დღეს 16 მარტს, ფ. ხ-ავამ, მისთვის გადასაცემად სასამართლო გადაწყვეტილება გადასცა მის სიძეს -ს. ა-იას, რაც მთლიანად დასტურდება სანოტარო წესით დამოწმებული, ფ. ხ-ავას მიერ შედგენილი ახსნა-განმარტებით, რომელიც ამ საჩივარს თან ერთვის.

ამდენად, კერძო საჩივრის ავტორი განმარტებით გადაწყვეტილების ჩაბარების ბარათზე მისი ხელმოწერა არ არის და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ მხარისათვის, დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემა მოხდა სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნათა უხეში დარღვევით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მ. ვ-უამ მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წ. 3 ივნისის განჩინების გაუქმება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო მ. ვ-უას კერძო საჩივარს და საქმის მასალებს და მიიჩნია რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:



საქმის მასალებით დადგენილია რომ ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება მ. ვ-უამ ჩაიბარა 2009 წლის 13 მარტს. სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა ამოიწურა 2008 წლის 28 ივლისს, ხოლო სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა 2009 წლის 30 მარტს. სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დარღვევით. შეს.მისად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ივნისის განჩინებით მ. ვ-უას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის შეს.მისად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადას შეადგენს 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება, (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შეს.მისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მ. ვ-უას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება ჩაბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, ხოლო სააპელაციო საჩივარი წარადგინა კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდგომ, კერძოდ სამი დღის დაგვიანებით და შეს.მისად სააპელაციო პალატა უფლებამოსილი იყო დაეტოვებინა სააპელაციო საჩივარი განუხილველი დაუშვებლობის გამო.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას, რომ განჩინების ჩაბარების დამადასტურებელი გზავნილი მისთვის გადასაცემად ჩაბარდა მის ნათესავს და არა პირადად მას, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი მის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა, ხოლო საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. ვ-უას თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება პირადად ჩაბარდა 2009 წლის 13 მარტს

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მ. ვ-უას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად;  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

#### **განჩინება**

#ას 750-1047-09

8 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართეს ნ. ბ-მემ და ლ. ხ-მემ შპს "სესა-ავსა-როსის" და მ. ს-ის მიმართ და მოითხოვეს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 17972 ლარის, სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -539 ლარის და იურიდიული მომსახურებისათვის გადახდილი 1000 ლარის მოპასუხეებისათვის დაკისრება. თავის მხრივ, სასამართლოს შეგებებული სარჩელით მიმართეს მ. სარმა და შპს "სესა-ავსაროსმა" და მოითხოვეს მოპასუხეების მიერ სხვა-

დასხვა დასახელების ქონების, იჯარით აღებულ ქონებაზე შესრულებული სარემონტო სამუშაოების ღირებულების და უკანონო გამოსახლებით შემოსავლების მიუღებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, შენობაზე გაკრული სარეკლამო აბრის "სესა-აფსაროსის" დაბრუნება, ზედმეტად გადახდილი საიჯარო ქირის -1700 აშშ დოლარისა და საგადასახადო ორგანოებში ერთი წლის მანძილზე ყოვეთვიურად გადახდილი -ჯამში 4320 აშშ დოლარის მოპასუხეებზე დაკისრება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. ხ-ძის და ნ. ბ-ძის სარჩელი „სესა აფსაროსის“, მ. ს-ის მიმართ ზიანის ანაზღაურებაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: შპს „სესა აფსაროსის“ მ. ს-ის სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩეელების -ლ. ხ-ძისა და ნ. ბ-ძის სასარგებლოდ ზიანის ასანაზღაურებლად 4835 ლარის, იურიდიული მომსახურებისათვის გადახდილი თანხიდან 193,40 ლარის და სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 145 ლარის გადახდა. ლ. ხ-ძისა და ნ. ბ-ძის სარჩელი შპს „სესა აფსაროსის“ მ. ს-ის მიმართ დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. შპს „სესა აფსაროსის“, მ. ს-ის შეგებებული სარჩელი ლ. და ნ. ბ-ძის მიმართ თანხების დაკისრებაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ლ. ხ-ძესა და ნ. ბ-ძეს დაეკისრა სოლიდარულად შპს „სესა აფსაროსის“, მ. ს-ის სასარგებლოდ ზედმეტად გადახდილი საიჯარო ქირა -1700 აშშ დოლარის და სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 51 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა. შეგებებული სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. სარის წარმომადგენელმა ზ. ფ-ძემ, მოითხოვა გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება და მოსარჩეელთა ლ. ხ-ძისა და ნ. ბ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივლისის განჩინებით მ. სარის წარმომადგენლის ზ. ფ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მ. სარის მიმართ ლ. ხ-ძისა და ნ. ბ-ძის სარჩელთან დაკავშირებულ საქმეზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 2009 წლის 11 ივნისის გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება.

დადგენილია, რომ დასახელებული გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით და მოპასუხე (შეგებებული სარჩელის ავტორის) მ. ს-ის წარმომადგენელს ზ. ფ-ძეს პირადად ჩაბარდა 2009 წლის 17 ივნისს მისამართზე ქ.ქუთაისი, ... ქ.#70.

დადგენილია, რომ მ. ს-ის წარმომადგენელმა ზ. ფ-ძემ სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2009 წლის 6 ივლისს.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. შესაბამისად იმის გათვალისწინებით, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 11 ივნისის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი სამოქალაქო საქმეზე 2009 წლის 29 ივნისს მ. ს-ის წარმომადგენელს ზ. ფ-ძეს გაეგზავნა და ჩაბარდა 2009 წლის 17 ივნისს, გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენდა 2009 წლის 1 ივლისი.

ვინაიდან მ. ს-ის წარმომადგენელს ზ. ფ-ძეს სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით მაგრამ მის მიერ სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოში, ნაცვლად 2009 წლის 1 ივლისისა შეტანილ იქნა 2009 წლის 6 ივლისს, ანუ სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დარღვევით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი იყო დაუშვებელი

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ს-ის წარმომადგენელმა ზ. ფ-ძემ.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, გადაწყვეტილება მართალია ჩაბარდა 17 ივლისს, მაგრამ სააპელაციო საჩივარი მას არ შეუტანია ქ.ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2009 წლის 6 ივლისს, არამედ კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელი მიუთითებს, რომ მან სააპელაციო საჩივარი ფოსტის მეშვეობით გააგზავნა ქ.ქუთაისიდან 2009 წლის 1 ივლისს, ჩაბარა საფოსტო განყოფილებას რასაც ადასტურებს „საქართველოს ფოსტის“ 2009 წლის 1 ივლისის ქვითარი #000018, გზავნილის #650, შეტყობინება #650-ით დასტურდება, რომ ეს გზავნილი ბათუმის საქალაქო სასამართლოს ჩაბარდა 2009 წლის 6 ივლისს, სადაც იქვეა მითითებული, რომ ქუთაისში ფოსტაში კერძო საჩივარი ჩაბარებულ იქნა 2009 წლის 1 ივლისს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსთვის.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა კერძო საჩივრის განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება, მ. ს-ის წარმომადგენელ ზ. ფ-ძეს პირადად ჩაჰბარდა 2009 წლის 17 ივნისის მოცემულ საქმეზე სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა ამოიწურა 2009 წლის 1 ივლისს, ხოლო სააპელაციო საჩივარი წარდგენილი იქნა ა/წ 6 ივლისს, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დარღვევით. შესაბამისად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივლისის განჩინებით მ. ს-ის წარმომადგენლის ზ. ფ-ძის სააპელაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარებად ითვლება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად ჩაბარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მ. ს-ის წარმომადგენელმა ზ. ფ-ძემ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება ჩაიბარა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, ხოლო სააპელაციო საჩივარი წარადგინა კანონმდებლობით დადგენილი 14-დღიანი ვადის გასვლის შემდგომ და შესაბამისად სააპელაციო პალატა უფლებამოსილი იყო დაეტოვებინა სააპელაციო საჩივარი განუხილველი დაუშვებლობის გამო.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მ. ს-ის წარმომადგენლის ზ. ფ-ძის განმარტებას იმის თაობაზე, რომ მან სააპელაციო საჩივარი ფოსტის მეშვეობით გააგზავნა ქ.ქუთაისიდან 2009 წლის 1 ივლისს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კონკრეტულ შემთხვევაში კი ზემოაღნიშნული გარემოების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი მხარის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა და არც საქმეში მოიპოვება აღნიშნულზე მიმანიშნებელი რაიმე მტკიცებულება.

შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

მ. ს-ის წარმომადგენლის ზ. ფ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად;  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

**განჩინება**

#ას-765-1060-09 15 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის პირველ დეკემბერს მ. დ-მემ სარჩელით მიმართა შუახვევის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე რ. ხ-მის მიმართ და მოითხოვა მოპასუხესთან განქორწინება, მამობის დადგენა, ალიმენტისა და სარჩოს დაკისრება, ასევე, სავალდებულო წილით საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა.

2009 წლის 25 თებერვალს მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხეთა ვინაობა, მოპასუხეებად დამატებით მიუთითა რ. ხ-მის მშობლები თ. ხ-მე და მ. დ-მე.

შუახვევის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით მ. დ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

მ. დ-მესა და რ. ხ-მეს შორის არსებული ქორწინება შეწყდა. სარჩელი შვილის წარმოშობის დადგენის ნაწილში დაკმაყოფილდა, მოთხოვნა შვილის რჩენა-აღზრდისათვის ალიმენტის დაკისრების ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. რ. ხ-მეს დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის -ქ. ხ-მის რჩენა-აღზრდისათვის დაეკისრა ყოველთვიურად ალიმენტის გადახდა 100 ლარის ოდენობით, მასვე დაეკისრა ბავშვის სამ წლამდე ასაკის მიღწევამდე, ყოველთვიურად სარჩოს სახით 70 ლარის გადახდა, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხეების: თ. ხ-მის და მ. დ-მის მიმართ ალიმენტის დაკისრების ნაწილში, ასევე დანარჩენი მოთხოვნის ნაწილებში, არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება განქორწინების, მამად ცნობის, ალიმენტის დაკისრებისა და ხარჯის დაკისრების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ხ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ივნისის განჩინებით რ. ხ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გაშვების გამო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. ხ-მემ დაარღვია სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა, ვინაიდან საქმის მასალების თანახმად, შუახვევის რაიონული სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მას გაეგზავნა და ჩაჰბარდა 2009 წლის 21 აპრილს, გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენდა 2009 წლის 5 მაისი, ხოლო რ. ხ-მემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2009 წლის 2 ივნისს (28 დღის დაგვიანებით).

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ რ. ხ-მის სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად ჩათვალა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს რ. ხ-მემ, ასევე თ. ხ-მემ და მ. დ-მემ, მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 11 ივნისის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ მათ კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადა არ დაურღვევიათ, ვინაიდან გადაწყვეტილება ჩაჰბარდათ არა 2009 წლის 21 აპრილს, როგორც გასაჩივრებულ განჩინებაშია მითითებული, არამედ -2009 წლის 21 მაისს. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორთა განმარტებით, მათ სააპელაციო საჩივარი შეტანილი აქვთ კანონით დადგენილ ვადაში და იგი სასამართლოს დასაშვებად უნდა ეცნო.

ქუთაისის სააპელაციო სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი განხილვის გარეშე შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ რ. ხ-მის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თ. ხ-მისა და მ. დ-მის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსს 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენელისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული შუახვევის რაიონული სასამართლოს #293 გზავნილის საფუძველზე, დაადგინა, რომ რ. ხ-მეს შუახვევის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა 2009 წლის 21 აპ-

რილს და, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის უკანასკნელი ვადა იყო 5 მაისი. ხოლო, რადგანაც რ. ხ-მემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2009 წლის 2 ივნისის, ანუ კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით, სააპელაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის საფუძველზე, დატოვა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან შუახვევის რაიონული სასამართლოს #293 გზავნილის თანახმად, რ. ხ-მეს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ჩაბარებული აქვს არა 2009 წლის 21 აპრილს, არამედ 2009 წლის 21 მაისს. აღნიშნული დასტურდება, კერძო საჩივრის ავტორის ხელმოწერითაც და შუახვევის რაიონული სასამართლოს მიერ გზავნილზე მითითებული თარიღითაც, კერძოდ, რაიონულ სასამართლოს მხარეებისათვის გადაწყვეტილების ასლის გაგზავნის თარიღად მითითებული აქვს 2009 წლის 21 მაისი, შესაბამისად, რ. ხ-მე, 2009 წლის 21 მაისს გაგზავნილ გადაწყვეტილების ასლს 2009 წლის 21 აპრილს ვერ ჩაიბარებდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რ. ხ-მის კერძო საჩივარი დასაბუთებულია, მას გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა არ დაურღვევია და, შესაბამისად, საქმე დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

რაც შეეხებათ თ. ხ-მესა და მ. დ-მეს, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მათი კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ მხარეებს, რომელთა მიმართაც გამოტანილია განჩინება, აგრეთვე, იმ პირებსაც, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება.

გასაჩივრებული განჩინებით განუხილველად დარჩა რ. ხ-მის სააპელაციო საჩივარი, ანუ გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია რ. ხ-მის მიმართ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან თ. ხ-მე და მ. დ-მე არ არიან ისეთი პირები, რომელთაც უშუალოდ ეხებათ გასაჩივრებული განჩინება, მათი კერძო საჩივარი დაუშვებელია და განუხილველად უნდა დარჩეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

რ. ხ-მის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

ამ საქმეზე გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ივნისის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს.

თ. ხ-მის და მ. დ-მის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად.

განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

#### **საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო**

##### **განჩინება**

#ას-737-1035-09

16 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. ჟ-ტის სარჩელი 2008 წლის 24 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი 230 000 აშშ დოლარის შესაბამისი თანხის ეროვნულ ვალუტაში გადახდისა და სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 3000 ლარის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა ზ. ბ-მემ.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის პირველი მაისის განჩინებით ზ. ბ-მის საჩივარი ამავე სასამართლოს 2009 წლის 23 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

აღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ბ-მემ, მოითხოვა როგორც ქობულეთის რაიონული სასამართლოს, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2009 წლის პირველი მაისის განჩინების, ასევე, ამავე სასამართლოს 2009 წლის 23 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ივნისის განჩინებით ზ. ბ-მეს დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შევსება, კერძოდ, 5000 ლარის ოდენობით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 ივნისის განჩინებით ზ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ბ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძვლით, რომ სასამართლომ ხარვეზის აღმოსაფხვრელად და სახელმწიფო ბაჟის სახით 5000 ლარის ოდენობით გადახდილი ქვითრის წარმოსადგენად არაგონივრული ვადა განუსაზღვრა, ვინაიდან არ გაითვალისწინა მის მიერ შესასრულებელი მოქმედების სირთულე, კერძოდ, გადასახდელი თანხის ოდენობა. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტი, ვინაიდან განჩინებაში არ მიუთითა, თუ რომელი მდივნის მონაწილეობით იქნა მიღებული გასაჩივრებული განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ზ. ბ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალეს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ასლი ზ. ბ-მეს გაეგზავნა და ჩაჰბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, 2009 წლის 5 ივნისს, შესაბამისად, განჩინების შევსების ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების თანახმად, იყო 2009 წლის 15 ივნისი. ზ. ბ-მემ ხარვეზი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ გამოასწორა და არც რაიმე შუამდგომლობა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე სასამართლოსათვის წარუდგენია, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლომ არაგონივრულად განუსაზღვრა ხარვეზის შევსების ვადა, ვინაიდან არ გაითვალისწინა მის მიერ შესასრულებელი მოქმედების სირთულე, კერძოდ, გადასახდელი თანხის ოდენობა, ვერ იქნება გაზიარებული, რადგან მას არც სააპელაციო საჩივარში და არც შემ-

დგომ მისი ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე რაიმე დოკუმენტი არ წარმოუდგენია და აღნიშნულთან დაკავშირებით არც სასამართლოს წინაშე უშუამდგომლია.

ამასთან, კერძო საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტი, ვინაიდან განჩინებაში არ მიუთითა, თუ რომელი მდივნის მონაწილეობით იქნა მიღებული გასაჩივრებული განჩინება.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ეს განჩინება შეიძლება მიღებულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს, მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, შეეძლო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება მიეღო მხარეთა დაუსწრებლად, ზეპირი განხილვის გარეშე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ზ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები. .

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ზ. ბ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ივნისის განჩინება;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **კერძო საჩივრის განხილვის წესი**

##### **განჩინება**

#ას-866-1152-09

9 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

**სარჩელის დავის საგანი:** თანხის დაკისრება და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

**კერძო საჩივრის დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 20 დეკემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. მ-შვილმა მოპასუხე გ. პ-იანის მიმართ თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ ნ. მ-შვილსა და გ. პ-იანს შორის 2006 წლის 14 აგვისტოს დაიდო სესხის, ბინით სარგებლობისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გ. პ-იანმა ნ. მ-შვილისგან მიიღო 20 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი უპროცენტო სესხის სახით, ექვსი თვის ვადით. სესხის უზრუნველყოფის მიზნით მესამე რიგის იპოთეკით დაიტვირთა ქ. ბა-

თუმში მდებარე გ. პ-იანის ბინა. სარჩელის შეტანის დროისათვის მოსარჩელე საჯარო რეესტრში აღრიცხულია მეორე რიგის იპოთეკარად. მოსარჩელის მითითებით, გ. პ-იანის ფინანსური მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ საფრთხე შეექმნა მისი სესხის დაბრუნებას, რამაც აღნიშნული სარჩელის აღძვრა განაპირობა.

2009 წლის 6 აპრილის საოქმო განჩინებით გ. პ-იანის შუამდგომლობის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა 2008 წლის 11 ნოემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შედეგად იპოთეკით დატვირთული ბინის მესაკუთრე ე. ლ-ია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. მ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გ. პ-იანს დაეკისრა 20 000 აშშ დოლარის გადახდა ნ. მ-შვილის სასარგებლოდ. აღნიშნული თანხის დაფარვის მიზნით დადგინდა გ. პ-იანის მიერ იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაცია. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, ნ. მ-შვილსა და გ. პ-იანს შორის სანოტარო წესით დაიდო სესხის, ბინით სარგებლობისა და იპოთეკის ხელშეკრულება. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ თავიდანვე დაარღვია ვალდებულება და მოსარჩელეს არ მისცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბინით სარგებლობის უფლება. მოპასუხის მიერ დაირღვა ასევე ვალდებულება თანხის დაბრუნებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. პ-იანმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. აპელანტი მიუთითებდა, რომ სესხის, ბინით სარგებლობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაზე ხელმოწერა არ იყო მისი და შესაბამისად, იგი არ წარმოადგენდა ხელშეკრულების მხარეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ასევე გაასაჩივრა ე. ლ-იამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და 16 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. აპელანტი მიუთითებდა, რომ სესხის სახით გადაცემული თანხიდან გადასახდელი იყო მხოლოდ 4000 აშშ დოლარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ივნისის განჩინებით გ. პ-იანის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი. გ. პ-იანს დაევალა დავის საგნის ღირებულების 4% ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აგვისტოს განჩინებით გ. პ-იანის სააპელაციო საჩივარი ხარვეზის შეუვსებლობის გამო განუხილველად იქნა დატოვებული.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 ივნისის განჩინებით ე. ლ-იას სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა მოთხოვნის დაზუსტება.

2009 წლის 10 ივლისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მიმართა ე. ლ-იას წარმომადგენელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით საჩივრდებოდა მხოლოდ გ. პ-იანისათვის 16 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 21 აგვისტოს განჩინებით ე. ლ-იას სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებაზე განუხილველად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით თანხის გადახდა დაეკისრა გ. პ-იანს, აღნიშნულით განისაზღვრა პ-იანის უფლებები და მოვალეობები. ე. ლ-ია ასაჩივრებდა გადაწყვეტილებას გ. პ-იანისათვის 16 000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ, შესაბამისად, ე. ლ-ია არ იყო უფლებამოსილი პირი გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 21 აგვისტოს განჩინება მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. ლ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 291-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ე. ლ-იას, როგორც იპოთეკით დატვირთული ნივთის მესაკუთრეს, შეუძლია იპოთეკარს წაუყენოს ყველა ის შესაგებელი, რომლის უფლებაც მხოლოდ პირად მოვალეს აქვს, მათ შორის, შესაგებლები ფულად ვალდებულებათა გაქვითვისა და მოთხოვნის გასაჩივრების გამო. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, იპოთეკა ლ-ისათვის აქცესორული უფლებაა, რომელიც დამოკიდებულია გ. პ-იანსა და ნ. მ-შვი-



ლის სესხის ხელშეკრულებაზე და შესაბამისად, უშუალო კავშირშია ე. ლ-იას, როგორც ბინის მესაკუთრის უფლებებთან და ვალდებულებებთან.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ლ-იას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აგვისტოს განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას ე. ლ-იას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შესახებ.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ე. ლ-ია წარმოადგენს ნ. მ-შვილსა და გ. პ-იანს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იპოთეკით დატვირთული ბინის მესაკუთრეს. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით გ. პ-იანს დაეკისრა 20 000 აშშ დოლარის გადახდა ნ. მ-შვილის სასარგებლოდ და ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად დადგინდა იპოთეკით დატვირთული ბინის აუქციონზე რეალიზაცია. ე. ლ-იას მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია გ. პ-იანისათვის 16 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. ლ-ია უფლებამოსილია გაასაჩივროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება. სამოქალაქო კოდექსის 291-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ უძრავი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე, მას მაინც შეუძლია იპოთეკარს წაუყენოს ის შესაგებელი, რომლის უფლებაც მხოლოდ პირად მოვალეს აქვს, მათ შორის, შესაგებლები ფულად ვალდებულებათა გაქვითვისა და მოთხოვნის გასაჩივრების გამო. ამდენად, სამოქალაქო კანონმდებლობა იცავს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრეს, რომელიც არ არის პირადი მოვალე იმგვარად, რომ იპოთეკარის წინააღმდეგ პრეტენზიის წაყენების შესაძლებლობების ქონის თვალსაზრისით, ფაქტობრივად, ათანაბრებს მას პირად მოვალესთან, ანიჭებს უფლებას, წარადგინოს ის შესაგებლები, რომლის უფლებაც მხოლოდ პირად მოვალეს აქვს. აღნიშნული ბუნებრივიცაა, რამდენადაც, უძრავი ნივთის მესაკუთრე, რომელიც არ არის პირადი მოვალე და აქცესორული ვალდებულების მატარებელია, მთლიანადაა დამოკიდებული იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირად მოვალესა და კრედიტორს შორის არსებულ ძირითად ვალდებულებაზე. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაშიც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ე. ლ-იას საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული ბინის აუქციონზე რეალიზაციის საკითხი მთლიანადაა დამოკიდებული იმ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც მიიღებს სასამართლო ნ. მ-შვილის სარჩელზე გ. პ-იანისათვის თანხის დაკისრების ნაწილში. აქედან გამომდინარე, ე. ლ-ია პროცესუალურად უფლებამოსილია, გაასაჩივროს გადაწყვეტილება თანხის დაკისრების ნაწილში, რამდენადაც აღნიშნული გადაწყვეტილება პირდაპირ შეეხება მისი, როგორც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრის ინტერესებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აგვისტოს განჩინება და ე. ლ-იას სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

ე. ლ-იას (წარმომადგენელი მ. ა-შვილი) კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;  
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აგვისტოს განჩინება და ე. ლ-იას სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

### განჩინება

#ას-896-1182-09

9 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

სენაკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით გ. ჭ-ძის სარჩელი მოპასუხეების -გ. ხ-ავასა და ნ. დ-ძის მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მოსარჩელეს გაუგრძელდა სენაკში, ... ქ. #2-ში მდებარე საერთო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის 1/3-დან ნაწილიდან (აწ გარდაცვლილი ს. კ-იას სამკვიდრო ქონებიდან) სამკვიდრო წილის მიღების ვადა.

რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. ხ-ავამ და ნ. დ-ძემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივლისის განჩინებით გ. ხ-ავასა და ნ. დ-ძის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით. 2008 წლის 4 ივნისს იგი ჩაჰბარდა მოპასუხეების ოჯახის სრულწლოვან წევრს, შვილს -შ. ხ-ავას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შ. ხ-ავასათვის სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარება წარმოადგენდა ადრესატისათვის მის ჩაბარებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

საქმეზე დგინდებოდა, რომ გ. ხ-ავამ და ნ. დ-ძემ რაიონულ სასამართლოში სააპელაციო საჩივარი წარადგინეს 2009 წლის 10 ივლისს, მაშინ როდესაც გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენდა 2008 წლის 18 ივნისი.

რამდენადაც გ. ხ-ავასა და ნ. დ-ძეს სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაჰბარდათ კანონით დადგენილი წესით, მაგრამ მათ სააპელაციო საჩივარი სენაკის რაიონულ სასამართლოში, ნაცვლად 2009 წლის 18 ივნისისა, შეიტანეს 2009 წლის 10 ივლისს, ანუ გასაჩივრების 14-დღიანი ვადის დარღვევით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს გ. ხ-ავამ და ნ. დ-ძემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვა.

კერძო საჩივრის ავტორთა მტკიცებით, რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 მაისის გადაწყვეტილების ასლი მათ არ ჩაბარებიათ. საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინება, რომელსაც გასაჩივრებული განჩინება ეყრდნობა, საქმეს დაერთო მხოლოდ სააპელაციო საჩივრის შეტანის შემდგომ. საგულისხმოა, რომ დასახელებული დოკუმენტიდან არ დგინდება ადრესატისათვის გაგზავნილი კორესპონდენციის დასახელება. თუ გავითვალისწინებთ, რომ აპელანტები სენაკის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე სხვა საქმის მხარეებსაც წარმოადგენდნენ, სრულიად შესაძლებელია, აღნიშნული საფოსტო გზავნილი მოცემულ საქმესთან შემხებლობაში არ ყოფილიყო.

კერძო საჩივრის ავტორები მიუთითებენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ადრესატის არყოფნის შემთხვევაში სასამართლო უწყების ჩამბარებელმა უწყების მეორე ეგზემპლარზე უნდა აღნიშნოს, სად არის წასული ადრესატი და როდის ვარაუდობენ მის დაბრუნებას. კანონის ეს მოთხოვნა მოცემულ შემთხვევაში დაცული არ არის, კერ-

ძოდ, საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ სადავო შეტყობინება ასეთ ინფორმაციას არ შეიცავს. ამასთან, შეტყობინებაში არსებული ხელმოწერა მათ შვილს -შ. ხ-ავას ნამდვილად არ ეკუთვნის, რასაც იგი თავადაც ადასტურებს. უფრო მეტიც, სასამართლო გზავნილის გაგზავნის დროისათვის შ. ხ-ავა მშობლებთან არ ცხოვრობდა, რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სენაკის სამსახურის 8.07.2009წ. საინფორმაციო ბარათით.

კერძო საჩივარში აღნიშნულია, რომ ნ. დ-ძის წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე, იმის გასარკვევად, სადავო შეტყობინების ბარათზე არსებული ხელმოწერა ეკუთვნოდა თუ არა შ. ხ-ავას, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაინიშნა ხელწერის ექსპერტიზა. 31.07.2009წ. #19-2994 წერილით ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ მოითხოვა გამოსაკვლევი დოკუმენტის დედანი და შ. ხ-ავას ხელმოწერის თავისუფალი და ექსპერიმენტული ნიმუშები. აღნიშნულის გამო, კერძო საჩივრის ავტორებმა დასახელებული მასალების მიღების თხოვნით მიმართეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, თუმცა მოთხოვნილი კორესპონდენცია ამ დრომდე არ ჩაჰბარებიათ. საგულისხმოა, რომ საქმეში არსებული საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათები, რომლებზეც შ. ხ-ავას ხელმოწერებია დაფიქსირებული, ნათლად ადასტურებს, რომ სადავო შეტყობინების ბარათზე არსებული ხელმოწერა შ. ხ-ავას არ ეკუთვნის.

კერძო საჩივრის შემოტანის შემდგომ ნ. დ-ძემ წარმოადგინა განცხადება, სადაც იშუამდგომლა ხელწერის ექსპერტიზის ჩასატარებლად საქმეში არსებული შ. ხ-ავას ჩაბარების დასტურის დედანი დოკუმენტების გადაცემა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივლისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

გ. ხ-ავასა და ნ. დ-ძის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძველად დაედო მათ მიერ კანონით დადგენილ ვადაში სააპელაციო საჩივრის წარუდგენლობა. ამ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა სააპელაციო სასამართლომ დაუკავშირა 2009 წლის 4 ივნისს შ. ხ-ავასათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარებას, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მიიჩნია ადრესატათვის გზავნილის ჩაბარებად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

მოცემულ შემთხვევაში გზავნილის ჩაბარების შესახებ საქმეში არსებული შეტყობინების ბარათი, რომელსაც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ეყრდნობა, არ შეიცავს მხარისათვის გაგზავნილი კორესპონდენციის დასახელებას, იგი ასევე არ შეიცავს საქმის ნომერს, რომელთან დაკავშირებითაც მხარეს აღნიშნული კორესპონდენცია გაეგზავნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია გაირკვეს, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაგზავნილი რომელი კონკრეტული კორესპონდენციის ჩაბარების დასტურს წარმოადგენს საქმეში არსებული საფოსტო შეტყობინება, რომელსაც დაეყრდნო სააპელაციო სასამართლო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეზე უტყუარად არ დასტურდება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მოპასუხეთა მიერ 4 ივნისს ჩაბარება, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრების ვადის დენის დასაწყებად გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხარის მიერ ჩაბარება უტყუარად უნდა დგინდებოდეს. საქმეში არსებული მტკიცებულების თანახმად, ნ. დ-ძის წარმომადგენელ როლანდ შონიას სენაკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 მაისის გადაწყვეტილების დასაბუთებული ასლი ჩაჰბარდა 2008 წლის 1 ივლისს -მის მიერ სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვის დღეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 11 ივლისის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

რაც შეეხება ნ. დ-ძის შუამდგომლობას ექსპერტიზის ჩატარების მიზნით საქმეში არსებული დედანი დოკუმენტების მიღების თაობაზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, რამდენადაც მოცემული საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად სააპელაციო სასამართლოს უბრუნდება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 419-ე-420-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივლისის განჩინება და გ. ხ-ავასა და ნ. დ-ძის სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შემამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

ნ. დ-ძის შუამდგომლობა საქმეში არსებული დედანი დოკუმენტების გადაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ხარვეზის შევსების ვადა**

**განჩინება**

#ას-1001-1276-09

28 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** უკანონო ხელშეშლის აღკვეთა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ზ. ი-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ხ. კ-ძის, ე. და ნ. მ-შვილების მიმართ მოპასუხეთა მიერ მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან სავაჭრო ჯიხურის აღების დავალდებულებისა და უძრავი ნივთით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ქ.ჭიათურაში, ... ქ.#2-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა ზ. ი-შვილი. მოპასუხეებმა უკანონოდ დადგეს მის კუთვნილ მიწაზე სავაჭრო ჯიხური და ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას, რითაც ხელს უშლიან საკუთრებით სარგებლობაში. მოსარჩელის არაერთგზის მიმართვის მიუხედავად, მოპასუხეებს ჯიხური არ აუღიათ.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს იმ დასაბუთებით, რომ სადავო ჯიხური მოსარჩელის კუთვნილი ნაკვეთზე არ მდებარეობს, ამასთან, ზ. ი-შვილმა მითითებულ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება უკანონოდ მოიპოვა.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით ზ. ი-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ხ. კ-ძეს, ნ. და ე. მ-შვილებს დაევალი ქ.ჭიათურაში, ... ქ.#2-ში მდებარე მიწის ნაკვეთის სავაჭრო ჯიხურებისაგან გათავისუფლება, ასევე აეკრძალათ აღნიშნული ნაკვეთით სარგებლობა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ხ. კ-ძემ და ნ. მ-შვილმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 აგვისტოს განჩინებით ნ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო 2009 წლის 16 სექტემბრის განჩინებით ხ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამავე პალატის 2009 წლის 20 ივლისის განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალი სახელმწიფო ბაჟის -150 ლარის გადახდა. ხ. კ-ძის განცხადების საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის განჩინებით მას ხარვეზის შევსების ვადა გაუგრძელდა და დაევალი 10 დღის ვადაში ხარვეზის გამოსწორება. აღნიშნული განჩინება აპელანტის მეზობელს ჩაბარდა 2009 წლის 9 აგვისტოს. პალატამ მიუთითა, რომ ხ. კ-ძის განმარტებით, მას სასამართლო გზავნილი გადაეცა ამავე წლის 22 აგვისტოს. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლით, 368-ე

მუხლის მეხუთე ნაწილით და მიიჩნია, რომ აპელანტს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია, რის გამოც სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ხ. კ-მემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლოს მიერ ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ განჩინების აპელანტისათვის გაგზავნისას ხ. კ-მე ჭიათურაში არ იმყოფებოდა, რის გამოც გზავნილი ჩაბარდა მის მეზობელს და ადრესატს რეალურად გადაეცა 2009 წლის 22 აგვისტოს. ხ. კ-მე დაუკავშირდა საქმის განმხილველი მოსამართლის თანაშემწეს და აცნობა გზავნილის მოგვიანებით ჩაბარების თაობაზე, რაზეც თანაშემწემ განუმარტა, რომ აღნიშნულის შესახებ მიემართა სასამართლოსათვის წერილობით. კერძო საჩივრის ავტორმა წერილობით მიმართა სააპელაციო პალატას და ელოდა, დართავდა თუ არა ნებას სასამართლო, დადგენილი ხარვეზი დაგვიანებით გამოესწორებინა, თუმცა სააპელაციო პალატამ განუხილველად დაუტოვა სააპელაციო საჩივარი.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და კერძო საჩივრის ავტორს სადავოდ არ გაუხდია შემდეგი გარემოებები:

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 ივლისის განჩინებით ხ. კ-მის სააპელაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა ხარვეზიანად და აპელანტს დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. ამავე პალატის 2009 წლის 4 აგვისტოს განჩინებით, ხ. კ-მის შუამდგომლობის საფუძველზე, მხარეს ხარვეზის შევსების ვადა ამ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღით გაუგრძელდა.

შპს "სკს-ს" გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ 2009 წლის 9 აგვისტოს სასამართლო გზავნილი ჩაბარდა აპელანტის მეზობელ ს. კ-მეს.

2009 წლის 31 აგვისტოს ხ. კ-მემ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და განმარტა, რომ მეზობელმა სასამართლო გზავნილი 2009 წლის 22 აგვისტოს გადასცა და იშუამდგომლა ხარვეზის შევსების ვადის მითითებული მომენტიდან ათვლა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ხ. კ-მის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხ. კ-მის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველად. ამასთან, მხარე უფლებამოსილია, დადგენილი ხარვეზის სწორად აღმოფხვრის ხელშესაწყობად, თუ სხვადასხვა საპროცესო საკითხებზე შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს. სააპელაციო პალატა კი, თავის მხრივ, ვალდებულია, რეაგირება მოახდინოს მხარის მითითებულ შუამდგომლობებზე.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის გაგრძელების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 აგვისტოს განჩინება ამავე წლის 9 აგვისტოს ჩაბარდა ხ. კ-მის მეზობელს და, თავად მხარის განმარტებით, აპელანტს პირადად გადაეცა 22 აგვისტოს. ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადის ათვლის საკითხის გასარკვევად 2009 წლის 31 აგვისტოს ხ. კ-მემ შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს მოცემული ვადის 2009 წლის 22 აგვისტოდან გამოანგარიშების შესახებ.

დასაბუთებულია კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლოს ხ. კ-მის ზემოთ მითითებულ შუამდგომლობაზე სადავო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებამდე არ უმსჯელია, შესაბამისად, მხარისათვის უცნობი იყო, დართო თუ არა პალატამ ნება, ხარვეზი 2009 წლის 22 აგვისტოდან 10 დღის განმავლობაში გამოესწორებინა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აპელანტს ხარვეზის შევსების შესაძლებლობა შეეზღუდა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოხსენებულთ სააპელაციო პალატამ აპელანტ ხ. კ-მისათვის კანონით მინიჭებული უფლებები უგულვებელყო, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

ბ. კ-მის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 სექტემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ბ. კ-მის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**5. კერძო საჩივრის შეტანის ვადა**

**განჩინება**

#ას-1171-1316-08

12 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა მოსამართლე ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** ამონაწერის რეგისტრაციის გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ც. ხ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში თამარისის საკრებულოს გამგეობისა და დ. პ-ურის მიმართ ამონაწერის რეგისტრაციის გაუქმებისა და მისი სოფლის საკომლო წიგნში რიგით წევრად ჩაწერის მოთხოვნით.

აღნიშნული საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. პ-ურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბერს გამართულ სხდომაზე ც. ხ-მემ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა სარჩელის გამოხმობის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 4 ნოემბრის განჩინებით ც. ხ-მის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, გაუქმდა მარნეულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება და ც.ხ-მის სარჩელი დარჩა განუხილველი. ამავე განჩინებით განემარტათ მხარეებს განჩინების გასაჩივრების წესი, ხოლო გასაჩივრების ვადის დენა დაიწყო მისი გამოცხადების მომენტიდან. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ც. ხ-მემ.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ც. ხ-მის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნას დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 401-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის შემოტანიდან 10 დღეში იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს, რა დროსაც სხვა გარემოებებთან ერთად ამოწმებს კერძო საჩივარი შეტანილია თუ არა კანონით დადგენილ ვადაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. ამდენად, დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, განჩინების გასაჩივრებისათვის კანონი აღდგენს 12-დღიან ვადას, რომლის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია და მხარეს უფლება ეძლევა კერძო საჩივარი

შეიტანოს განჩინების კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ჩაბარების ან გამოცხადების მომენტიდან. აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და ამ ვადის შეცვლა არ დაიშვება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის ავტორი. შესაბამისად, კერძო საჩივრის შეტანის ვადა ამოიწურა 17 ნოემბერს.

დადგენილია ასევე რომ ც. ხ-ძემ კერძო საჩივარი სასამართლოში წარადგინა 2008 წლის 17 დეკემბერს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრების 12-დღიანი ვადის დარღვევით.

ზემოაღნიშნული ც. ხ-ძის კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

ც. ხ-ძის კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველი.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **კერძო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევა**

#### **განჩინება**

#ას-411-727-09

8 მაისი 2009 წ., ქ. თბილისი

#### **საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა მოსამართლე რ. ნადირიანი**

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გ. გ-ძის წარმომადგენელ ნ. ს-შვილის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის განჩინებაზე.

#### **პალატამ გამოარკვია:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. მ-იანის სარჩელი მოპასუხე გ. გ-ძის მიმართ მფლობელობის შეწყვეტილად აღიარების თაობაზე დაკმაყოფილდა. ქ. თბილისში, ... მე-2 შესახვევი #2-ში მდებარე #3 ოთახსა და დამხმარე ფართზე მოპასუხე გ. გ-ძის მფლობელობა აღიარებულ იქნა შეწყვეტილად. ამავე სასამართლოს 2008 წლის 12 დეკემბრის განჩინებით გ. გ-ძის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. გ-ძის წარმომადგენელმა ნ. ს-შვილმა, მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის განჩინებით გ. გ-ძის წარმომადგენელ ნ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი საპროცესო ვადის დარღვევის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. გ-ძის წარმომადგენელმა ნ. ს-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განხილვისათვის.

საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. გ-ძის წარმომადგენელ ნ. ს-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადა არის 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია, იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის უწყება ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ამავე კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს.

საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის განჩინების ასლი გ. გ-ძესა და მის წარმომადგენელს გაეგზავნათ და ჩაბარდათ კანონით დადგენილი წესით, კერძოდ, გ. გ-ძეს განჩინების ასლი ფოსტის მეშვეობით პირადად ჩაბარდა 2009 წლის 6 აპრილს, ხოლო მის წარმომადგენელს, კერძოდ, ნ. ს-შვილის მამამთილს - გ. ს-შვილს - 2009 წლის 24 მარტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის შემოტანის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს 2009 წლის 24 მარტიდან (წარმომადგენლისათვის განჩინების ჩაბარების დღე). კერძო საჩივრის შემოტანის ბოლო ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, იყო 2009 წლის 6 აპრილი, გ. გ-ძის წარმომადგენელმა ნ. ს-შვილმა კი იგი წამოადგინა 12-დღიანი საპროცესო ვადის დარღვევით - 2009 წლის 21 აპრილს, ანუ 15 დღის დაგვიანებით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გასაჩივრების ვადის ათვლა რომც დაწყებულიყო იმ დღიდან, როდესაც უშუალოდ გ. გ-ძეს ჩაბარდა გასაჩივრებული განჩინების ასლი, კერძო საჩივრის შემოტანის კანონით დადგენილი 12-დღიანი ვადა მაინც დარღვეული იქნებოდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში, საჩივრის შემოტანის ბოლო ვადა იყო - 20 აპრილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. გ-ძის კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველად გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

გ. გ-ძის წარმომადგენელ ნ. ს-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად დარჩეს;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება;  
განჩინების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.

#### **კერძო საჩივრის შეტანის ვადა**

#### **განჩინება**

#ას-603-912-09

29 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
მოსამართლე თ. თოდრია**

**დავის საგანი:** დაკისრებული ჯარიმის გაუქმება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თ. გ-ოვმა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიმართ დაკისრებული ჯარიმის გაუქმების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სამი თანამშრომელი, მათ შორის, ბ. შ-ია, 2008 წლის 18 თებერვალს იმყოფებოდნენ მასთან სახლში, შეამოწმეს მრიცხველი, შეადგინეს აქტი და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მოაწერინეს ხელი მოსარჩელეს. მოსარჩელის განმარტებით, მის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, მასვე დაერიცხა გადასახადი 1200 ლარის ოდენობით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 მარტის დადგენილებით თ. გ-ოვი ცნობილ იქნა სა-



მართლდამრღვევად, თუმცა გათავისუფლდა იგი ჯარიმის გადახდისაგან. მას კანონიერად დაეკისრა ჯარიმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით თ. გ-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -იგი გათავისუფლდა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების შესახებ #002587 აქტის საფუძველზე დარიცხული 572,2 ლარის გადასახადისაგან და დარჩა 627,8 ლარი.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. გ-ოვმა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განჩინებით თ. გ-ოვის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

სარეზოლუციო ნაწილით სააპელაციო სასამართლომ დაადგინა ამ განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების წესი. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ დავის საგნის ღირებულება არ აღემატებოდა 1000 ლარს.

2009 წლის 5 ივნისს სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა თ. გ-ოვმა. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გასაჩივრებული განჩინების ასლი მას 2009 წლის 2 ივნისს ჩაჰბარდა. კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების შესწავლის შედეგად საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თ. გ-ოვის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

მოცემულ საქმეზე თ. გ-ოვმა სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის განჩინება, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე გაასაჩივრა საკასაციო წესით.

საკასაციო პალატა თვლის, რომ თ. გ-ოვის მიერ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის განჩინებაზე შეტანილი საკასაციო საჩივარი მიჩნეულ უნდა იქნეს კერძო საჩივრად, ვინაიდან საკასაციო საჩივარი თავისი არსითა და შინაარსით წარმოადგენს კერძო საჩივარს და სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებაზე, კანონის თანახმად, შეიძლებოდა მხოლოდ კერძო საჩივრის შეტანა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი თ. გ-ოვმა შეიტანა 2009 წლის 5 ივნისს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული განჩინების ასლი თ. გ-ოვის რძალს -ა. გ-ოვას ჩაჰბარდა 2009 წლის 14 აპრილს. კერძო საჩივარი კი შეტანილ იქნა 2009 წლის 5 ივნისს, მითითებული ნორმით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, რაც კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების ასლი მას ჩაჰბარდა 2009 წლის 2 ივნისს, ვინაიდან აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საქმის მასალებში არ წარმოდგენილა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, რომელიც ვალდებულია, უწყება დაუყონებლივ ჩააბაროს ადრესატს. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ სადავო განჩინების ასლი თ. გ-ოვის რძალს -ა. გ-ოვას ჩაჰბარდა 2009 წლის 14 აპრილს და კერძო საჩივარი მხარემ შეიტანა კანონით დადგენილი 12-დღიანი ვადის დაღვევით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თ. გ-ოვის კერძო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

თ. გ-ოვის კერძო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განჩინებაზე, დარჩეს განუხილველად;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**6. გაკოტრების საქმის წარმოება**

**გაკოტრების ტაბულა**

**განჩინება**

#ას-458-807-07

11 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
მ. ცისკაძე**

**დავის საგანი:** გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტა

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს "ბერმუხამ" განცხადებით მიმართა სასამართლოს საზოგადოების გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ შემდეგი საფუძვლით: შპს "ბერმუხა" დარეგისტრირდა ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 14 თებერვლის #15/4-34 დადგენილებით და მისი საწესდებო კაპიტალი შეადგენს 130 000 ლარს. უკანასკნელ პერიოდში საზოგადოების საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუარესდა, შემოსავალმა იკლო და დაკვეთების მიღება-შესრულება გამწვანდა. 2006 წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით განმცხადებლის საგადასახადო დავალიანებამ ნარჩენის სახით შეადგინა 21363,31 ლარი, ხოლო საურავმა -71519,73 ლარი, სულ -92883,04 ლარი, რაც ყოველთვიური საურავის 0,07%-ის დამატებით იზრდება. აღნიშნულის გამო საზოგადოების ქონებას საგადასახადო ორგანოებმა დაადეს ყადაღა და მზადდება აუქციონი. განცხადების შეტანის დროისათვის შპს-ს ძირითადი ღირებულებაა 64911 ლარი. ამდენად, ნათელია, რომ შპს "ბერმუხა" ზედვალიანების მქონე, გადახდისუუნარო საწარმოა. "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის მე-6-მე-7, მე-13-მე-15 მუხლების, ასევე, "მეწარმეთა შესახებ" კანონის 13.1.3 მუხლის საფუძველზე შპს "ბერმუხას" მიმართ უნდა გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება, შეჩერდეს საზოგადოების მიმართ ყოველგვარი იძულებითი აღსრულების ღონისძიება და გაკოტრების მმართველის თანამდებობაზე დაინიშნოს ნ.დ-იანი.

ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელმა განცხადებას მხარი დაუჭირა.

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 19 დეკემბრის განჩინებით შპს "ბერმუხას" განცხადება დაკმაყოფილდა, საზოგადოების მიმართ 2006 წლის 19 დეკემბერს გაიხსნა გაკოტრების საქმე, გაკოტრების მმართველად დაინიშნა ნ. დ-იანი, რომელსაც დაევა, დაუყოვნებლივ მიიღო გაკოტრების მასა და კეთილსინდისიერად ემართა და განეკარგა იგი, შპს "ბერმუხას" კრედიტორებს დაევა, ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში წარუდგინონ ამბროლაურის რაიონულ სასამართლოს თავისი მოთხოვნები შესაბამისი ვალუტით თანხისა და ვალის საფუძველების ჩვენებით, ვადის გასვლის შემდეგ განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად, მოვალე შპს "ბერმუხას" აკრძალა თავისი ქონების განკარგვა და მართვა, ყველა იმ პირს, რომელსაც შპს-ს ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, დაევა განაცხადოს გაკოტრების მმართველთან აღნიშნული უფლების შესახებ, ყველა იმ პირს, ვინც ფლობს შპს "ბერმუხას" ქონების მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია მოვალის მიმართ რაიმეს შესრულებაზე, აკრძა-

ლა ნივთის დაბრუნება ან ვალდებულების შესრულება და დაევალა შესრულება მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიმართ, დადგინდა 2007 წლის 25 იანვარს, 14.00 საათზე, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში კრედიტორთა პირველი კრების მოწვევა, სადაც უნდა შემოწმდეს კრედიტორთა მოთხოვნები, აგრეთვე, მოსმენილ იქნეს გაკოტრების მმართველის მოხსენება ვალაუვალი მოვალის გადახდისუუნარობის წარმოშობის მიზეზების, არსებული მდგომარეობისა და კრედიტორთა პირველ კრებამდე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

საწარმოს კრედიტორთა კრებაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქუთაისის საგადასახადო ინსპექციამ, საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლის მე-14 პუნქტისა და მე-16 მუხლის "მ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მოითხოვა გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტა, რაც ამავე სასამართლოს 2007 წლის 2 მარტის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს განჩინება საგადასახადო ინსპექციამ გაასაჩივრა კერძო საჩივრით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 30 აპრილის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ საქმის ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ შპს "ბერმუხას" მიმართ არსებობდა "გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ" მე-2 მუხლით დადგენილი საფუძველები. სასამართლოს მითითებით, კერძო საჩივრის ავტორმა სადავოდ გახადა ის გარემოება, არის თუ არა საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლსა და "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის მე-2, 29<sup>1</sup> მუხლებს შორის კოლიზია. ამასთან, ნიშნავს თუ არა საგადასახადო კოდექსის დასახელებული დანაწესი იმას, რომ სასამართლო ვალდებულია, შეწყვიტოს გაკოტრების საქმის წარმოება იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ზედავალიანება წარმოშობილია სახელმწიფოს წინაშე შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულებებიდან. სასამართლომ აპელანტის მოსაზრება ზემოხსენებულ მუხლებს შორის კოლიზიის თაობაზე არ გაიზიარა და ჩათვალა, რომ სახელმწიფოს საგადასახადო ვალდებულებების არსებობა თავისთავად არ გამოირიცხავს საწარმოს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებას. "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის "ა<sup>1</sup>" ქვეპუნქტის საფუძველზე პალატამ მიიჩნია, რომ საწარმოს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება შეიძლება გაიხსნას იმის მიუხედავად, აქვს თუ არა მას ვალი ბიუჯეტის წინაშე და ეს ვალი შეიტანება გაკოტრების ტაბულაში. გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას მოქმედი საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლის მე-14 ნაწილისა და მე-16 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე სასამართლომ ჩათვალა, რომ საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, გადასახადის გადაუხდელობისას დააყადლოს მოვალის ქონება თუ გადამხდელი ცდილობს გამოცხადდეს გაკოტრებულად, ამდენად, გადასახადის გადამხდელის გადახდისუუნარობის ფაქტი არ უნდა იყოს დამდგარი, არამედ გადასახადის გადამხდელი უნდა ცდილობდეს მივიდეს გადახდისუუნარობამდე და მიზნად ისახავდეს გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებას. პალატამ მიიჩნია, რომ სწორედ ამ მოქმედებების პრევენციისათვის, გადასახადის გადამხდელის მიერ კანონდარღვევით გადახდისუუნაროდ გამოცხადების თავიდან ასაცილებლად, გამოიყენება საგადასახადო ყადაღა. პალატის მოსაზრებით, ამ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს მიერ მოვალის მიმართ მოთხოვნის წაყენება და მისი ქონების დაყადაღება უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულების შესრულებას, თუმცა გადასახადის გადამხდელის მიერ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა ზოგადად გადასახადის გადახდას საფრთხეს ვერ შეუქმნის, ხოლო, თუ გადასახადის გადამხდელი ფაქტობრივად გაკოტრებულია, მის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა სწორედ არსებული ვალდებულების შესრულებასა და კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება და არა ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდებას. სასამართლოს მითითებით, საგადასახადო კოდექსის ზემოხსენებული მუხლებიდან გამომდინარეობს, რომ თუ გადასახადის გადამხდელი გადასახადის გადახდისათვის თავის არიდების მიზნით ეცდება გაკოტრებას ან, ამავე მიზნით, უსაფუძვლოდ მის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნას, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, გაკოტრების საქმის გახსნამდე მოსთხოვოს გადამხდელს გადასახადის გადახდა, ხოლო მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში დააყადლოს მისი ქონება. სასამართლომ მიიჩნია, რომ საგადასახადო კოდექსი გადასახადის გადამხდელის ქონების დაყადაღებისას მის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესაძლებლობას არ ზღუდავს. განსახილველ შემთხვევაში პალატამ ჩათვალა, რომ საგადასახადო სამსახურის მიერ შპს "ბერმუხას" ქონების დაყადაღების მიუხედავად, საწარმო ვალდებული იყო, მიემართა სასამართლოსათვის გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, "მე-წარმეთა შესახებ" კანონის 14.1.3 მუხლისა და სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლის საფუძველზე შესაძლოა საწარმოს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარიყო. ამ-

დენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შპს "ბერმუხას" ზედავალიანების დადგენის პირობებში რაიონულმა სასამართლომ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ მხარის მოთხოვნა მართებულად დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქუთაისის საგადასახადო ინსპექციამ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და შპს "ბერმუხას" მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტა შემდეგი საფუძვლებით: გასაჩივრებული განჩინება მიღებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტების, 394-ე მუხლის "ე" პუნქტისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტების დარღვევით. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით საგადასახადო ინსპექციის მიმართ, შპს "ბერმუხას" დავალიანების გამო, საზოგადოების ქონება დაყადაღდა და გადაუხდელი გადასახადების მობილიზებისათვის დადგინდა მისი რეალიზაცია, რაც ვერ მოხერხდა ამბროლაურის რაიონული სასამართლოს მიერ 2006 წლის 19 დეკემბერს გახსნილი გაკოტრების საქმის წარმოების გამო, ვინაიდან "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის მე-7 მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით, საზოგადოების მიმართ აღსრულების ღონისძიება შეჩერდა. სასამართლომ დაარღვია საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლის მე-14 ნაწილი და მე-16 ნაწილის "გ" ქვეპუნქტი. დასახელებული ნორმა საგადასახადო ორგანოს მხრიდან მოვალე ორგანიზაციის ქონებაზე ყადაღის დადების შემთხვევაში ავტომატურად გულისხმობს გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტას. ამასთან, გაკოტრების საქმის წარმოება მოცემულ შემთხვევაში ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ გაიხსნა. "ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის 25.2 მუხლის შესაბამისად, პალატას საგადასახადო კოდექსის ზემოთ დასახელებული ნორმისათვის უპირატესობა უნდა მიენიჭებინა "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონთან მიმართებაში.

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და მხარეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ შპს "ბერმუხას" მიმართ არსებობდა "გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ" მე-2 მუხლით დადგენილი გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის საფუძვლები, კერძოდ, შპს "ბერმუხა" იყო გადახდისუნარი და გააჩნდა ზედავალიანება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების საფუძვლად კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლის მე-14 ნაწილის დანაწესს, რომელიც, მხარის მოსაზრებით, საგადასახადო ორგანოს მხრიდან მოვალე ორგანიზაციის ქონებაზე ყადაღის დადების შემთხვევაში ავტომატურად გულისხმობს გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამდენად, საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობაზე იმსჯელებს მხოლოდ კასატორის მიერ მითითებული საფუძვლების გათვალისწინებით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას და სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლის მე-14 და მე-16 ნაწილების შინაარსს "გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ" კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის "ა<sup>1</sup>" დანაწესთან მიმართებაში, კერძოდ, საგადასახადო კოდექსის აღნიშნული ნორმებით, თუ აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობისას საგადასახადო ორგანოს საკმარისი საფუძველი აქვს მიიჩნიოს, რომ გადასახადის გადახდევინებას საფრთხე ემუქრება, მას უფლება აქვს, მოითხოვოს გადასახადის დაუყოვნებლივ გადახდა და მისი გადაუხდელობის შემთხვევაში ყადაღა დაადოს მოვალის ქონებას. საგადასახადო ორგანომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიიჩნიოს, რომ გადასახადის გადახდევინებას საფრთხე ემუქრება, თუ გადასახადის გადამხდელი საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ცდილობს გამოცხადდეს გაკოტრებულად. "გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ" კანონით კი გაკოტრების სასამართლომ მოთხოვნების ცხრილის საფუძველზე უნდა შეადგინოს გაკოტრების ტაბულა, რომელშიც შეიტანება საქმის წარმოების გახსნამდე გადასახდელი გადასახადები და მოსაკრებლები, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნები.

საგადასახადო კოდექსის მითითებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, გადასახადის გადამხდელის მიერ უსაფუძვლოდ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მცდელობისას მოსთხოვოს მას გადასახადების გადახდა და წინააღმდეგ შემთხვევაში დააყადოს მისი ქონება. გადასახადის გადამხდელის ქონების დაყადაღება წარმოადგენს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას და ადასტურებს ვალდებულების არსებობას. ამასთან, აღნიშნული ნორმების არსებობა საწარმოს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესაძლებლობას არ ზღუდავს. კერძო საჩივრის ავტორი ვერ უთითებს ნორმაზე, რომელიც ადგენს უფლებამოსილი ორგანოს მიერ საგადასახადო ყადაღის გამოყენების შემთხვევაში გადამხდელის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის აკრძალვას. მსგავს დანაწესს საგადასახადო კოდექსი არ შეიცავს, შესაბამისად, დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის არგუმენტი "ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის 25.2 მუხლის გამოყენების თაობაზე იმ მოტივით, რომ საგადასახადო კოდექსს "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონთა მიმართებაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს.

"გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის "ა<sup>1</sup>" ქვეპუნქტის მიხედვით, გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემდეგ გაკოტრების ტაბულაში შეიტანება გადასახადებისა და მოსაკრებლების ვალდებულება, რაც უზრუნველყოფს საგადასახადო დავალიანების დაფარვას. ამდენად, გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა ემსახურება რა სწორედ კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილებას, გადასახადების გადახდის ხელშემშლელ გარემოებად არ უნდა იქნეს მიჩნეული.

საკასაციო პალატა ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ შპს "ბერმუხა" ვალდებული იყო, გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა მოეთხოვა, რათა თავიდან აეცილებინა საწარმოს ხელმძღვანელობის მიმართ "მეწარმეთა შესახებ" კანონის 14.1.3 მუხლითა და სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებული მატერიალური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ" კანონის 31-ე მუხლის მესამე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 30 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **გაკოტრების შესახებ სასამართლოს დადგენილების გასაჩივრება**

#### **განჩინება**

#ას-264-522-08

28 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 თებერვლის განჩინებაზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 16 მაისს სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ დირექტორმა ა. ს-შვილმა განცხადებით მიმართა კასპის რაიონულ სასამართლოს და გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა მოითხოვა.

განმცხადებლის მითითებით, სს „კასპის სასურსათო კომბინატი“ დაფუძნებული და რეგისტრირებულია 1998 წლის 8 ივნისს. აქციონერები არიან: სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებას ახორციელებს სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტო“, შპს „მეტეხი“ და ფიზიკური პირები. საწარმოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: სასურსათო პროდუქციის წარმოება, დამზადება, გადამუშავება და რეალიზაცია. კომბინატს დაუგროვდა დავალიანება 400213.22 ლარის ოდენობით, კერძოდ: 378468.22 ლარი საგადასახადო ინსპექციის, 1067 ლარი -ზ. რ-ძის, 12906 ლარი თ. მ-შვილის, ხოლო 3516 ლარი -სს „შიდა ქართლის ენერჯოკომპანიის“ მიმართ, ასევე - 4256 ლარი სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ თანამშრომლებზე გასაცემი ხელფასების სახით. საზოგადოებას დებიტორები არ ჰყავს, ქონება დაგირავებული, გაქირავებული, იჯარით გაცემული ან აღებული არ აქვს, არ გააჩნია ანგარიში ბანკში. საწარმოს ქონება 2007 წლის იანვრის მდგომარეობით შეადგენს 173741 ლარს, კერძოდ: მიწის გარეშე -126365 ლარს, ხოლო 15500 კვ.მ მიწის ნაკვეთი -47376 ლარს, რის გამოც გაკოტრების საფუძველი -ზედავალიანება სახეზეა.

კასპის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის განჩინებით სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში; შეჩერდა სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ მიმართ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება, ხოლო იძულებითი აღსრულების სხვა ღონისძიება არ იქნა დაშვებული; სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ გაკოტრების დროებით მმართველად დაინიშნა ვ. კ-ძე, რომელსაც დაევალა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში მოქმედება; სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ ხელმძღვანელობას და საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს აეკრძალათ ქონების განკარგვა ან სხვა მსგავსი ხასიათის მოქმედება გაკოტრების დროებით მმართველთან შეუთანხმებლად; გაკოტრების დროებით მმართველს დაევალა განჩინების გამოტანიდან 20 დღის ვადაში სასამართლოსათვის შემდეგი ინფორმაციის მიწოდება: 1) რეალურად არსებობს თუ არა სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ გაკოტრების საფუძველი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად; 2) საკმარისია თუ არა მოვალის ქონება გაკოტრების საქმის წარმოების ხარჯების დასაფარავად ამავე კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად; 3) შეიძლება თუ არა შედეგადად გაგრძელდეს მოვალის საქმიანობა, თუ საჭიროა საწარმოს დახურვა; გაკოტრების დროებითი მმართველის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება გადაიდო გაკოტრების საქმის წარმოების საკითხის გადაწყვეტამდე.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა იმ მოტივით, რომ აღნიშნული განჩინებით შეჩერდა სს „კასპის სასურსათო კომბინატის“ მიმართ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება, რითაც საწარმოს ძირითად კრედიტორს -გორის საგადასახადო ინსპექციას მოესპო თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების მეშვეობით, კერძოდ: საწარმოს მიმართ 2002 წლის 10 დეკემბერს დარეგისტრირდა 342900 ლარის მოცულობის საგადასახადო გირავნობის უფლება, 2005 წლის 19 აგვისტოს სააქციო საზოგადოებას გაეგზავნა შეტყობინება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, ხოლო ერთი თვის შემდეგ, 19 სექტემბერს, #16 ბრძანება ქონების დაყადაღების შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ სს „კასპის სასურსათო კომბინატს“ ერიცხება ბიუჯეტის დავალიანება 498788 ლარის ოდენობით. ამდენად, საგადასახადო ინსპექციის და შესაბამისად, სახელმწიფოს ინტერესები უზრუნველყოფილია, რის გამოც საჭირო არ არის გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა, რის შედეგადაც ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი საწარმოს ქონება კიდევ უფრო შემცირდება, მით უმეტეს, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად, პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილდეს საქმის წარმოების გახსნამდე გადასახდელი გადასახადები და მოსაკრებლები, ანუ, სამი თვის ხელფასის ანაზღაურების შემდეგ, უნდა დაკმაყოფილდეს გორის საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 6 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და კასპის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის განჩინება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, გაკოტრების ზოგადი საფუძვლებია მოვალის გადახდისუუნარო-

ბა, აგრეთვე მისი ზედავალიანება, თუ მოვალე იურიდიული პირია. გადახდისუუნარობა სახეზეა, როდესაც მოვალეს არ შეუძლია, შეასრულოს ვადამოსული ვალდებულებები, ხოლო ზედავალიანება არსებობს, როცა მოვალის ქონება ვედარ ფარავს მის ვალდებულებებს. მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებებით: აუდიტორული დასკვნებითა და სს "კასპის სასურსათო კომბინატის" მმართველის განცხადებით დასტურდებოდა გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის ორივე საფუძველი: სააქციო საზოგადოებას შეწყვეტილი ჰქონდა წარმოების პროცესი და არ იღებდა რაიმე შემოსავალს, შესაბამისად, მისთვის შეუძლებელი იყო ვადამოსული ვალდებულებების დაფარვა. ამასთან, საწარმოს დავალიანება შეადგენდა 400213 ლარს, ხოლო ქონება -173741 ლარს.

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით სს "კასპის სასურსათო კომბინატის" მიმართ გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება; გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის დღედ განისაზღვრა 2007 წლის 19 ოქტომბერი, 10 საათი; სს "კასპის სასურსათო კომბინატს" აკრძალა თავისი ქონების განკარგვა; სს "კასპის სასურსათო კომბინატის" გაკოტრების მმართველად დაინიშნა ვ. კ-ძე; სს "კასპის სასურსათო კომბინატის" კუთვნილი ქონება სამართავად გადაეცა გაკოტრების მმართველს, რომელსაც განემარტა, რომ იგი ვალდებულია, იმოქმედოს "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლითა და ზოგადად, ამ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში; გაკოტრების მმართველის შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა განისაზღვრა კრედიტორთა კრებაზე; სს "კასპის სასურსათო კომბინატის" ყველა კრედიტორს დაევალა გორის რაიონული სასამართლოსათვის 2007 წლის 13 ნოემბრის ჩათვლით მათი მოთხოვნების წარმოდგენა შესაბამის ვალუტაში თანხისა და ვალის საფუძვლის ჩვენებით; სს "კასპის სასურსათო კომბინატის" კრედიტორებს განემარტათ, რომ ამ ვადის გასვლის შემთხვევაში, გაკოტრების მასის განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად; ყველა იმ პირს, რომელსაც სს "კასპის სასურსათო კომბინატის" ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, დაევალა მოთხოვნათა წაყენების ვადაში (განჩინების გამოქვეყნებიდან 10 დღეში) გაკოტრების მმართველთან ამ უფლებათა შესახებ გაცხადება; ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს სს "კასპის სასურსათო კომბინატის" ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია მის მიმართ რაიმე მოქმედების შესრულებაზე, დაევალა ამ ნივთის დაბრუნება ან ვალდებულების შესრულება მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიმართ; შეჩერდა სს "კასპის სასურსათო კომბინატის" მიმართ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება; განიმარტა, რომ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალას კარგავს სს "კასპის სასურსათო კომბინატის" წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი აღსრულების იძულებითი ღონისძიებები; საღსრულებო წარმოების მასალები გადაეცა გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოს; განიმარტა, რომ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ ამ განჩინების გამოქვეყნების შემდეგ სს "კასპის სასურსათო კომბინატის" მიმართ განხორციელებული რაიმე ვალდებულების შესრულება ბათილია, თუ იგი შემდგომ არ შევა გაკოტრების მასაში; სს "კასპის სასურსათო კომბინატის" კრედიტორთა პირველი კრება მოწვეულ იქნა 2007 წლის 14 ნოემბერს, 12 საათზე, გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, ... ქ. #30); დადგინდა განჩინების ასლების გაგზავნა გორის საგადასახადო ინსპექციისათვის სამეწარმეო რეესტრში, ხოლო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კასპის სარეგისტრაციო სამსახურისათვის -საჯარო რეესტრში სს "კასპის სასურსათო კომბინატის" გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ მონაცემების შეტანის მიზნით; დადგინდა განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილების გამოქვეყნება ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, აგრეთვე განთავსება სასამართლოს დაფაზე; განიმარტა, რომ განჩინების გავრცელებიდან 2 დღის შემდეგ გამოქვეყნება შესრულებულად ითვლება გაკოტრების საქმის წარმოების ყველა მონაწილის მიმართ.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციამ, რომელმაც მისი გაუქმება და სს "კასპის სასურსათო კომბინატისათვის" გაკოტრების საქმის წარმოების გახსნაზე უარის თქმა მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, გაკოტრების საქმის წარმოების ერთ-ერთი მიზანია კრედიტორთა ინტერესების მაქსიმალური უზრუნველყოფა და დაცვა, მაგრამ საგადასახადო ინსპექციას, როგორც ძირითად კრედიტორს, საქართველოს საგადასახადო კოდექსით მინიჭებული აქვს უფლება, აღიარებული დავალიანების ფარგლებში გადასახადის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებების მეშვეობით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა. გორის საგადასახადო ინსპექცია გაკოტრების საქმის წარმოების დროსაც განსაკუთრებული კრედიტორია, ვინაიდან "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის "ა<sup>1</sup>" ქვეპუნქტის თანახმად, თუ არ იქნება გათვალისწინებული გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე 3 თვის სახელფასო დავალიანება, პირველ რიგში უნდა დაიფაროს საქმის წარმოების გახსნამდე გადასახდელი გადასა-

ხადები და მოსაკრებლები, ანუ სხვა კრედიტორებთან შედარებით მას მინიჭებული აქვს გაკოტრების მასიდან მოთხოვნის პირველ რიგში დაკმაყოფილების უფლება. ამდენად, თუკი, როგორც გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის, ისე - გახსნაზე უარის თქმის შემთხვევაში, კრედიტორული დავალიანების დაფარვის უპირატესობა საგადასახადო ინსპექციას გააჩნია, გაუგებარია გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის საჭიროება. გორის საგადასახადო ინსპექციას შესწევს უნარი, უკვე გატარებული გადასახადის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიების - 2002 წლის 10 დეკემბერს დარეგისტრირებული საგადასახადო გრავნობის უფლებისა და ქონების დაყადაღების შესახებ 2005 წლის 19 სექტემბრის #16 ბრძანების მეშვეობით დაიკმაყოფილოს მოთხოვნა და თავიდან აიცილოს გაკოტრების საქმის წარმოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ხარჯები. საგადასახადო ინსპექციას არ ექნებოდა პრეტენზია იმ შემთხვევაში, თუკი გაკოტრების მასის ოდენობა აღემატებოდა საგადასახადო დავალიანების ფარგლებს და შესაძლებელი იქნებოდა სხვა კრედიტორთა თუნდაც ნაწილობრივ დაკმაყოფილება, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ გაკოტრების მმართველი შეძლებს საწარმოს რეაბილიტირებას. ამასთან, გარკვეული კოლიზია იქმნება საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის შორის, ვინაიდან პირველი იძლევა გადასახადის გადამხდელზე ზემოქმედების შესაძლებლობას, ხოლო მეორე იმავეს განახორციელების უფლებას გაკოტრების მმართველს ანიჭებს, რის გამოც უპირატესობა უნდა მიენიჭოს საგადასახადო ინსპექციისათვის სპეციალურ კანონს - საქართველოს საგადასახადო კოდექსს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 თებერვლის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 19 ოქტომბრის განჩინება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით განმარტა, რომ კერძო საჩივრის პრეტენზია არ იყო დასაბუთებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შესაბამისად, კერძოდ: "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სასამართლო გაკოტრების საქმის წარმოების გახსნაზე უარს ამბობს, თუ: ა) არ არსებობს გაკოტრებაუნარიანობა (გაკოტრებადობა) ან გაკოტრების საფუძველი ამ კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად; ბ) მოვალის ქონება იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია, დაიფაროს ამ კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ხარჯები; გ) გაკოტრების განცხადების შეტანის შემდეგ აღმოიფხვრა გაკოტრების საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი ვერ მიუთითებდა გაკოტრების საქმის წარმოების გახსნაზე უარის თქმის ვერც ერთ კანონით გათვალისწინებულ საფუძველზე.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექციამ), რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სს "კასპის სასურსათო კომბინატისათვის" გაკოტრების საქმის წარმოების გახსნაზე უარის თქმა მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, გაკოტრების საქმის წარმოების ერთ-ერთ ძირითად მიზანს კრედიტორთა ინტერესების უზრუნველყოფა და დაცვა წარმოადგენს. სახელმწიფო სს "კასპის სასურსათო კომბინატის" მთავარი კრედიტორია და თავის უფლებებს იცავს გორის საგადასახადო ინსპექციის მეშვეობით, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კოდექსით მინიჭებული აქვს უფლება, აღიარებული დავალიანების ფარგლებში გადასახადის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებების მეშვეობით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა. ამასთან, გორის საგადასახადო ინსპექცია გაკოტრების საქმის წარმოებისას ასევე განსაკუთრებულ კრედიტორს წარმოადგენს, ვინაიდან "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის "ა<sup>1</sup>" ქვეპუნქტის თანახმად, თუ მხედველობაში არ იქნა მიღებული გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე სამი თვის სახელფასო დავალიანება, პირველ რიგში უნდა დაიფაროს საქმის წარმოების გახსნამდე გადასახდელი გადასახადები და მოსაკრებლები, ანუ სხვა კრედიტორებთან შედარებით, საგადასახადო ინსპექცია პირველ რიგში დაიკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნას. ამდენად, ორივე შემთხვევაში კრედიტორული დავალიანების დაფარვის უპირატესობა საგადასახადო ინსპექციას გააჩნია, რის გამოც გაუგებარია, რა საჭიროა დამატებითი, არც თუ უმნიშვნელო ხარჯების გაღება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის გამო, მაშინ როდესაც, გორის საგადასახადო ინსპექციას შეუძლია გადასახადის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებების - 2002 წლის 10 დეკემბერს რეგისტრირებული საგადასახადო გირავნობის უფლებისა და ქონების დაყადაღების შესახებ 2005



წლის 19 სექტემბრის #16 ბრძანების მეშვეობით დაიკმაყოფილოს სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის, მოთხოვნა. საგადასახადო ინსპექციას არ ექნებოდა პრეტენზია იმ შემთხვევაში, თუკი გაკოტრების მასის ოდენობა აღემატებოდა საგადასახადო დავალიანების ფარგლებს და შესაძლებელი იქნებოდა სხვა კრედიტორთა მოთხოვნების თუნდაც ნაწილობრივ დაკმაყოფილება, მაგრამ სააქციო საზოგადოების ქონება 201500 ლარს შეადგენს, ხოლო საგადასახადო დავალიანება 2007 წლის ივნისისათვის -400213 ლარს, რაც 2007 წლის 19 ოქტომბრის მდგომარეობით კიდევ უფრო გაიზარდა და 469425 ლარი შეადგინა, ანუ შეუძლებელია გაკოტრების მმართველმა მოახერხოს საწარმოს რეაბილიტაცია, რის გამოც ვერ დაკმაყოფილდება არათუ სხვა კრედიტორები, არამედ გაკოტრების ტაბულაში პირველ ნომრად აღიარებული კრედიტორი -სახელმწიფო.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში გარკვეული კოლიზია არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონს შორის, ვინაიდან, ერთი მხრივ, არსებობს გადასახადის გადამხდელზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ხოლო მეორე მხრივ - იმავეს გორის საგადასახადო ინსპექციის ნაცვლად განახორციელებს გაკოტრების მმართველი, რის გამოც უპირატესობა უნდა მიენიჭოს საგადასახადო ინსპექციისათვის სპეციალურ კანონს, საქართველოს საგადასახადო კოდექსს, რომელიც დეტალურად ადგენს საგადასახადო ორგანოს შესაძლებლობას, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელმა, კანონის საფუძველზე და მისი დაცვით დაიკმაყოფილოს მოთხოვნა საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის განხილვისა და საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციის კერძო საჩივარი დაუშვებელია და განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული გარემოებათა გამო:

"გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ ამ კანონით დასაშვებია გაკოტრების სასამართლოს დადგენილების გასაჩივრება, მაშინ მის მიმართ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე-420-ე მუხლების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს დადგენილება აგრეთვე შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით, თუ არსებობს საკასაციო საჩივრის საფუძველები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნული მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს დადგენილება იმ შემთხვევაში შეიძლება გასაჩივრდეს, თუკი იგი ეფუძნება ისეთ ნორმას, რომელიც სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა ან არ გამოიყენა ისეთი ნორმა, რომელიც უნდა გამოეყენებინა და სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოთ მითითებული ნორმიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების საპროცესო საფუძველი. კერძო საჩივარი არ შეიცავს საკასაციო საჩივრის საფუძველებს და არც გასაჩივრებულ დადგენილებაში არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებანი, სასამართლოს გამოყენებული აქვს ნორმები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა და აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად არ არსებობდა სხვა ნორმათა გამოყენების საჭიროება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ ექვემდებარება წარმოებაში მიღებას და განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ კანონის" 31-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 419-420-ე მუხლებით და

## **და ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 თებერვლის განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## გაკოტრების შესახებ სასამართლოს დადგენილების გასაჩივრება

### განჩინება

#ას-413-763-08

2 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
მოსამართლე თ. თოდრია (მომხსენებელი)

**დავის საგანი:** გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა

#### აღწერილობითი ნაწილი:

კასპის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 21 აგვისტოს განჩინებით გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება შპს „მირიანის“ მიმართ, მასვე აეკრძალა ქონების განკარგვა, იმავე განჩინებით გაკოტრების მმართველად დაინიშნა ვ. კ-ძე, შპს „მირიანის“ ყველა კრედიტორს დაევალა 2006 წლის 6 სექტემბრის ჩათვლით თავიანთი მოთხოვნების, გამოხატული შესაბამის ვალუტაში, აგრეთვე ვალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტების სასამართლოსათვის წარდგენა. იმავე დროულად განმარტებული იქნა, რომ კრედიტორების მიერ ვადის გასვლის შემდეგ, განაწილება მოხდებოდა მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.

ამავე სასამართლოს 2006 წლის 7 სექტემბრის განჩინებით წარდგენილი კრედიტორული მოთხოვნების საფუძველზე შედგენილ იქნა შპს „მირიანის“ გაკოტრების ტაბულა კრედიტორული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგი რიგითობით: 1. გორის საგადასახადო ინსპექცია - 22419217,65 ლარი; 2. სს „საქცემენტი“ -246794 ლარი; 3. სს „კასპიგაზი“ -26098,12 ლარი; 4. პროფკავშირები -32709.

2006 წლის 12 დეკემბრის განჩინებით მოწვეულ იქნა კრედიტორთა კრება 2006 წლის 20 დეკემბერს 12 საათზე. ამავე განჩინებით განისაზღვრა დღის წესრიგი: ა) მოთხოვნების ცხრილის საფუძველზე გაკოტრების ტაბულის საბოლოო ვარიანტის დამტკიცება; ბ) აუქციონის დებულების დამტკიცება; გ) აუქციონის თარიღის განსაზღვრა.

კასპის რაიონული სასამართლოს 2007 12 თებერვლის განჩინებით წარდგენილი კრედიტორული მოთხოვნების საბოლოო ცხრილის საფუძველზე შედგენილ იქნა შპს „მირიანის“ გაკოტრების ტაბულა შემდეგი რიგითობით: 1. აღიარებული მოთხოვნები: ა) გორის საგადასახადო ინსპექცია (სახ. ბიუჯეტი) -22 419 217,65 ლარი; ბ) სს „საქცემენტი“ -4 100 761 ლარი; გ) სს „საქცემენტი“ -246 794 ლარი; დ) სს „კასპიგაზი“ -31 705,86 ლარი; ე) პროფკავშირები -32 709 ლარი; 2. დაგვიანებული მოთხოვნა: სპს „ჩემექსიმ ინტერნეშენალი“ -5 500 000 ლარი; 3. სადავო მოთხოვნა: ა) სს „ჭიათურმანგანუმი“ -2 871,98 ლარი; ბ) სს „საქცემენტი“ -14 083 ლარი; გ) სს „საქცემენტი“ -79 637 ლარი.

2007 წლის 14 თებერვლის განჩინებით მოწვეულ იქნა კრედიტორთა კრება იმავე წლის 21 თებერვალს -11 საათზე. კრების დღის წესრიგი განისაზღვრა შემდეგნაირად: ა) აუქციონის დებულების დამტკიცება; ბ) აუქციონის თარიღის განსაზღვრა; გ) წინასწარი განაწილების შესახებ ანგარიშის მოსმენა.

კასპის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა შპს „მირიანის“ გაკოტრების მმართველის განცხადება საზოგადოების მასის ნაწილის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების წინასწარ განაწილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ და გაკოტრების მმართველს მიეცა თანხმობა საშემოსავლო ქონებისა და მიწის გადასახადებში გადახდილი თანხა 1 319 310 ლარი გადაეტანა დამატებული ღირებულების გადასახადში.

2007 წლის 21 თებერვლის განჩინებით დამტკიცდა აუქციონის დებულება, აუქციონის ჩატარების თარიღად განისაზღვრა 2007 წლის 1 მარტი, დამტკიცდა წინასწარი განაწილების შესახებ გაკოტრების მმართველის ანგარიში, მასვე დაევალა დამტკიცებული დებულების თანახმად, აუქციონის ჩატარების უზრუნველყოფა.

2007 წლის 5 მარტის განჩინებით დაკმაყოფილდა გაკოტრების მმართველის წლის განცხადება გაკოტრების მასის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების განაწილების შესახებ. მმართველს მიეცა თანხმობა გაკოტრების მასის რეალიზაციით მიღებული ამონაგებიდან პირველ რიგში გადაეხადა თანხა შემდეგი თანმიმდევრობით; ა) აუდიტორული მომსახურებისათვის 8000 ლარი. ბ) განცხადებების გამოქვეყნებისათვის -619 ლარი გ) სასამართლო ხარჯები -42 477 ლარი. დ) გაკოტრების მმართველის გასამრჯელო -1868,99 ლარი. ე) მმართველის გასამრჯელოს სოციალური გადასახადი -424,77 ლარი. ვ) მმართველის გასამრჯელოს საშემოსავლო გადასახადი -254,86 ლარი.

2007 წლის 6 მარტის განჩინებით გაკოტრების მმართველის საბოლოო ანგარიშისა და მოხსენების შემოწმების დღის წესრიგით დაინიშნა კრედიტორთა კრება 2007 წლის 13 მარტს 11 საათზე.

2007 წლის 13 მარტის განჩინებით დამტკიცდა შპს „მირიანის“ გაკოტრების მმართველის საბოლოო ანგარიში და საბოლოო მოხსენება, დასრულდა გაკოტრების საქმის წარმოება, შპს „მირიანი“ გამოცხადდა გაკოტრებულად და დადგინდა მისი ლიკვიდაცია. მარგისტრირებულ ორგანოს, გორის საგადასახადო ინსპექციას დაევალა საზოგადოების ამორიცხვა სამეწარმეო რეესტრიდან. გაკოტრების მმართველს - ვ. კ-მეს შეუწყდა უფლებამოსილება.

2007 წლის 26 ივლისის კასპის რაიონულ სასამართლოში კერძო საჩივარი წარადგინა შპს „სიონჰესი-98-ის“ წარმომადგენელმა დ. ზ-იამ, რომელმაც მოითხოვა გაკოტრების წარმოებასთან დაკავშირებით კასპის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული ყველა განჩინებების (გარდა 13.03.2007 წ. განჩინებისა).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 სექტემბრის განჩინებით შპს „სიონჰესი-98-ის“ კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს „სიონჰესი-98-ის“ წარმომადგენელმა დ. ზ-იამ. მან მიუთითა, რომ შპს „მირიანმა“ უხეშად დაარღვია კანონი, კერძოდ, მან არ ჩააყენა კრედიტორი საქმის კურსში იმის თაობაზე, რომ გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება. გაკოტრების საქმის წარმოება უკანონოდ წარიმართა და დამთავრდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, კერძო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ შპს „სიონჰესი-98-ის“ კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

კასპის რაიონულ სასამართლოში კერძო საჩივარი შეიტანა შპს „სიონჰესი-98-ის“ წარმომადგენელმა დ. ზ-იამ, რომელმაც მოითხოვა გაკოტრების საქმის წარმოებასთან დაკავშირებით კასპის რაიონული სასამართლოს ყველა განჩინების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 სექტემბრის განჩინებით შპს „სიონჰესი-98-ის“ კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს „სიონჰესი-98-მა“.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კერძო საჩივრის თაობაზე საბოლოო განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს. ზემდგომი სასამართლო წყვეტს კერძო საჩივრის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის საკითხს. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს განჩინება არის საბოლოო, რომელიც არ საჩივრდება.

“გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ” საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კანონით დასაშვებია გაკოტრების სასამართლოს დადგენილების გასაჩივრება, მაშინ მის მიმართ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე-420-ე მუხლების შესაბამისად. სააპელაციო სასამართლოს დადგენილება, აგრეთვე, შეიძლება გასაჩივრდეს თუ არსებობს საკასაციო საჩივრის საფუძვლები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად. კერძო საჩივარში მითითებული უნდა იქნეს საკასაციო საჩივრის საფუძვლების არსებობის თაობაზე და ამასთან, გასაჩივრებულ განჩინებაშიც უნდა არსებობდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებანი, კერძოდ, სასამართლოს განჩინება უნდა ეფუძნებოდეს ისეთ ნორმას, რომელიც სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა ან არ გამოიყენა ისეთი ნორმა, რაც უნდა გამოეყენებინა და სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.

მოცემულ შემთხვევაში არც გასაჩივრებული განჩინება და არც კერძო საჩივარი არ შეიცავს საკასაციო საჩივრის საფუძვლებს. სასამართლოს გამოყენებული აქვს ნორმები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად, კერძოდ, დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოში კერძო საჩივარი შეტანილ იქნა დაგვიანებით, რის გამოც კერძო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებანი.

საკასაციო სასამართლოს აზრით, მოცემული დავა ეხება გაკოტრების საქმის გახსნას, შესაბამისად, ზემოაღნიშნული მუხლის მიხედვით გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე, 419-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

შპს "სიონჰესი 98-ის" კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**გაკოტრების შესახებ კერძო საჩივრის გასაჩივრების დაუშვებლობა**

**განჩინება**

#ას-875-1089-08

6 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
მოსამართლე ლ. ლაზარაშვილი**

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა შპს "ლილი და კომპანიის" კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინებაზე. საკასაციო სასამართლომ

**გამოარკვია:**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 25-26 ივლისის განჩინებით დამტკიცდა მოთხოვნების ცხრილის საფუძველზე სს "აზოტის" გაკოტრების ტაბულა, რომელშიც ერთ-ერთ კრედიტორად მიეთითა შპს "ლილი და კომპანია" შემდეგი მონაცემით: ორგანიზაციის დასახელება - შპს "ლილი და კომპანია" სადავო თანხა - 85971474 ლარი. ამავე განჩინებით შპს "ლილი და კომპანიის" შუამდგომლობა დაუდგენელი მოთხოვნის მქონე კრედიტორების ხმის ოდენობის შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა შპს "ლილი და კომპანიამ", რომელმაც გასაჩივრებული განჩინების იმ ნაწილში გაუქმება მოითხოვა, რომლითაც სს "აზოტის" მიმართ 995799 ლარის ოდენობით კრედიტორული მოთხოვნა დაფიქსირდა სადავო მოთხოვნად, აღიარებულ იქნა კონცერნ "დვინის" 8640924,23 ლარის მოთხოვნა და ფირმა "ალსოს" -270 931 326 ლარის კრედიტორული მოთხოვნა შევიდა გაკოტრების ტაბულაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინებით შპს "ლილი და კომპანიის" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლით დაცულია ყველა კრედიტორის მიერ აზრის გამოხატვის უფლება და დავის წარმოება, მაგრამ აღნიშნულში მოიაზრება საკუთარი მოთხოვნების დაცვა და არა სხვა კრედიტორთა მოთხოვნის სადავოდ გახდომის შესაძლებლობა კრედიტორთა კრებაზე. კრედიტორები არ არიან შეზღუდულნი, ცალკე სარჩელებით დაადგინონ სხვა კრედიტორთა მოთხოვნების საფუძველიანობა მათი საერთო მოვალის მიმართ, თუკი ისინი ამგვარი აღიარებითი სარჩელების იურიდიულ ინტერესს დაასაბუთებენ. ამასთან, სადავო მოთხოვნის მქონე კრედიტორს შეუძლია წარადგინოს მოთხოვნა შემდავებლის წინააღმდეგ მხოლოდ საჩივრის შეტანის გზით. აღნიშნულ დანაწესში მოიაზრება სადავო მოთხოვნის დადგენის თაობაზე სარჩელის წარდგენა, ხოლო უდავო მოთხოვნა ნიშნავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ან მოვალის მიერ აღიარებულ მოთხოვნას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან კერძო საჩივარი არ შეიცავდა საკასაციო საჩივრის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძველებს, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება გასაჩივრებას არ უნდა დაქვემდებარებოდა.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს "ლილი და კომპანიამ", რომელმაც 995779 ლარის ოდენობით კრედიტორული მოთხოვნის აღიარებულ მოთხოვნად გადატანაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ იგი დაუშვებელია და განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

"გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 56-ე მუხლი ამ კანონის ამოქმედების ვადად განსაზღვრავს 2007 წლის 15 აგვისტოს. ამავე კანონის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იმ გადახდისუუნარობის საქმეების მიმართ, რომლებზედაც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება წარდგენილია "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს 1996 წლის 25 ივნისის კანონის შესაბამისად, გაკოტრებისა და რეაბილიტაციის პროცესი უნდა დასრულდეს ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი წლის ვადაში. მოცემული ვადის გასვლის შემდეგ რეაბილიტაციის პროცესში და გაკოტრების რეჟიმში მყოფი სუბიექტების მიმართ შეწყდება "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის მოქმედების გავრცელება და გადახდისუუნარობის საქმის წარმოება განხორციელდება "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" კანონის შესაბამისად. ამდენად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესისათვის განსაზღვრული ერთწლიანი ვადის ამოწურვის - 2008 წლის 15 აგვისტოს შემდგომ არსებული ყველა სადავო სამართალური თიერთობის მიმართ ვრცელდება კანონი "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ".

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" კანონი ახლებურად აწესრიგებს საქმის წარმოების პროცესში აღძრული კერძო საჩივრის დასაშვებობისა და განხილვის წესებს. კერძოდ, დასახელებული კანონის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. რამდენადაც კანონის მითითებული ნორმა იმპერატიულად ადგენს აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე შემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ კერძო საჩივრის თაობაზე გამოტანილი განჩინების გასაჩივრების შეუძლებლობას, აღნიშნული განჩინების თაობაზე შეტანილი კერძო საჩივარი დაუშვებელია და განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" კანონის მე-10 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 285-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს "ლილი და კომპანიის" კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული;
2. შპს "ლილი და კომპანიას" დაუბრუნდეს კერძო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 50 ლარი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **გაკოტრების შესახებ კერძო საჩივრის გასაჩივრების დაუშვებლობა**

#### **განჩინება**

#ას-846-1060-08

10 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
მოსამართლე მ. სულხანიშვილი**

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ლ. შ-ძის და ი. ხ-ვას კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინებაზე.

#### **გამოარკვია:**

2008 წლის 11 ივნისს სასამართლოს განცხადებით მომართეს სააქციო საზოგადოება "მედეას" კრედიტორებმა ლ. შ-ძემ. ი. ხ-ვამ და ჯ. თ-შვილმა, რომლებმაც განმარტეს, რომ 2004 წლის

1 სექტემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით გაიხსნა სს "მედეას" გაკოტრების საქმე და დაინიშნა გაკოტრების მმართველი. ამავე სასამართლოს 2004 წლის 11 ნოემბრის განჩინებით სს "მედეას" კრედიტორების მოთხოვნების საფუძველზე შედგა გაკოტრების ტაბულა, რომლის მიხედვითაც მათი მოთხოვნები შეტანილ იქნა მესამე რიგის მოთხოვნებში, სამი თვის ხელფასის დავალიანების და საგადასახადო ინსპექციის შემდეგ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 16 ივნისის განჩინებით სააქციო საზოგადოება "მედეას" კრედიტორების ლ. შ-ძის, ი. ხ-ვას და ჯ. თ-შვილის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 16 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ლ. შ-ძემ და ი. ხ-ვამ, მოითხოვეს მისი გაუქმება და განცხადების დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინებით ლ. შ-ძის და ი. ხ-ვას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 16 ივნისის განჩინება.

ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო სასამართლოში კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ლ. შ-ძემ და ი. ხ-ვამ, მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინების გაუქმება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული კერძო საჩივარი დაუშვებელია და იგი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

"გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" კანონის 56-ე მუხლი მიუთითებს ამ კანონის ამოქმედების ვადად 2007 წლის 15 აგვისტოს. ამავე კანონის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იმ გადახდისუუნარობის საქმეების მიმართ, რომლებზედაც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება შეტანილია "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს 1996 წლის 25 ივნისის კანონის შესაბამისად გაკოტრებისა და რეაბილიტაციის პროცესი უნდა დასრულდეს ამ კანონის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში. მოცემული ვადის გასვლის შემდეგ რეაბილიტაციის პროცესში და გაკოტრების რეჟიმში მყოფი სუბიექტების მიმართ შეწყდება "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის მოქმედების გავრცელება და გადახდისუუნარობის საქმის წარმოება განხორციელდება "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების" შესახებ კანონის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რომ 2008 წლის 15 აგვისტოდან, ანუ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესისთვის განსაზღვრული ერთწლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, ყველა სადავო ურთიერთობაზე გავრცელდება ეს კანონი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნულ კანონში ახლებურადაა მოწესრიგებული საქმის წარმოების პროცესში აღძრული კერძო საჩივრის დასაშვებობისა და განხილვის წესები. კერძოდ კი ამ კანონის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ზემოთ მითითებული კანონის ნორმა იმპერატიულად ადგენს, რომ ამ კატეგორიის დავებზე ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება მიჩნეულ უნდა იქნეს საბოლოოდ და გამორიცხავს საკასაციო წესით გასაჩივრებას შესაძლებლობას. აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს ლ. შ-ძის და ი. ხ-ვას კერძო საჩივრის დაშვების სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების" შესახებ კანონის მე-10 მუხლით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 285-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა :**

ლ. შ-ძის და ი. ხ-ვას კერძო საჩივარი არ იქნეს დაშვებული განსახილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 7. საქმის წარმოების განახლება

### საქმის წარმოების განახლების საფუძველები

#### განჩინება

#ა-2503-ბ-6-09

28 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

**დავის საგანი:** საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატის 2003 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ჭ-ძისა და დ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ამ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ე. ს-ულის, ა. ჭ-ძისა და დ. ჭ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა - აღიარებულ იქნა, ერთი მხრივ, ა. ჭ-ძის, ე. ს-ულის, დ. ჭ-ძისა და, მეორე მხრივ, ამხანაგობა "ჭავჭავაძე-37<sup>ბ</sup>-ს" შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის (ნარდობის) არსებობა. აღნიშნული ურთიერთობიდან გამომდინარე, აღიარებულ იქნა მოსარჩელეთა უფლება ამხანაგობა "ჭავჭავაძე-37<sup>ბ</sup>-ს" სახელზე რიცხული ქ.თბილისის, ... გამზ. 37<sup>ბ</sup>-ში მდებარე მშენებარე საცხოვრებელი სახლის დამთავრებისა და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ საკუთრებაში მიიღონ მხარეთა შორის დადებული 2000 წლის 10 ოქტომბრის, 2001 წლის 10 იანვრის ხელშეკრულებით განსაზღვრული შემდეგი ფართი:

1. ა. ჭ-ძემ - ... გამზ. 37<sup>ბ</sup>-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე 110კვ.მ, მე-6 სართულზე -380კვ.მ, მე-7 სართულზე -190კვ.მ, მე-10 სართულზე -440კვ.მ და 12 ავტოსადგომი.

2. ე. ს-ულმა - იგივე მისამართზე ამავე სახლში მე-8 სართულზე 390კვ.მ და 4 ავტოსადგომი. მე-6 სართულზე -300კვ.მ 3 ავტოსადგომი.

3. დ. ჭ-ძემ - იმავე სახლში მე-7 სართულზე 480კვ.მ და 5 ავტოსადგომი.

2008 წლის 30 დეკემბერს ჯ. ტ-ძემ, ხოლო 2009 წლის 20 მარტს ვ. მ-იამ, ა. თ-ძემ, დ. გ-ელმა და სხვებმა განცხადებით მომართეს საკასაციო პალატას და მოითხოვეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, აღნიშნული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

განმცხადებელთა განმარტებით, უზენაესმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ისე გადასცა უცხო პიროვნებებს მათი კუთვნილი ბინები, რომ ისინი სასამართლოზე არც კი მოუწვევია, შესაბამისად, ვინაიდან მათ უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ შეეხო აღნიშნული გადაწყვეტილება და ისინი არ იყვნენ მოწვეული საქმის განხილვაზე, განმცხადებლებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, განცხადება და თვლის, რომ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამდგრები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით

შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველი შეიძლება გახდეს ის გარემოება, როდესაც პირი მართალია არ ყოფილა საქმეში ჩაბმული არც მოსარჩელედ, არც მოპასუხედ და არც მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრა მათი უფლებები და მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ ან უშუალოდ შეეხო მის კანონიერ ინტერესებს და ამ დროს იგი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლები მიუთითებენ, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, უზენაესმა სასამართლომ უცხო პიროვნებებს ისე გადასცა მათი კუთვნილი ბინები, რომ საქმის განხილვაზე ისინი არცკი მოუწვევია, შესაბამისად, დაირღვა მათი კანონიერი უფლებები და ინტერესები, რის გამოც მოითხოვეს მითითებული მუხლის საფუძველზე, გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის განხილვის დროისათვის მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

მითითებული მუხლის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად საჭიროა სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულება, გაცვლის ხელშეკრულება, ჩუქების ხელშეკრულება და სხვა. ამასთან, შემძენის რეგისტრაცია აუცილებელია საჯარო რეესტრში.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალების, კერძოდ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით დადგენილია, რომ საქმის განხილვის დროისათვის სადავო საცხოვრებელი სახლი ამხანაგობის საკუთრებას წარმოადგენდა. ამასთან, საქმეში არ მოიპოვება უძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად საჭირო ხელშეკრულებები, რომლითაც დადასტურდებოდა განმცხადებლების მიერ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული ბინების შეძენა და არც თავად განმცხადებლებს წარმოუდგენიათ აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე საბუთი.

რაც შეეხება განმცხადებელ ჯ. ტ-ძეს, მან განცხადებას თან დაურთო ამხანაგობასთან დადებული ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულება, თუმცა საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვერც აღნიშნული ხელშეკრულება გახდებოდა საქმის წარმოების განახლების საფუძველი შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლოს არ განუხილავს მიკუთვნებითი სარჩელი, მხარეთა შორის სადავო იყო სამართლებრივი ურთიერთობის –ნარდობის ხელშეკრულების ნამდვილობა და ამ ურთიერთობის არსებობის აღიარების მოთხოვნა კი მიეკუთვნება აღიარებით სარჩელს. უზენაესი სასამართლოს სადავო გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა მოსარჩელეთა და ამხანაგობა "ჭავჭავაძე 37<sup>ბ</sup>-ს" შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის (ნარდობის) არსებობა და ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, აღიარებულ იქნა მოსარჩელეთა უფლებები ამხანაგობისა და არა განმცხადებლების მიმართ. სადავო ნარდობის ხელშეკრულების მხარეები იყვნენ ერთის მხრივ ა. ჭ-ძე, ე. ს-ული და დ. ჭ-ძე და, მეორეს მხრივ, ამხანაგობა "ჭავჭავაძე 37<sup>ბ</sup>". ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები განმცხადებლები არ ყოფილან, შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უფლება-მოვალეობების არსებობის აღიარებით განსაზღვრა მხოლოდ ხელშეკრულების მხარეების უფლება-მოვალეობებია და არა განმცხადებლების. ჯ. ტ-ძის მითითებას იმის თაობაზე, რომ ამხანაგობასთან უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, ვერ გახდებოდა საქმის წარმოების განახლების საფუძველი, ვინაიდან მითითებული ხელშეკრულება ამ დავის საგანს არ წარმოადგენდა და, ამასთან, იგი გაფორმდა 2003 წლის 13 ნოემბერს მაშინ, როდესაც საქმე უკვე უზენაეს სასამართლოში იხილებოდა. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლოს აზრით, შესაძლოა ამხანაგობას მრავალი სხვა ხელშეკრულებები ჰქონდეს დადებული სხვადასხვა პირებთან და რომელიმე კონკრეტული სადავოდ გამხდარი ხელშეკრულების ნამდვილობის შესახებ საქმის განხილვისას, სხვა ხელშეკრულების მონაწილე პირები ვერ გახდებიან ამ დავის სათანადო მხარეები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, განმცხადებლები წარმოადგენდნენ იმ პირებს, რომელთა უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხებოდა მიღებული გადაწყვეტილება და, შესაბამისად, მათი არმოწვევა საქმის განხილვაზე, ვერ გახდებოდა სა-



მოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ბათილობისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

ჯ. ტ-მის, ვ. მ-იას, ა. თ-მის, დ. გ-ელის და სხვების განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველები**

#### **განჩინება**

#ას-504-815-09

23 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),**

**რ. ნადირიანი (მომხსენებელი),**

**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ბ-მის განცხადება იურიდიული მინშენლობის მქონე ფაქტის -საკუთრების უფლებით ნივთის ფლობის დადგენის თაობაზე დაკმაყოფილდა -გ. ბ-მე აღიარებულ იქნა ქ. ქობულეთში, ... მდებარე #21 საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 სექტემბრის განჩინებით ვ. ა-ისის წარმომადგენელ დ. ვ-მის განცხადება დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ბ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინებით გ. ბ-მის კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 18 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნა ახალი განჩინება, ბათილად იქნა ცნობილი ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება და გ. ბ-მის განცხადება "საკუთრების უფლებით ნივთის ფლობის დადგენის შესახებ" დარჩა განუხილველად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა გ. ბ-მემ და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ მან მოიპოვა ისეთი მტკიცებულებები, რომლის გაცნობის საშუალებაც რომ ჰქონოდა სასამართლოს, გამოიტანდა მისთვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებას, ხოლო მტკიცებულებები მოიპოვა მას შემდეგ, რაც მიმართა სხვა ადვოკატს. კერძოდ, განმცხადებლის განმარტებით, შპს "ივერია პს-ის" 2009 წლის 30 იანვრის წერილობითი პასუხითა და თანდართული დოკუმენტების თანახმად, მისთვის ცნობილი გახდა, რომ ვ. ა-ოვი (ვ. ა-ისი) 1991 წლიდან ოჯახთან ერთად ამოწერილია მასზე გადაცემული, ქ. ქობულეთში, ... მდებარე #21ა სამსახურებრივი ბინიდან და მან 1991 წლიდან სადავო ბინაზე დაკარგა უფლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 აპრილის განჩინებით გ. ბ-მის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა -მტკიცებულების წარმოუდგენლობა, ვერ ჩაითვლებოდა საპატიოდ მხოლოდ იმიტომ,

რომ საქმის გადაწყვეტისას მხარემ არ ისარგებლა იმ წარმომადგენლის მომსახურებით, რომელიც უფრო უკეთ ერკვეოდა განსახილველი დავის არსში.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ბ-მის წარმომადგენელმა ბ. ბ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლების შესახებ გ. ბ-მის განცხადების დაკმაყოფილება იმ საფუძველზე, რომ გ. ბ-მეს მტკიცებულებათა მოპოვება-წარმოუდგენლობაში ბრალი არ მიუძღვოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ გ. ბ-მის წარმომადგენელ ბ. ბ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძველებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისას მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ წარმოდგენილი ფაქტები და მტკიცებულებები არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ ცნობილი არ იყო მანამდე და მხარემ არ იცოდა აღნიშნული ფაქტის თაობაზე, ამასთან, მას თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ გ. ბ-მემ ვერ დაასაბუთა, თუ რატომ ვერ შეძლო საქმის განხილვისას წარმოედგინა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ვ. ა-ისი ამოწერილია სადავო ბინიდან. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორს აღნიშნული მტკიცებულება რომც წარმოედგინა სასამართლოში საქმის განხილვის დროს, იგი ვერ გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებისა და მე-2 ნაწილის თანახმად, უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას სასამართლო იწვევს ამ საქმის განხილვით დაინტერესებულ პირებს. თუ უდავო წესით საქმის განხილვისას აღიძვრის დავა ისეთი უფლების შესახებ, რომლებიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, თუ საქმის უდავო წარმოების დროს დავა აღიძვრება, სასამართლო უკვე ვეღარ განიხილავს ამ საქმეს უდავო წარმოების წესით. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, რომ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ აღძვრან სარჩელი საერთო წესის დაცვით

მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ვ. ა-ისი ამოწერილია სადავო ბინიდან, არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ არ არსებობდა დავა და საქმე უნდა განხილულიყო უდავო წარმოების წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორმა ვერ მიუთითა ისეთი გარემოებები და ვერ წარმოადგინა ისეთი მტკიცებულებები, რომელთა შესა-

ხეზავ თავისი ბრალის გარეშე არ შეეძლო განჩინების მიღების დროს მიეთითებინა და რომლებიც ადრე რომ წარედგინა სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 აპრილის განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

გ. ბ-მის წარმომადგენელ ბ. ბ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 აპრილის განჩინება;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები**

**განჩინება**

#ას-556-865-09 23 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ქ-იას სარჩელი ლ. თ-მის მიმართ თანასაკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთების ღირებულების ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ქ-იამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 სექტემბრის განჩინებით თ. ქ-იას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად კანონით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადის დარღვევის გამო. აღნიშნული განჩინება უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინებით.

2009 წლის 12 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა თ. ქ-იამ და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 სექტემბრის განჩინების გაუქმება იმ საფუძველით, რომ მას თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადება პირადად არ ჩაჰბარებია 2008 წლის 12 ივლისს, შესაბამისად, მას შეტყობინების ბარათზე ხელი არ მოუწერია, არამედ ჩაჰბარდა მისი მეზობლის ოჯახს მისთვის გადასაცემად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2009 წლის 23 აპრილის განჩინებით თ. ქ-იას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება ვერ ჩაითვლებოდა ახლად აღმოჩენილ გარემოებად, ვინაიდან დოკუმენტის სიყალბე, რომელსაც გასაჩივრებული განჩინება ეფუძნებოდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, არ იყო დადასტურებული კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. ქ-იამ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მართალია გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ იმ გარემოების თაობაზე, რომ გადაწყვეტილება ჩაჰბარდა არა მას, არამედ მის მეზობელს უკვე იმ-სჯელა 2008 წლის 9 სექტემბრის განჩინების გამოტანისას, მაგრამ მაშინ ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება მისი არარსებობის გამო ვერ წარმოადგინა. შესაბამისად, ვინაიდან აღნიშნული მტკიცებულების მოპოვება მან მხოლოდ 2009 წლის 18 მაისს შეძლო, უფრო ადრე მისი წარდგენა შეუძლებელი იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თ. ქ-იამ მოითხოვა კურიერის ახსნა-განმარტება ბორჯომის რაიონის პოლიციაში, როგორც ახალი მტკიცებულება, სასამართლომ მიიღოს მხედველობაში და გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ თ. ქ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება ყალბია. ამავე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისას მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ წარმოდგენილი ფაქტები და მტკიცებულებები არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ ცნობილი არ იყო მანამდე და მხარემ არ იცოდა აღნიშნული ფაქტის თაობაზე. ამასთან, მას თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. ამასთან, თუ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადასტურდება იმ დოკუმენტის სიყალბე, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გასაჩივრებული განჩინების გაუქმების კანონით გათვალისწინებული არცერთი საფუძველი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თ. ქ-ია იმ გარემოების შესახებ, რომ გადაწყვეტილება ჩაჰბარდა არა მას, არამედ მის მეზობელს უთითებდა კერძო საჩივრის ერთ-ერთ საფუძველად და აღნიშნულ გარემოებაზე დაყრდნობით ითხოვდა საპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 სექტემბრის განჩინების გაუქმებას. ასევე დადგენილია, რომ კერძო საჩივრის განმხილველმა სასამართლომ 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინებით იმსჯელა აღნიშნული გარემოების შესახებ და არ გაიზიარა დაუსაბუთებლობის მოტივით, შესაბამისად, მითითებული გარემოება ვერ ჩაითვლება ახლად აღმოჩენილ გარემოებად, ვინაიდან ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ მასზე უკვე იმსჯელა 2008 წლის 9 სექტემბრის განჩინების კანონიერების შემოწმებისას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი 2008 წლის 23 დეკემბრის საქართველოს შსს ბორჯომის

შინაგან საქმეთა სამმართველოს წერილი ვერ გახდებოდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველი, ვინაიდან თ. ქ-ია ვერ ასაბუთებს რატომ ვერ შეძლო საქმის განხილვისას წარმოედგინა ეს მტკიცებულება. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორს აღნიშნული მტკიცებულება რომც წარმოედგინა სასამართლოში საქმის განხილვის დროს, იგი ვერ გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დოკუმენტის სიყალბე, რომელსაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 სექტემბრის განჩინება ემყარებოდა, კანონიერ ძალაში შესული განაჩენით არ დადასტურებულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორმა ვერ მიუთითა ისეთი გარემოებები და ვერ წარმოადგინა ისეთი მტკიცებულებები, რომელიც საქმის წარმოების განახლების საფუძველი გახდებოდა და, შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

თ. ქ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განჩინება;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა**

#### **განჩინება**

#ა-1337-ბ-15-09

24 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

**დავის საგანი:** საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებით რ. ს-შვილის საკასაციო საჩივარი სსიპ "ახალციხის ინსტიტუტის" მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის გაუქმების მოთხოვნასთან დაკავშირებით დაუშვებლად იქნა ცნობილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად.

2009 წლის 22 ივნისს რ. ს-შვილმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას და მოითხოვა საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ სასამართლომ ისე ცნო დაუშვებლად მისი საჩივარი, რომ საქმის განხილვაზე მოწვეული არ ყოფილა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, განცხადება და თვლის, რომ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამდღვრები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველი შეიძლება გახდეს ის გარემოება, როდესაც მხარე საქმის განხილვაზე არ იყო მოწვეული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს მითითებული მუხლის თანახმად, განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების განცხადების წანამდღვრები, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს მიერ საქმე არსებითად არ განხილულა, არამედ შემოწმდა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, რაც ამავე კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სასამართლო კოლეგიას შეუძლია გადაწყვიტოს ზეპირი განხილვის გარეშე, მხარეთა მოუწვევლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ბათილობისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

ამასთან, 2009 წლის 28 მაისს რ. ს-შვილმა დაზუსტებული განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და აღნიშნა, რომ ამავე სასამართლოს 2009 წლის 28 მაისის განჩინებასთან დაკავშირებით არსებობს ახლად აღმოჩენილი გარემოებები, რომელთა წარდგენის შესაძლებლობა უფრო ადრე რომ ჰქონოდა, სააპელაციო სასამართლო და უზენაესი სასამართლო მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას გამოიტანდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული განცხადება თავისი ხასიათით წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებას, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოში დავა არსებითად არ გადაწყვეტილა და იგი არ წარმოადგენს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, შესაბამისად, საკასაციო პალატა განცხადების ავტორს განუმარტავს, რომ მას აღნიშნული მოთხოვნით შეუძლია მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

რ. ს-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

### განჩინება

№ა-1995-ა-24-09

30 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ზ. თ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში სს "პროკრედიტ ბანკის" მიმართ სს "პროკრედიტ ბანკის" გენერალური დირექტორის №ა78-07/07 ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, იძულებითი განაცდურის -7497 ლარისა და მასზე დარიცხული საურავის -787 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ზ.თ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით ზ.თ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით ზ.თ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 2007 წლის 25 ივლისის ბრძანება მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ გაუქმდა და ზ.თ-შვილი აღდგენილ იქნა სს "პროკრედიტ ბანკის" ქუთაისის ფილიალის ინკასატორის თანამდებობაზე, ასევე სს "პროკრედიტ ბანკის" დაეკისრა ზ.თ-შვილის სასარგებლოდ იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის -7497 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში კი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს "პროკრედიტ ბანკმა".

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 ივლისის განჩინებით სს "პროკრედიტ ბანკის" საკასაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და კასატორს დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის -177,51 ლარის ჩარიცხვის ქვითრის დედნის წარმოდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი სს "პროკრედიტ ბანკს" ჩაბარდა 2009 წლის 3 აგვისტოს. 2009 წლის 8 სექტემბერს კასატორის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს, წარმოდგინა სახელმწიფო ბაჟის -177,51 ლარის ჩარიცხვის ქვითრის დედანი და იშუამდგომლა დარღვეული საპროცესო ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევის თაობაზე იმ საფუძველით, რომ სს "პროკრედიტ ბანკის" მიერ განჩინების ჩაბარების დროისათვის კასატორის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ შვებულებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინებით სს "პროკრედიტ ბანკის" საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სს "პროკრედიტ ბანკის" წარმომადგენელმა გ. ყ-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს, მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძველებით: საკასაციო სასამართლოს განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ არც ბანკს და არც მის წარმომადგენელ გ. ყ-შვილს კანონის მოთხოვნათა დაცვით არ ჩააბარებია, რის შესახებ განმცხადებელმა 2009 წლის 24 სექტემბერს ბანკის თანამშრომელ დ. ბ-შვილის ახსნა-განმარტებიდან შეიტყო. ფაქტობრივად, სასამართლოს გზავნილი ჩაბარდა სს "პროკრედიტ ბანკის" კანცელარიას, გადაეწერა ამავე ბანკის თანამშრომელ დ.ბ-შვილს, რომელიც იმჟამად მივლინებაში, შემდგომ კი შვებულებაში იმყოფებოდა და სასამართლო გზავნილის შესახებ 2009 წლის 7 სექტემბერს შეიტყო. მან დაუყოვნებლივ გადასცა განჩინების ასლი უფლებამოსილ პირებს. აღნიშნული გარემოება დასტურდება 2009 წლის 24 სექტემბრის დათარიღებული დ.ბ-შვილის წერილობითი ახსნა-განმარტებით. საკა-

საციო სასამართლოს განჩინების ჩაბარების მომენტში ბანკის დირექტორები საქართველოში არ იმყოფებოდნენ, ხოლო მათი წარმომადგენელი გ.ყ-შვილი სარგებლობდა შვებულებით. სადავო პერიოდში საზოგადოების დირექტორთა -ს.ტერნესისა და ფ.პოტის საქართველოში არყოფნის ფაქტს ადასტურებს განცხადებაზე დართული ავიაბილეთები. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ სს "პროკრედიტ ბანკმა" საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადაიხადა და წარადგინა სახელმწიფო ბაჟი - 397,34 ლარი, ვინაიდან საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება შეადგენდა 7497 ლარს. ამდენად, საკასაციო საჩივარი ამ უკითხით ხარვეზს არ შეიცავდა და საკასაციო სასამართლომ სადავო ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებით არასწორად დააკისრა კასატორს დამატებით 177,51 ლარის გადახდა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებულ განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს "პროკრედიტ ბანკის" წარმომადგენელ გ.ყ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა თუ განჩინების გაუქმების მოთხოვნისას მხარემ სათანადოდ უნდა დაადასტუროს, რომ გარემოება, რომელსაც იგი ახლად აღმოჩენილად მიიჩნევს, არ იყო და ვერც იქნებოდა ცნობილი მისთვის საქმის განხილვისას.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი ახლად აღმოჩენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 28 ივლისის განჩინება სს "პროკრედიტ ბანკის" საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ საზოგადოების კანცელარიის მუშაკს ჩაბარდა 2009 წლის 3 აგვისტოს, მაგრამ უფლებამოსილი პირების მოვლინებაში ყოფნის გამო აღნიშნული განჩინების შესახებ ბანკისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ ამავე წლის 7 სექტემბერს. მხარის ამ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს.

საქმის მასალებში წარმოდგენილია საფოსტო განყოფილების მიღება-ჩაბარების უწყება, რომელიც ცალსახად ადასტურებს სადავო სასამართლო გზავნილის სს "პროკრედიტ ბანკისათვის" 2009 წლის 3 აგვისტოს ჩაბარების ფაქტს, რა დროსაც კასატორისათვის ცნობილი გახდა ხარვეზის დადგენისა და მისი განსაზღვრულ ვადაში გამოსწორების მოვალეობის შესახებ. აგრეთვე იმის თაობაზე, რომ ხარვეზის ვადის ათვლა დაიწყო და სწორედ 2009 წლის 3 აგვისტოდან. ამდენად, მითითებული გარემოება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ახლად აღმოჩენილად ვერ ჩაითვლება.

რაც შეეხება განმცხადებლის არგუმენტს, რომ ზემოხსენებული სასამართლო გზავნილი ჩაბარდა არა უფლებამოსილ პირს -საზოგადოების დირექტორს ან მის წარმომადგენელს, არამედ კანცელარიის მუშაკს, რომელმაც იგი ხელმძღვანელობას დროულად არ გადასცა, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სს "პროკრედიტ ბანკში" კორესპოდენციების განაწილების თავისებურებები და ამ დროს წარმოშობილი ხარვეზები მხარისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარებულად მიჩნევაზე ვერ იმოქმედებს და საზოგადოების შიდა სტრუქტურული საკითხების მოუწესრიგებლობა სასამართლოს შეფასების საგანი ვერ გახდება.

ასევე დაუსაბუთებელია და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძვლად ვერ ჩაითვლება განმცხადებლის მითითება, რომ სს "პროკრედიტ ბანკის" საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი იყო სახელმწიფო ბაჟი -397,34 ლარი და საკასაციო სასამართლომ დამატებით ხარვეზი არასწორად განუსაზღვრა. საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენა, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს პრეროგატივაა და მის მიერ ხარვეზის დადგენის კრიტერიუმების თუნდაც არასწორად განსაზღვრის ფაქტი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების შეტანის წინაპირობა ვერ გახდება, რადგან აღნიშნული ეწინააღმდეგება საქმის წარმო-



ების განახლების კანონით დადგენილ პრინციპებს. ასეც რომ არ იყოს მხარის ზემოთ მოყვანილი არგუმენტი სამართლებრივად უსაფუძვლოა, კერძოდ:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით ზ.თ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა 2007 წლის 25 ივლისის ბრძანება მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ და ზ.თ-შვილი აღდგენილ იქნა სს "პროკრედიტ ბანკის" ქუთაისის ფილიალის ინკასატორის თანამდებობაზე, სს "პროკრედიტ ბანკს" ზ. თ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცემილი დროის ხელფასის -7497 ლარის ანაზღაურება.

სს "პროკრედიტ ბანკმა" სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მთლიანად გაასაჩივრა საკასაციო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. როგორც ზემოთ აღინიშნა, განსახილველ შემთხვევაში, კასატორმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოწინააღმდეგე მხარის სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის -7497 ლარის ანაზღაურების ნაწილში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "კ" ქვეპუნქტის თანახმად, სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნის ნაწილში საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულებაა 4000 ლარი, რაც იძულებითი განაცდურის თანხასთან ერთად წარმოადგენს 11497 ლარს (4000+7497). საკასაციო სასამართლომ 2009 წლის 28 ივლისის განჩინებით მიიჩნია რა, რომ საკასაციო საჩივრის ღირებულება შეადგენდა 11497 ლარს, კასატორს გადახდილად ჩაუთვალა მის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟი 397,34 ლარის ოდენობით და ამ განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში სავსებით სწორად განუსაზღვრა დამატებით დარჩენილი 177,51 ლარის გადახდა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

სს "პროკრედიტ ბანკის" წარმომადგენელ გ.ყ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **8. სააღსრულებო ფურცლის გაცემა მხარის უფლებამონაცვლეზე**

### **განჩინება**

#ბს-987-1187-08

21 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

განიხილა ნ. ა-ძის შუამდგომლობა უფლებამონაცვლის მიმართ სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე. საკასაციო სასამართლომ

#### **გამოარკვია:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 თებერვლის განჩინებით კ. ა-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის განჩინებაზე მიჩნეულ იქნა

დაუშვებლად. ამავე განჩინებით კ. ა-ძეს დაუბრუნდა საკასაციო საჩივარზე ნ. ნ-იას მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% -70 ლარი.

2009 წლის 25 სექტემბერს ნ. ა-ძემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში განცხადება წარმოადგინა. განმცხადებელი ითხოვს გარდაცვლილი დედის -კ. ა-ძის უფლებამონაცვლედ ცნობას და კუთვნილი ბაჟის მისაღებად უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 9 თებერვლის განჩინებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემას, სადაც კრედიტორად მითითებული იქნება მასზე, როგორც კ. ა-ძის უფლებამონაცვლეზე. განცხადებას თან ერთვის კ. ა-ძის გარდაცვალების მოწმობა, 2009 წლის 25 ივნისის სამკვიდრო მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი, აგრეთვე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 სექტემბრის საოქმო განჩინებისა და უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 9 თებერვლის განჩინების ასლები.

საკასაციო სასამართლო ნ. ა-ძის განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 თებერვლის განჩინებაზე გაიცეს სააღსრულებო ფურცელი, შემდეგ გარემოებათა გამო:

"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ, ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამოწმა ნოტარიუსმა.

მოცემულ შემთხვევაში ნ. ა-ძის განცხადებაზე თანდართული სამკვიდრო მოწმობიდან დგინდება, რომ 2008 წლის 14 დეკემბერს გარდაცვლილი კასატორის -კ. ა-ძის ქონება სრულად მიიღო მისი პირველი რიგის კანონისმიერმა მემკვიდრემ -ნ. ა-ძემ. ამდენად, ნ. ა-ძის უფლებამონაცვლეობა კ. ა-ძის მიმართ ნათელია, რაც საფუძველს იძლევა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 თებერვლის განჩინებაზე გაიცეს სააღსრულებო ფურცელი ნ. ა-ძის, როგორც კასატორ კ. ა-ძის უფლებამონაცვლის მიმართ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267<sup>1</sup>, 284-ე, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ა-ძის განცხადება დაკმაყოფილდეს;
2. გაიცეს სააღსრულებო ფურცელი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 თებერვლის განჩინებაზე, სადაც კრედიტორად კ. ა-ძის ნაცვლად მითითება მისი უფლებამონაცვლე ნ. ა-ძე;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სააღსრულებო ფურცლის გაცემა მხარის უფლებამონაცვლეზე**

#### **განჩინება**

#ას-832-1118-09

22 ოქტომბერი, 2009წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),**

**რ. ნადირიანი (მომხსენებელი),**

**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** უფლებამონაცვლის დადგენა და სააღსრულებო ფურცლის გაცემა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით დ. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დ. ქ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა და სს „კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 57 030 ლარის ანაზღაურება.

2009 წლის 24 ივლისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართეს ვ. და ი. ჭ-ძეებმა და მიუთითეს, რომ მათი დედა - დ. ქ-ძე გარდაიცვალა 2008 წლის პირველ აგვისტოს. მათ, როგორც დედის პირველი რიგის მემკვიდრეებს, მიღებული აქვთ სამკვიდრო მოწმობა. ასევე, ისინი საჯარო რეესტრში თანამესაკუთრებად არიან დარეგისტრირებულნი სოფელ უჯარმაში მდებარე დედის დანაშთ უძრავ ქონებაზე და მიწის ნაკვეთზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლებმა მოითხოვეს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სააღსრულებო ფურცლის მათზე გაცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის განჩინებით ვ. და ი. ჭ-ძეების განცხადება დაკმაყოფილდა, განმცხადებლები ცნობილ იქნენ დ. ქ-ძის უფლებამონაცვლებად და დადგინდა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებაზე გაიცეს სააღსრულებო ფურცელი კრედიტორ დ. ქ-ძის უფლებამონაცვლების - ვ. და ი. ჭ-ძეების სასარგებლოდ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ განჩინების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 92-ე მუხლი და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციამ“ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მიმართ დამთავრებული იყო გაკოტრების საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო, საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში, (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე.

აღნიშნული ნორმის თანახმად, უფლებამონაცვლეობის საფუძველია არა საქმიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა, არამედ სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა. საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში, როდესაც მატერიალური სამართლის ნორმების მიხედვით, დასაშვებია სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტების შეცვლა, როდესაც ახალი სუბიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ იღებს თავის თავზე თავისი წინამორბედის უფლებებს ან მოვალეობებს.

განსახილველ შემთხვევაში, უფლებამონაცვლეობის საფუძველს წარმოადგენს მოქალაქის გარდაცვალება. სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის თანახმად, გარდაცვლილი პირის ქონების გადასვლა სხვა პირებზე ხორციელდება კანონით ან ანდერძით.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მითითებული მუხლების შესაბამისად, ვ. ჭ-ძე და ი. ჭ-ძე, როგორც დ. ქ-ძის კანონიერი მემკვიდრეები, სააპელაციო სასამართლომ მართებულად ცნო დ. ქ-ძის უფლებამონაცვლებად, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, უფლებამონაცვლეობის საფუძველს წარმოადგენდა უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში და შესაბამისი მატერიალური სამართლის ნორმის თანახმად, დასაშვებია იყო სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტების შეცვლა.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს რომ ვინაიდან სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მიმართ დამთავრებული იყო გაკოტრების საქმის წარმოება, სასამართლოს სააღსრულებო ფურცელი არ უნდა გაეცა. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან საქმის მასა-

ლებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ხოლო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცელი არ გაცემულა.

“სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია, ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ, ან დაამოწმა ნოტარიუსმა.

ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის -დ. ქ-ძის უფლებამონაცვლე პირთა ვინაობა ცნობილია და დადასტურებულია სათანადო უფლებამოსილი ორგანოს მიერ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ მართებულად გასცა სააღსრულებო ფურცელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 31 ივლისის განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა :**

სააქციო საზოგადოება „კახეთის ენერჯოდისტრიბუციის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 31 ივლისის განჩინება; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.